

ბურის

REGION

ყოველთვიური გამოცემა

ფასი 1,50 ლარი

№5 2015 ივლისი

ნათია
შათირიშვილი

ნინო
ჯიბუბი:
ჩარლზის
უნივერსიტეტი
ეკონომიკური
მეცნიერებების
ფაკულტეტი



სტატეგია - შინის მფლობელის უანგარო საკუთრება

**ოჯახური ბიზის სანგურო განმარო დამსვენებლებს
 10 ივლინიდან 10 სექტემბერამდე მოქმედს.
 ორადგილიანი ნომრის ღირებულებაა 100 ლოლარი, სემინი -
 150 ლოლარი, ოთხიანი - 200 ლოლარი (ექვივალენტი ღირებუთი)**



**ამ დამსვენებელთა საუკეთესო კომფორტი და მიმართებით
 ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს
 საკონტაქტო ტელეფონი: 599 70 21 21 სსსს**

ქართველოთა მითიური მამამთავარი ქართლოსი2
 ბაღოზამი-პრომიოდი4-5
 „სიხარული უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტეა6
 გჯეროდეთ ჩვენი, ჩვენ მზიურის თაობა ვართ10
 ონჯანიდან წამოსულო წყალოს პირობითად ქვია სასმელი წყალი13
 ვანრიკ აგროს საქველოქმედო აქცია ოზურგეთში15
 ხელი ხელს - შშმ პირთა რეაბილიტაცია ერთ მთლიან ჯაჭვს გულისხმობს16
 პენსიით მხოლოდ მედიკამენტებს ვყიდულობ...16
 ჩოხატაური და სუფსის ხეობა ჩემია, თან ძალიან ჩემი...17
 ოტია იოსელიანის დაბადების 85 წლისთავისათვის20
 დაუვინყარი საღამო მწერალთა სახლოში21

საქართველო ჩემთვის ჩოხატაურით იწყება26
 ჩოხატაურის სამუსიკო სკოლას 55 წელი შეუსრულდა28
 მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა29
 ლეგენდა ნატანებზე30
 აურზაური არაფრის გამო32
 ბიჭიკო ასურავა ყურნალო გურია REGION-ის საქველოქმედო აქციას გამოეხმაურა33
 აღიდგინე მხედველობა ალოეს დახმარებით! ხალოხური საშუალება ცნობილი ოფთალოლოგისგან34
 ბუნების ოთხ ძირითად ელოემენტში ადამიანიც მოიაზრება35
 პარასამყრნალო პრეპარატებით მიღებული დადებითი შედეგები37
 ტყის მინდორსაცავი ზოლოებისა და პარკების თაფლოვანი მცენარეები39

<p>მთავარი რედაქტორი — ლელა სურავა მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38 ტალო: 558 25 65 50; 790 46 48 01 ელოფოსტა: Guriaregion14@mail.ru</p>	<p>კვირვასო კითხვოლო! მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლოემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ყურნალოში განთავსება ფასიანია.</p>
---	--

ქრნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხალომძვანალოს.
 რედაქციაში ჟამოსაული მასალოების სიზუსტეა პასუხს აგებს ავტორი, ხოლო საჩალოლო ბაქსტა პასუხისმგებლოა რედალოის ჟამავეთს ეაისრება.

ქართულში მითიური მამამთავარი ქართლში

უნებამ საქართველო დააჯილდოვა არა მხოლოდ წყლებით, არამედ – ნადირითა და ფრინველით სავსე ტყეებით, მინერალებით, შესანიშნავი საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით, ბარაქიანი ველებით, ნაყოფიერი მიწებით. „გარნა არს ქუეყანა შუენიერი და ნაყოფიერი ყოვლისა ღვთისა მიერ და არა ხელოვნებითა კაცთათა, – წერდა ვახუშტი, – რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლმარცვალნი კაცთა საზრდელნი“.

გარემოსა და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთზემოქმედების შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა მთისა და ბარის ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტური არეები.

ისტორიულად საქართველოს ტერიტორია ორ უმთავრეს გეო-მორფოლოგიურ და აგრო-ბოტანიკურ არედ იყოფოდა: „მთად“ და „ბარად“. ეს უკანასკნელი ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურებით (მევენახეობა-მეხილეობით) ხასიათდებოდა, ხოლო პირველი – სახნავ-სათიბებისა და საძოვრების სიუხვით. თვალსაჩინოებისათვის ორი კუთხის დახასიათებას მოვიტანთ ვახუშტის ნაშრომიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: დებედას ხეობის სათავეებში მდებარეობდა ხევი ბამბაკისა (დღევ. სომხეთის რესპუბლიკა), „მთებრი და შუენიერი, ნაყოფიერი. ნაყოფიერებს ხორბალნი, ქრთილი, სელი, შვრია, სხუა არარაი... პირუტყვთა სიმრავლე არს, თვინიერ აქლემისა; თივათა სიმრავლე, თაფლი მრავალი“; მცხეთასთან გადაჭიმული მუხრანის დაბლობი (ბარი) კი ყოფილა „ფრიად შემკული... ზამთარ სითბოთი და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშუენი, კეთილ-აგარაკოვანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშუენი. მოსავალი მტილთა, ნალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყვ აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან“.

მთა და ბარი, თავის მხრივ, თურინჯ-ნარინჯიან (ციტრუსები), ბრინჯ-ბამბიან, ვენახ-ხილიან, უვენახ-ხილო (მემინდვრეობა) და ბალახ-ყვავილოვან (სათიბები და ზაფხულის საძოვრები) არეებად იყოფოდა. ნაყოფიერება და მოსავლიანობა მხარეებისა და სიმაღლეების მიხედვით იცვლებოდა. არსებობდა იშვიათი გამონაკლისიც. ლეჩხუმის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი“.

ქვეყნის ცენტრალური ნაწილი ვენახ-ხილიან არეებს ეკავა. შემდეგ მას, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, უვენახხო, მერე უვენახ-ხილო, ბოლოს კი ალპური საძოვრები ერტყა. მინდვრები და საზაფხულო საძოვრები თავისი ფართობით ბევრად აღემატებოდა ვენახ-ხილიან ზოლს. სანაპირო მხარეებში თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის კულტურები იყო გავრცელებული.

სასოფლო-სამეურნეო არეების მრავალფეროვნების წყალობით საქართველოს სხვადასხვა კუთხე ერთმანეთზე იყო დამოკიდებული. ბარს მთის სახნავ-სათიბები და ზაფხულის საძოვრები ესაჭიროებოდა, მთას კი – ბარის ზამთრის საძოვრები და ვენახები. ქართული მიწის კონსოლიდაციის პროცესში დიდი როლი ითამაშა მეტალურგიამაც, კერძოდ, ლითონმოპოვებისა და ლითონნარმოების კერებს შორის რეგულარულმა ურთიერთობებმა.

მთასა და ბარს აკავშირებდა გზები, რომლებიც, უმთავრესად, მდინარეებს მიუყვებოდა. დიდი და მცირე კავკასიონიდან გამომავალი მდინარეები ცენტრალურ არტე-

ისჯიროული საქართველოს სახელმწიფო წერილობით არს მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე, შემთხვევით მოქცეული გარსვეული ჰოლოცენური ნების გავლენის არეალში. პირუტყვ ეს იყო იმანენცხური სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული მრავალსაყუენივანი გავლითარების ყანონბომიერი ჰოლოცენური გამოვლინება მოქცემულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გარემოში. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო წერილობით არს იყო, შეიძლება ითქვას, ერთიანი ირგანული სისცემა.

დავით მუხხელიძე

რიებს (რიონს, მტკვარს) საქართველოს ბარში უერთდებოდა, ამდენად, გზებიც მთების შუაგულში იყრიდა თავს და კიდევ უფრო ზრდიდა ბარის მიზიდულობის ძალას.

ყველა ეს თავისებურება დიდწილად განაპირობებდა საქართველოს ერთიანობას. „ამ გეო-ბოტანიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, – წერდა ივანე ჯავახიშვილი, – ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთნაკლულეგანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამოინაკვთენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“.

საქართველოს ტერიტორიის ფართობი 70 ათასს კმ. აღწევს. ქვეყნის გეოგრაფიული განფენილობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა – ხან მცირდებოდა, ხან იზრდებოდა. ყოფილა პერიოდები, როდესაც ტერიტორიების დაკარგვას კრიტიკული ზღვრისათვის მიუღწევია და ერის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დამდგარა („დიდი თურქობის“ უამს XI საუკუნის ბოლოს), ზოგჯერ კი, პირიქით, საქართველოს სახელმწიფო ისე გაძლიერებულა, რომ მთელი კავკასია თავის საზღვრებში გაუერთიანებია XII-XIIIსს.).

ისტორიული საქართველოს მინაწალი, დღევანდელი საზღვრების გარდა, მოიცავდა მტკვრის ზემო წელისა და შუა წელის აუზების მთლიანად, მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადებს, მდინარე ჭოროხის აუზებს (ჭოროხის სიგრძე 438კმ.-ია; აქედან, მხოლოდ 26კმ.-იანი მონაკვეთი მიედინება დღეს საქართველოს საზღვრებში), ნარას ქვაბურს (დვალეთს), ჯიქეთს; საუკუნეთა განმავლობაში მასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი სამხრეთდაღესტნური თემები, ბასიანი არაქსის ზემო წელზე, პალაკაციო (ჩილდრის ტბის ქვაბულში) და ჭანეთი. ისტორიულ მინაწალზე როდესაც ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ეთნიკური ჰომოგენურობა, არამედ, პირველ ყოვლისა, კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თანაცხოვრება და ერთგვაროვნება.

დასავლეთით საქართველოს შავი ზღვა სდარაჯობდა (ჩვენი წინაპრები სპერის ან პონტოს ზღვას უწოდებდნენ; ზოგიერთი უცხოელი ავტორი ქართველთა საქართველოს ზღვად მოიხსენიებდა. შავი ზღვა თურქული ყარა-დენიზის თარგმანია), ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთიდან – მტკვარ-ალაზნის შენაკადები, სამხრეთიდან ჭოროხ-ეფვრატის, ჭოროხ-არაქსისა და მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი ქედები. ამრიგად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები თვით ბუნების მიერ ყოფილა საუცხოოდ შემოსაზღვრული. უცხოურ მწერლობაში დაცული ეთნონიმური წარმომავლობის ტოპონიმები: იბერიის კარი (დარიალი), გურჯი-ბოლაზი საქართველოს ყელი ეფვრატის სათავეებში), ძველი ლაზიკე (ნიკოფსი) და სხვა კარგად აჩვენებს ქართული სახელმწიფოს გეოგრაფიულ განფენილობას ისტორიულ ხანაში.

ისტორიულად და გეოგრაფიულად საქართველო ორ ნაწილად იყოფოდა: ლიხთიმერად, ანუ დასავლეთ საქართველოდ და ლიხთამერად, ანუ აღმოსავლეთ საქართველოდ.

საქართველოს ცენტრალურ მხარეს წარმოადგენდა ქართლი. აქ თავს ცირიდა ის გზები, რომლებიც საქართველოს უკიდურეს თემებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ბუნებრივ-გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად, ქართლის მენინავეობას მეურნეობრივი მრავალფეროვნება, მძლავრი სამინათმოქმედო და მეტალურგიული ბაზის არსებობა განაპირობებდა.

ქართლი ერთ დროს მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდებოდა (ძველი ბერძნები და რომაელები მას „იბერიად“ მოიხსენებდნენ), უფრო ვიწრო გაგებით ის შიდა და ქვემო ქართლს მოიცავდა. მისი უძველესი ცენტრი იყო „მთა ქართლი“ (მცხეთასთან, კარსნისხევის სათავეში), საიდანაც ქართლის ტომმა თავისი გავლენა მეზობელ ტომებზე გაავრცელა. ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ ეს ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი პროცესი ქართველთა მითური მამამთავრის, ქართლოსის სახელს დაუკავშირა: „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკვარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე და იშენა მუნ ზედა სახლი, და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა კერპი არმაზისი, ერქუა მთასა მას ქართლი. და მის გამო ეწოდა ყოველი ქართლსა ქართლი – ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა.“

შიდა ქართლისა, ანუ „ზენა სოფელს“ („ზენა ქვეყანას“), სამი მხრიდან ქედები (ლიხის, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი, თრიალეთის) საზღვრავდა, მეოთხე მხრიდან – მდინარე არაგვი. ფიზიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებათა წყალობით ის რამდენიმე წვრილ ქვეყნად იყოფოდა: კასპი, უფლისციხე, მცხეთა, დვანისხევი (ფრონეები), აჩაბეთისხევი (დიდი ლიხვის ზემო წელი), ქსნისხევი, ცხრაძმისხევი, ბაზალეთი... შიდა ქართლის იმ ნაწილს, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და თრიალეთის ქედს შორის იყო მოქცეული, სხვადასხვა დროს ატენისხევი, არმაზის ქვეყანა, ან გაღმა მხარი ეწოდება.

შიდა ქართლის მთიანი ნაწილი მცირე ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყნებს უკავია: მაღრან-დვალეთს (ლიხვის სათავეები), ხევს (თერგის სათავეები), მთიულეთს (თეთრი არაგვი), გუდამაყარს (შავი არაგვი). შიდა ქართლთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული დვალეთიც (ნარას ქვაბუ-

რი ჩრდილოეთ კავკასიაშიკა). შიდა ქართლის ჩრდილოეთ კავკასიათან დამაკავშირებელი უმთავრესი გზა ხევსა და დვალეთზე (დარიალის კარი და დვალეთის კარი) გადიოდა. შიდა ქართლის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ბარში, არ ყოფილა მუდმივი; დროთა განმავლობაში ისინი იშლებოდა, ერთმანეთს ერწყმოდა, ქრებოდა ძველი ქვეყნები, იქმნებოდა ახალი.

თრიალეთს ქედის სამხრეთით ქვემო ქართლი იწყებოდა. ის ვრცელ მინაწყალს მოიცავდა – სამხრეთით დებედას სათავეებამდე, აღმოსავლეთით კი მდინარე ძეგამამდე ვრცელდებოდა. ძეგამიცა და ბამბაკის მთებიც, იმავდროულად, საქართველოს ისტორიულ საზღვარსაც წარმოადგენდა. დასავლეთით ქვემო ქართლი ჯავახეთის მთებამდე აღწევდა.

ქვემო ქართლი „ქვენა სოფლის“ სახელითაც მოიხსენიება. ძველი ბერძნები მას „გოგარენას“, ხოლო სომხები „გუგარქს“ უწოდებდნენ, იქ მოსახლე გუგართა ტომის სახელის მიხედვით. ეს მხარე XII საუკუნემდე, დროდადრო სომხების ხელში გადადიოდა, ამიტომ ქართველებმა მას „სომხითაც“ შეარქვეს. თავად სომხები კი „ვრაც-დაშტს“, ანუ „ქართველთა ველს“ ეძახდნენ.

ქვემო ქართლი რამდენიმე ქვეყნად იყოფოდა; თრიალეთი, დმანისხევი, ბოლნისხევი, ტაშირი (მდინარე დებედაზე), მანგლისის ხევი, გარდაბანი (დებედა-ძეგამირის ორმდინარეთი), გაჩიანი და ასე შემდეგ. ცალკე ქვეყანა ჰქონდა ქალაქ თბილისს; მას პარუარი რქმევია. ყველა თემი მტკვრის აუზს მიეკუთვნებოდა, გარდა აბოცისა (გვიანდელი ყაიყული), რომელიც მდინარე ახურიანის სათავეებს მოიცავდა და, ამდენად, არაქსის აუზში იდო. აბოცის გეოგრაფიული მდებარეობა ერთ-ერთი მიზეზი



იყო იმისა, რომ ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში ის ხშირად სომხეთის შემადგენლობაში ხვდებოდა. ზოგიერთ ამ პროვინციას (თრიალეთს და ტაშირს) უკვე ბერძენ-რამაელი ავტორები ასახელებენ; ხშირად იხსენიება ისინი ძველ სომხურსა და არაბულ მწერლობაშიც.

ინტენსიური მინათმოქმედებისთვის ვარგის მიწებთან ერთად იქ უხვადაა საუცხოო საზაფხულო საძოვრები. ქვემო ქართლის მელითონების მნიშვნელოვან კერასაც წარმოადგენდა.

ქვემო ქართლს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: ლორე-ტაშირის ზეგანი იყო საქართველოს კარიბჭე, საიდანაც მოკლე გზით დედაქალაქზე თბილისზე (მანამადე, მცხეთაზე) მიისვლებოდა. მის გამაგრებაზე ქართველი მეფე-მთავრები საგანგებოდ ზრუნავდნენ: ქართლის სამეფოს არსებობას ხანაში ქვემო ქართლში ხუნანისა და სამშვილდის საერისთავოები მოქმედებდა. გვიან შუა საუკუნეებში ქვემო ქართლი ქართლის სამეფოს მენინავე სადროშოს ქმნიდა და პირველი უხვდებოდა სამხრეთიდან შემოჭრილ მტერს.

დღეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ქვემო ქართლის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილია (გარდაბნის, მარნეულის, თეთრინყაროს, ბოლნისის, დმანისის, წალკის მუნიციპალიტეტები). სხვა ტერიტორიები სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



ბალზამი

100% ნატურალური პროდუქტი!

როცა თვით ბუნება კურნავს...

პროდუქტი



ბალზამი „პროდუქტი“ - გუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა

მის შავადგანდობაში შადის:



თაფლი, დინდგელი, კედარის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი. თაფლი-პროდუქტი, რომელიც შეიცავს 70 სხვადასხვა ნივთიერებას, ძირითადად გლუკოზას, ფრუქტოზას და ვიტამინებს: B1, B2, B3, B, B6, H, K, C, E, A და სხვა. თაფლი ასევე შედგება მთელი რიგი მიკროელემენტებისაგან: მარგანეცი, სილიციუმი, ალუმინი, ქრომი, ბორი, სპილენძი, ბარიუმი, ნიკელი და სხვა.

პროპოლისი-ფუტკრის ნებო. ის შეიცავს თითქმის ყველა ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ელემენტს, რომლებიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური განვითარებისთვის. ამჟამად მასში აღმოჩენილია მცირე ოდენობით ვიტამინები: B1, B2, B3, A, E, PP

კედარის ზეთი-კედარის თხილისა და წიწვის ზეთი ვიტამინების: E, B1, F, C, A ცილების საწყობია.

ქაცვის ზეთი-შეიცავს ვიტამინების მთელ კომპლექსს: C, E, A, H, B1, B2, ასევე სტერინებს და სხვა სასარგებლო ნაერთებს.

გოგრის თესლის ზეთი-დიდი ოდენობით შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. აქვს დახვეწილი გემო და არომატი.

ფუტკრის ცვილი-შეიცავს ცხიმოვანი, თავისუფალი მჟავების, რთულ ეთერებს, მინერალურ ნივთიერებებს და ვიტამინ A-ს. იგი შეიცავს 300-ზე მეტ კომპონენტს.

ნებისმიერ მათგანს ხალხში „ურალის ოქროს ფესვს“ უწოდებენ. მხედველობაში აქვთ ამ კომპონენტების სამკურნალო თვისებათა უნიკალურობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, ტექნოლოგიურად ურთულესი დამუშავების გავლის შემდეგ, ერთიანობაში იძლევა კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენს უზარმაზარ ძალას, რომელიც გასაოცარ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს. ხანმოკლე დროის მანძილზე „პროდუქტი“ დაეხმარა ათასობით ადამიანს დაავადებებთან ბრძოლაში.

პროდუქტი ეფექტურია, როგორც ბარბანი ასევე შინაგანი გამოყენებისთვის, შავადგანი დაავადებებისას:

გულ-სისხლძარღვთა სისტემის: სტენოკარდია, ათეროსკლეროზი, ინფარქტი, ცვალეზადი წნევა, ვენების ვარიკოზული გაგანძობა, ტრომბოფლებიტი, ინსულტი, მაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონია, ჰიპოტონია, **საჭმლის მომნელებელი სისტემის:** გასტრიტი, 12-გოჭა ნაწლავის წყლული, ღვიძლის დაავადებები (ცეროზი, ჰეპატიტი), ნაღვლის ბუშტის (პოლექსტიტი), კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეატიტი), ნაწლავური (დისბაქტერიოზი, კოლიტი, სნორნანალავზე ნახეთქები) და აგრეთვე ბუხალის დროს. **საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის:** ართრიტი, ართროზი, პოლიართრიტი, პოდაგრა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი და ა. შ. **სუნთქვის ორგანოების:** ანგინა, ფარინგიტი, ლარინგიტი, რინიტი, ცხვირის სისხლდენა, ჰაიმორიტი, ქრონიკული ხველა, ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა, პნევმონია, ტუბერკულოზის კომპლექსური მკურნალობისას. **მხედველობის:** გლაუკომა კონიუქტივიტი, მხედველობის ძარღვის ნევრიტი. **საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის:** ართრიტი, ართროზი, პოლიარ-

თროზი, ოსტეოქონდროზი, პადაგრა, კოქსართროზი, პოლიართრიტი და ა. შ. **ცენტრალური ნერვული სისტემის:** ინსულტის შემდგომ რეაბილიტაცია (დამბლა ხელების, ფეხების, ტანის) **ენდოკრინული სისტემის:** მაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. **სისხლძარღვთა ორგანოების:** დაბალი ჰემოგლობინი **შარდ-სასქესო სისტემის:** თირკვლების დაავადებები (პიელონეფრიტი, ნეფრიტი), შარდის ბუშტის (ცისტიტი, ურეთრიტი), ქალის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები-სამედიკოსნოს ყელის ეროზია, მიომა, მასტოპათია და სხვა, მამაკაცის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები-დაქვეითებული პოტენცია, ადენომა, პროსტატა და სხვა. **პერიფერიული ნერვული სისტემის:** რადიკულიტი, ნევრიტი, ნევრალგია **კანის დაავადებები:** ფსორიაზი, ჰერპესი, დერმატიტი, ეკზემა, ნეიროდერმიტი, ტროფიკული წყლული. **იმუნიტეტის გასაძლიერებლად სეზონური ვირუსული დაავადებების დროს:** გრიპი, ანგინა, ყელ-ყურის დაავადებები

სანამ დავიწყებდი თქვენი ნატურალური პროდუქტის მიღებას, მანუხებდა ბევრი პრობლემა ჯამრთელობასთან დაკავშირებით. ახლა კი მინდა მადლობა გადაუხადო თქვენს კომპანიას ასეთი კარგი პრეპარატების შექმნისთვის. დავიწყებ იმით, რომ მქონდა **სახსრების ანთება: ართრიტი და ართროზი. საშინელი ტკივილით კისრისა და ბეჭების მიდამოში. მტკიოდა მენჯის ძვლებიც, გარდა ამისა მქონდა ქუსლის დეზი, რომელიც მიქმნიდა საშინელ დისკომფორტს. მქონდა ნევროზი, უძილობა, საერთო სისუსტე და დაქვეითებული იმუნიტეტი. ქიმიური პრეპარატების მიღებამ, გამოიწვია სოკო და მქონდა ძლიერი ქავილი მკვავებისა და მუცლის მიდამოზე, ჰერპესი ბეჭებზე. სულ მივიღე 6 კოლოფი "პროდუქტი", მირეზული შედეგებით კმაყოფილი დავრჩი. მომემატა ენერგია, ხალისი და იმუნიტეტი. მომეხსნა ტკივილი სახსრებში. ქავილი აღარ მაქვს. ჰერპესიც გაქრა. ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა რომ არსებობთ საქართველოშიც!**

ირინა დისაძე-კალანაძე. 68 წლის. ქ. თბილისი.



რამოდენიმე თვის წინ გადავიტანე იშემიური ინსულტი. შემეზღულა მეტყველება და მივიღე პარალიზება მარცხენა კიდურის. მქონდა **ცუდი სისხლის მიმოქცევა, თავბრუს ხვევა, მაღალი წნევა, ვიყავი უენერგიო, დასუსტებული, დამენყო დეპრესია. თქვენი პრეპარატებით მკურნალობა გადაწყვიტეთ, როცა თქვენს კომპანიის შესახებ გავიგე გაზეთებიდან. მე ვეღვლო ბალზამი „ალტანის ათმაგი ძალა“. მივიღე 5 კოლოფი, ამჟამად მქონდა შედეგი მეტყველებაზე, ნელ-ნელა უკუვალ კიდურების ამოძრავება. შემდეგ გადავიღე ბალზამ „პროდუქტი“. მივიღე 6 კოლოფი. ამანაც ძალიან კარგი შედეგები გამოიღო. დამირეგულირდა წნევა, ვიგრძენი ენერგიის მომატება, გამიძლიერდა იმუნიური სისტემა, დამიბრუნდა სიცოცხლის ხალისი. არ ვაპირებ შეწყვეტას და პერიოდულად მივიღებ პროფილაქტიკის მიზნით. დიდი მადლობა გიხდით ასეთი ეფექტური პრეპარატების შექმნისათვის!**

ჩალმაზი კუცნაშვილი. 74 წლის. ქ. თბილისი.

ვიყავი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიდრე მივიღებდი თქვენი ბიოლოგიურად აქტიურ პრეპარატებს. მქონდა **ქუსლის დეზი და ფრჩხილის სოკო.** ისეთ რთულ ფორმებში, რომ ფეხსაცმლის ჩაცმაც კი მიჭირდა. გარდა ამისა **კუჭის წყლული, ეროზიები, მუდმივად მინეგდა ყოფნა დიეტაზე და მედიკამენტებზე, მაგრამ კარგ შედეგებს ვერ ვიღებდი.**

თქვენი პროდუქტის შესახებ ნავიკითხე გაზეთში და გადავწყვიტე მიმელო ბალზამი „პროდუქტი“ და ზეთი „ჟივიცა“ ერთად, როგორც შინაგანად ასევე გარეგანად. სულ დამჭირდა 6 კოლოფი „ჟივიცა“ და 8 კოლოფი „პროდუქტი“ ახლა უკვე შედეგი მაქვს. ასე მგონია თავიდან დავიბადე. სოკო და ქუსლის დეზი გაქრა, კუჭ-ნაწლავის პრობლემა მომიგვარდა, აღარ მინევს დიეტაზე ყოფნა, შევწყვიტე ქიმიური პრეპარატების მიღება. უღრმესი მადლობა!

ნათელა გურგენიძე. 63 წლის. ქ. ბათუმი.

მოგესალმებით ჩემო კარგებო! ვარ თქვენი პროდუქციის მომხმარებელი. პროფესიით ვარ პედაგოგი. თქვენი ნატურალური პრეპარატების შესახებ ნავიკითხე გაზეთში. დავიწყე მკურნალობა ბალზამი „პრომიოლით“. ჩავიტარე მკურნალობის ორი კურსი, მივიღე 8 კოლოფი „პრომიოლი“. მე მქონდა **სახსრების ანთება(ართრიტი, ართროზი), ტკივილი მხრებისა და ხერხემლის მიდამოში, წნევები ადიოდა 200-ზე, ახლა კი 130/80-ზე მაქვს. მქონდა ქრონიკული ქოლესისტიტი, შეკრულობა, მაღალი მჟავიანობა, ვიყავი მუდამ დიეტაზე და მედიკამენტებზე, რომელიც არ მაძლევდნენ შეღავათს. მხოლოდ თქვენი პრეპარატების მეშვეობით შევძელი ამ პრობლემების მოგვარება. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ყველას ვურჩევ თქვენს ბუნებრივ პროდუქციას. დიდი მადლობა თქვენ!**



ციციონ აბაშიძე, 74 წლის, ქ. ხაშური.

წლებია რაც მაქვს **სასუნთქი გზების ანთება(ქრონიკული ბრონქიტი), კუჭ-ნაწლავის ანთება, ეროზია, სახსრების ანთება, ართრიტი და ართროზი, ნევროზი, უძილობა, სისუსტე.** რა არ ვცადე, მაგრამ შედეგი არაფერს არ მქონდა, ვერ მოვიწესრიგე ჯანმრთელობას. ბოლოს ახლობელმა მიჩნია თქვენი ბუნებრივი პროდუქციის მიღება, ვინაიდან თვითონ კმაყოფილი იყო. გადავწყვიტე მიმეღო ზეთი „ჟივიცა“ და ბალზამი „პრომიოლი“ კომბინირებულად. თქვენ წარმოადგინეთ მიღებისთანავე ვიგრძინე. უკეთესობა სულ მიღებული მაქვს 5 „ჟივიცა“ და 8 კოლოფი „პრომიოლი“. ახსოვს ურად გავთავისუფლდი ამ პრობლემებისაგან. დიდ მადლობას გიხდით!

ნარგიზა ლემუნჯავა, 74 წლის, ქ. თბილისი.

მქონდა მრავლობითი პრობლემები: **სახსრები, გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ვენები(ფეხებზე მქონდა შავი ლაქები), მარჯვენა ფეხის თითებს ვერ ვამოძრავებდი.** თქვენი პროდუქციით მკურნალობა დავიწყე მაშინვე, როგორც კი გავიგე თქვენს შესახებ. ვეღებულობდი ბალზამ „პრომიოლი“ და ზეთ „ჟივიცა“. უკვე მაქვს მიღებული 2 „პრომიოლი“ და 1 „ჟივიცა“. მინდა აღვნიშნო, რომ მე ნამდვილად არ ველოდებოდი ასეთ შედეგებს და თან ასე მოკლე დროში. დღეს უკვე კარგად ვგრძნობ თავს. წელი აღარ მტკივა, ფეხის თითები გაიშალა და თავისუფლად ვამოძრავებ, ზოგადი მდგომარეობაც გაუმჯობესდა. მადლობა მინდა გადავუხადო თქვენს კომპანიას ასეთი პროდუქტის შექმნისთვის!

ბერეკაშვილი ლალი, 64 წლის, ქ. ქუთაისი

მოგესალმებით. მე მანუხებდა **სახსრები, ხელები დაბუყებული** მქონდა, ასევე მტანჯავდა **უძილობა**. ნამლებს რა თქმა უნდა ვიღებდი, მაგრამ არაფერი შედეგი არ მოუტანია. „პრომიოლი“ შესახებ ახლობლებისგან მქონდა გაგონილი. შემდეგ თქვენი ბროსურაც ჩამიფარდა ხელში. გადავწყვიტე დავიწყე მიღება. რამოდენიმე ქილის შემდეგ მომიწესრიგდა ძილი, სახსრებზე ტკივილი მომეშვა, დაბუყებები ხელებზე აღარ მაქვს. დიდ მადლობას ვუხედი თქვენს კომპანიას!

ციცო თედორაძე, 59 წლის, ქ. ოზურგეთი

დიდი ხანია რაც მანუხებს ხშირი შარდვა. ექიმებმა დამიდგინეს **პროსტატის ადენომა**. მქონდა ტკივილებიც და **ცვალებადი ხასიათის წნევა**. ვიყავი მედიკამენტებზე, ამან გამოიწვია კუჭ-ნაწლავის შეკრულობა, მაღალი მჟავიანობა, დამიკვეთდა იმუნუნიტეტი, ხელებში ძალიან არ მქონდა. თქვენს შესახებ გავიგე მეგობრისგან, რომელმაც მიჩნია მოვლას ვიყავი თქვენ კომპანიაში და დამიწყო მკურნალობა ბუნებრივი პრეპარატებით. თქვენთან კონსულტაციის გავლის შემდეგ შევიძინე ბალზამი „პრომიოლი“ და ზეთი „ჟივიცა“. მათი მიღების შემდეგ მომიწესრიგდა შარდვა და წნევა, გამომჯობესდა კუჭ-ნაწლავის მოქმედება, შეკრულობა აღარ მქონია, თავს მხნედ და ენერგიულად ვგრძნობ. ძალიან დიდი მადლობა თქვენს კომპანიას!

შოთა მეშველიანი, 75 წლის, ქ. თბილისი.



დიდი ხანია რაც მაქვს **პროსტატის ადენომა**. ვიტარებდი მკურნალობას მედიკამენტებით, უშედეგოდ. მქონდა **წვა, ხშირი შარდვა, ტკივილი**. გარდა ამისა **დაბალი წნევები და სუსტი იმუნუნიტეტი**, მანუხებდა **შეკრულობაც**. ახლობელმა მიჩნია მოვლას ვიყავი თქვენს კომპანიაში. გავიარე კონსულტაცია და მიჩნეეს ბალზამი „პრომიოლი“. მივიღე 10 კოლოფი, კარგი შედეგი მომცა. მომეხსნა ტკივილი და წვა. მოწესრიგდა შარდვა, წნევა და შეკრულობა აღარ მაქვს. გამიძლიერდა ორგანიზმი, თავს ვგრძნობ ჯანმრთელად და ენერგიულად. დიდი მადლობა თქვენ. მე არ ვაპირებ შეწყვეტას და განვაგრძობ „პრომიოლი“ მიღებას.

ამირანი გოგიბერიძე, 74 წლის, ქ. ბათუმი.

დიდი ხანია რაც მაქვს **მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტი**. ვარ მედიკამენტებზე. ქიმიური პრეპარატების მიღებამ გამოიწვია **კუჭ-ნაწლავის ანთება, შეკრულობა და შებერილობა**. დიაბეტის გამო **დაქვეითა მხედველობი**, ასევე გამოიწვია **სისხლ-ძარღვების შევიწროება, მაღალი წნევები, ვარ უძალდოვანად, კანი მქონდა ძალიან გამომშრალი და გაუხეშებული**. თქვენი პროდუქციის შესახებ ნავიკითხე გაზეთში, გავიარე კონსულტაცია და მიჩნეეს მიმეღო ბალზამი „პრომიოლი“ და ზეთი „ჟივიცა“ კომბინირებულად. სულ მივიღე 3 კოლოფი „ჟივიცა“ და 4 კოლოფი „პრომიოლი“. დამირეგულირა შაქარი, წნევა, კუჭ-ნაწლავის მოქმედება, მომეშალა მხედველობა. მომეცა ძალიან ენერჯია, კანიც დატენიანდა და დამირბილდა. უღრმეს მადლობას გიხდით ყველას!

ია ჭყოიძე, 76 წლის, ქ. ხაშური.

მოგესალმებით! ჩემი ახლობლის რჩევით მოვედი თქვენთან. თვითონ იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ფაქტობრივად ჩანოლილი, ვერ მოძრაობდა, თქვენი ნატურალური პროდუქციის მიღების შემდეგ, დაუჯერებელია, მაგრამ ნამოდდა და ახლა ძალიან კარგად გრძნობს თავს. რაც შეეხება მე, მქონდა რთული მდგომარეობა, გამიკვეთდა ოპერაცია თავის მიდამოში, დიაგნოზი - **მარცხენა ტვინის მენინგიომა**. მქონდა **მაღალი წნევები(200-მდე), მესხიერების დაქვეითება, თავბრუსხვევა და თავის ტკივილი**. ოპერაციის შემდეგაც არ მქონდა უკეთესობა. ბოლოს გადავწყვიტე დამეწყო მკურნალობა ბალზამი „პრომიოლით“. მე 3 კოლოფის შემდეგ მქონდა შედეგი. მომეხსნა ტკივილი და თავბრუსხვევა, მომეშალა ენერჯია, დარეგულირდა წნევა, დამიბრუნდა სიცოცხლის ხალისი. ამ ყველაფრისთვის დიდ მადლობას გიხდით!

ზოია ასანიძე, 56 წლის, ქ. საჩხერე.



გაყიდვების განრიგი

14 და 28 ივლისი

ბათუმი, მის. ყაზბეგის №15.სასტ. „ყაზბეგი“.	10.00-12.00 სს.
ქობულეთი, მის. აღმაშენებლის გამზ №388, სასტუმრო „რივიერა“	13.00-14.00 სს.
ოზურგეთი, მის. იოანე პეტრიწის №1, რესტორანი „იზაბელა“.	10.00-11.00 სს.

ბალზამი „პრომიოლი“ ერთი შეფუთვის ფასი: 32,80 ლ.
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29,80 ლ

ასევე გაყიდვებშია: ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა“, ზეთი „ჟივიცა“, მალამო „ეფექტუმი“, „ყურის სანთლები“, თვალის წვეთები „ფაურინი“, „ტონგკატ ალი“.

☎ (+995) 571 22 98 98 **არ წარმოადგენს მედიკამენტს!**

„სიხარული უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტეა“

...და ვით დაივიწყოს
რითმებმა მზის დისკოს,
ღრუბლებში ჯვარცმული!
ამ ლექსში, ქართულში,
ის დარჩეს, ის იუოს!

მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე)

მამა ადამი – ვახტანგ ახალაძე – ცნობილი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეა. იგი – ღვთისმსახურია, ლექსებს წერს და აქვეყნებს. პოეტობა ხომ დიდი ჯვარია: საერო პროფესიის კაცს ყოველთვის შეუძლია ცოტა ხნით სრულიად მიივიწყოს თავისი საქმიანობა და უკან მიუხედავად მიეცეს მხატვრულ სიტყვიერებას; ღვთისმსახურის ღვაწლი კი მხოლოდ პროფესია არ არის, იგი ამავე დროს შინაგანი მდგომარეობაა. როგორც დათო წერედიანი წერს, „მამა ადამის პოეზიაში ზნეობრივი სიმაღლე ყოველთვის დაცულია, მისი დამოკიდებულება უშელავათოა, ყოვლისმომცველი და განმსჭვალველი“.

რა ჰქვია ამას...
სულის ამბოხს
და ამბოხის სულის ამოღვრას,
ძილის დაგდებას
და ღვიძილის სიზმართ ამოთქმას...
განწირულბას იმისათვის,
ვინც და რაიც თავს გირჩენია...


– რას ნიშნავს მისთვის ნამდვილი პოეზია?

– „უზუსტესი მარცვლისათვის ნაკვერჩხლებთან შიშველ თითებით შებმას“. მამა ადამის ეს ნათქვამი ლიტონი სიტყვები არ არის... მისი მთავარი მიზანდასახულობა საბოლოო ჯამში ასე შეიძლება გამოიხატოს – „პოეზია უპირველეს ყოვლისა,, ხოლო ყველა დანარჩენი შემდგომ, სანამ დღეს – აქ და ახლა – ოდენ ლექსის ჟამია.

მამა ადამი 7 წელია თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. როგორც ყველა გურული, ისიც ღიმილით შემხვდა, ჟურნალი „გურია REGION“-ი დალოცა და წარმატებები გვისურვა.

– თქვენი გვარის წარმოშობაზე გვიამბეთ.

– თითქმის ყველა გვარი რომელიმე სახელიდან მომდინარეობს, მაგალითად, აბაზა, ახალა, ბარათა, გელა, დათუა, ელიოზი, სიხარულა, ნუგეშა, მონავარდისა და ასე შემდეგ. ახალაძეები მესხეთიდან მოვიდვართ, შემდეგ გურიაში დავსახლებულვართ. ჩვენი გვარი ჯერ კიდევ XI საუკუნის იმ წერილობით წყაროებში ჩანს, ხელნაწერთა ინსტიტუტში რომ ინახება. იქ მოხსენიებულ ჩვენი გვარის წარმომადგენელთა შორის ერთი სასულიერო პირია, ბერი საბა, სტეფანეოფილი. ჩემთვის მოულოდნელი სიხარული იყო მისი პოვნა-აღმოჩენა. გურიაში ახალაძეების სამკვიდრებელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებია – კონხარი, საჭამიასერი, ნაკადული, ქვაყუდე... აქვე ყოფილა ჩვენი საგვარეულო სალოცავიც, რომლის მთავარი სინმინდე – წმინდა გიორგის ხატი, სავარაუდოდ, დღემდეა შემორჩენილი და ეროვნულ საგანძურშია დაცული. XIX



მამა ადამი ახალაძე

საუკუნის ბოლოს ჩვენი წინაპარი გურიიდან გოჩა ჯიხაიში გადასულა. იქ მცხოვრები ახალაძეები, ყველანი ნათესავები არიან. ახალაძეები აჭარის რეგიონში, გონიოშიც გვხვდებიან, თუმცა მათ გვარს ცოტა განსხვავებული ისტორია აქვს.

– მამა ადამ, რა პროფესიის ბრძანდებით?

– 1984 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დავამთავრე. შემდეგ მოსკოვში კლინიკურ ორდინატურაში განვავრძე სწავლა სპეციალობით „გულ-სისხლძარღვთა ქირურგია“, იქვე დავიწყე მუშაობა და სტაჟირება, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია გულის თანდაყოლილი მანკებით დაავადებულთა ანესთეზიოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებზე. თბილისში 1991 წელს დავბრუნდი და წლების განმავლობაში ერთადერთ გულის ქირურგიის კლინიკაში ვმუშაობდი. 2003 წელს მეორე სადოქტორო დისერტაცია დავიცავი... 2004 წელს მონასტერში წავედი...

– როდის დაიწყეთ ლექსების წერა?

– როგორც გურულები იტყვიან, ბალნობაში. თუმცა მეტწილად პროზას ვწერდი, რადგან ლექსები საბავშვო გაზეთში არ დამიბეჭდეს და ვფიქრობდი, ალბათ, დიდად არ გამომდის-მეთქი. პოეზიის გარეშე არასდროს დავრჩენილვარ. ადამიანში პოეზიის სიყვარული აუცილებლად უნდა ცოცხლობდეს. ის კი არ არის მთავარი, ლექსებს წერ თუ არა: როცა შენი თავი არ გეყვარება პოეზიაში, არამედ პოეზია შენში, მაშინ სხვა პოეტებით გაიხარებ, მათი ლექსებით... ვერ გეტყვით, რომ ძალიან ბევრს უხარია კარგი ლექსი, თუმცა, ხმამაღლა ვიტყვი, რომ სხვა პოეტებით თუ არ ხარობ, კაპიკია შენი ფასი.

– მამა ადამ, ჩვენ ბუნებრივად მივედით სიტყვა სიხარულთან, რას ნიშნავს საღვთო სიხარული?

– ძალიან კარგი კითხვაა. სიხარული არის უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ღვთისმშობელს ჩვენ ვუგალობთ, როგორც წყაროს სიხარულისა, ვუნოდებთ დედას, მშობელს სიხარულისა. მაღლი სწორედ სიხარულშია დავანებული, რომელიც ყოფითი მხიარულებისაგან უნდა გავარჩიოთ. სიხარული არის შინაგანი, ძალიან ღრმა, გულის მდგომარეობა. ჩვენს ტაძარში არის ერთ-ერთი მთავარი ხატი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, რომელსაც „მოულოდნელი სიხარული“ ჰქვია. სწორედ რომ მოულოდნელად

შემოდის ადამიანში სიხარული უპირატესად, როცა იგი ზე-
ციური წარმოშობისაა და ამაღლებული. ჩვენ განსხვავე-
ბულად გვზრდიდნენ, თუმცა ბევრი მაშინაც და დღესაც
პრაგმატიზმს ამჯობინებს: თუ აგარაკი გაქვს, ბევრ ფულს
დააგროვებ, წარმატებული კარიერა გექნება, ეს არის სი-
ხარული. სამწუხაროდ, არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის
ჭეშმარიტი სიხარული.

**...უფრო სიხარულობს ჩემი სიხარული,
შენ რომ მსიხარულობ, ის რომ სიხარულობს...**

- გურულები ემოციური ხალხია...

- გეთანხმებით, ეს მათი ეთნოფსიქოლოგიაა. ამ ადა-
მიანებს ახასიათებთ ემოციურობა, ზედმეტად მგრძნო-
ბიარობა, გნებავთ სიფიცხე, ანუ ექსტრავერტები არიან,
რაც განპირობებულია როგორც ისტორიული ყოფით, ისე
ბიოლოგიური თავისებურებებით, მაგალითად, იმით, რომ
შესაბამისი ნეიროენდოკრინული აქტიური ნივთიერებანი
- ჰორმონები გურულებში დიდი რაოდენობითაც არის და
ასევე სწრაფადაც გამოიყოფა.

- საიდან მოდის ეს თვისებები?

- ეს თვისებები გურულებს სულში აქვთ! მათ ახასია-
თებთ სიკეთე და არა ბოროტება. მოგესხენებათ, ბოროტი
მომთმენია, თავის თავში დიდხანს ატარებს სიძულვილს,
უარყოფით განცდა-გრძნობასა და ეგოისტურ დამოკი-
დებულებას, სურვილს, რომ სხვას სამაგიერო გადაუხა-
დოს; ამიტომ დაბოლმილი დადის, გეგმავს შურისძიებას,
არ სულსწრაფობს, მოთმინებით და სიმშვიდით ელოდება
მომენტს, როდესაც... იცით, როცა ადამიანი გულლია და
სიკეთით სავსეა, ის სწრაფად რეაგირებს, დაუფიქრებლა-

დაც, რაც გულში უდევს, სამზეოზე გამოაქვს... მას არ
შეუძლია სამწუხარო ამბავზე თვალბეზე ცრემლი არ მოად-
გეს, სასაცილოზე არ გაიცინოს... თუმცა როგორი დამწუ-
ხრებულიც არ უნდა იყოს, არ შეუძლია ოდნავ მაინც, თუ
ამას გარემოება მოითხოვს, გულით არ გაუღიმოს სხვას;
როდესაც ახალ ამბავს გაიგებს, ისეთ მოსხლეტილ ნათ-
ქვამს მოისმენთ, ნებისმიერ მწერალს შეშურდება?! ამას
სჭირდება გამორჩეული ნიჭი, გონებაშეხილობა და დიდი
სიყვარულის უნარი. ასეთი ადამიანები გულგრილები ვერ
იქნებიან. ეს მნიშვნელოვანი თვისებაა! ზოგი ფიქრობს,
რომ ემოციურობა ყოველთვის კარგი არ არის. თუმცა, გა-
სათვალისწინებელია, რომ ეს ის ზღვარია, რომლის იქით
ადამიანებს არ შეუძლიათ, არ გამოხატონ თავიანთი თანა-
დგომა მწუხარებაშიც და სიხარულშიც. ასეთი ადამიანები
გამოდგებიან ღმერთისთვისაც და მოყვასისთვისაც. აკი
ცნობილი გამონათქვამია: „გემინოდეთ გულგრილებისა!“

სიმშვიდე სწორედ მაშინ არის პოზიტიური ფენომე-
ნი, როდესაც ადამიანი გააზრებულად, მთელი არსებით,
შეგნებულად, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და, რაც
მთავარია, ლოცვისა და რწმენის შედეგად მოიპოვებს მას.
ეს განსხვავებული სიმშვიდეა. თითოეული ჩვენთაგანი
ხომ საკუთარ თავზე მუდმივად ვმუშაობთ, გვსურს კიდევ
უფრო მშვიდნი ვიყოთ. არის პერიოდი, როცა უფალი ამას
გვჩუქნის, შემდეგ კი ისევ გაგახსენებს თავს გურული და
არანაკლები იმერული წარმომავლობა. შენს თავს ყოველ-
თვის უნდა აკვირდებოდე, მუდამ შენი გულის სარკეში იც-
ქირებოდე... როცა ადამიანი ნუხილს, თანაგრძნობას გამო-
ხატავს ემოციებით, ამას შეიძლება ადვილად „მოველოს“,
როცა მას აქვს კეთილი გული და გონება; ან თუ ადამიანი





დილით და საღამოს ლოცულობს, დადის ეკლესიაში, ხედავს, აქ როგორი გარემოა და ასე თანდათან თვითონ ემსგავსება ამ წიაღს. მთავარია, მადლის ზემოქმედების შედეგად შემოსული სიმშვიდე.

– რთულია მოიპოვო ასეთი სიმშვიდე?

– პირდაპირ ვერაფერს გახდება მშვიდი, მას ყოველთვის ექნება რეაქცია, პირადი გრძნობა, გულიც შეუთამამდება... რაც შეეხება ბუნებრივად არსებულ სიმშვიდეს, მაგალითად, რაჭველი და ლეჩხუმელი რომ გააბრაზო, ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება – ისინი ხშირად უდიერ სიტყვასაც კი არ აღიქვამენ გამაღიზიანებლად. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სწორედ ემოციური ადამიანის სიმშვიდეა უფრო დასაფასებელი, უფალი მას ბევრ სიკეთეს და მადლს მისცემს ამ ღვანლისათვის, ვიდრე იმათ, ვინც ბუნებითაა არაემოციური. ხომ გასაგებია, რომ გურმანი ადამიანისთვის მარხვა რთულია; მისი მარხვა სხვაგვარად შეიწირება, ვიდრე მეორე კაცისა, რომლისთვისაც სულერთია, რას და რამდენს აჭმევ. ღვთის სათნო თვისებებს აღზრდა ესაჭიროება, მეცადინეობა და მონდომება! თუ შენ საკუთარ თავში უარყოფით თვისებებს ხედავ, რამდენად გამოასწორებ – ნაწილობრივ, თუ აბსოლუტურად, ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული. სიკეთის, სიყვარულის, სინანულის და ღვთის მორჩილების უნარი შენი რწმენიდან უნდა მოდიოდეს. ზოგჯერ ადამიანები არავის შენიშვნას არ აძლევენ. აი, ასეთი შემთხვევა მახსენდება: იმ გარემოში, სადაც ვიმყოფებოდი, ბევრი რამ არ მომეწონა, მაგრამ იქაურ პასუხისმგებელ პირს – უფროს კაცს არაფერზე რეაქცია არ ჰქონდა, არავის უჯავრდებოდა... ვთქვი – ეს ადამიანი რა ბედნიერია, რა სიმშვიდით ხვდება ყველაფერს-თქო. იქვე მდგომმა ახალგაზრდა კაცმა, ჩემი აზრი რომ მოისმინა, მითხრა – მამა ადამ, არ მეგონა, თუ თქვენ ასე იფიქრებდით, ნუთუ არ სჩანს, რომ მისთვის სულერთია ეს ყველაფერიო. მის პასუხზე უცებ შევცბი, რადგან სიმართლე მითხრა. ხშირად ასეთი საქციელის უკან გულგრილობა იმალება, რაც მიუტყვევებელია... მგრძნობიარობა, ემოციურობა და გულშემატკივრობა კი აგრესიულობისგან და უხეში საქციელისგანაც უნდა გავმიჯნოთ.

– როგორ უნდა დაამარცხოს საზოგადოებამ აგრესია?

– ამის ერთ-ერთი ნამალი გურულობაა (ვხუმრობ). არა მარტო ის, რომ ემოციური და მგრძნობიერ ხარ, შენ თანაგრძნობის უნარიც გაქვს, სხვას სიხარულსა და ჭირში თანადგომას უცხადებ... მნიშვნელოვანია ის, თუ ოჯახში

როგორ ვზრდით ბავშვებს. აკი სწორედ ოჯახში ვაჩვენებ მათ აგრესიას (ან პირიქით). არიან სხვადასხვა ფსიქოტიპის ბავშვები: ერთს უწინდება სურვილი აგრესიაზე თვითონაც აგრესიით უპასუხოს, მეორე ითრგუნება და დეპრესიაში ვარდება, ემართება შიშები, კომპლექსები და სხვა ფსიქოპათიური გადახრები. თუმცა ისეთი კატეგორიის ბავშვებიც არსებობენ, რომლებსაც აგრესიულობაზე პროტესტის გრძნობა უყალიბდებათ, მთელი არსებით სძულთ აგრესიული გამოხდომები, ყველაფერს აკეთებენ, რათა მთელი ცხოვრება აგრესიას არ მისცენ უფლება რაიმე სახით გამოვლინებისა მათ ირგვლივ სამყაროში. სამწუხაროდ, ასეთი ჯანსაღი ფსიქიკის მოზარდი ცოტაა, ის, ვისაც შეუძლია ამას გაუძლოს. აგრესია იქ იმარჯვებს, სადაც გულგრილობაა და არ არის სიყვარული! ბოროტებამ რომ გაიხაროს, თავისუფალი ადგილი უნდა იპოვოს. ადამიანს მისი საბოლოო დამარცხება არ შეუძლია, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია ბავშვები სიყვარულით აღვზარდოთ. მთავარია კიდევ – მშობლების მზადება მშობლობისთვის! დედამ და მამამ უნდა იცოდნენ, როცა ბავშვი ჩაისახება, მშობლებში არსებული ბოღმა და სიძულვილი მასზე გადადის. თუ ორსულობის დროს დედას უარყოფითი განწყობა აქვს საკუთარი – ყველაზე მშვენიერი მდგომარეობის მიმართ, როგორცაა ორსულობა, თუ მასში არ გაიღვიძა სიბოძო და სიყვარულმა, მაშინ რა ქნას ჩასახულმა ბავშვმა, ის ძალიან სათუთია, შეიძლება არ ეჩხუბო, არ დასაჯო, სულ ეფერებოდე, მაგრამ თუ ბავშვი ვერ იგრძნობს იგი გაუცხოვდება, გაიზრდება უხეში და მოძულეც კი. მას ხომ ყველაფერი კარგად ახსოვს, ისიც, მამამ ცხრა თვის მანძილზე მასზე რომ არ იფიქრა და იწუხა... დედაც და მამაც სულ უნდა ეფერებოდნენ, ესაუბრებოდნენ, იავნანა და სხვა სიმღერები უმღერონ, ზღაპრები კი არ წაუკითხონ, არამედ მოუყვენ. ლექსები უნდა შეაყვარონ, მშვენიერება, ის, რაც ციურია და ამაღლებული... როცა აგრესია და უხეში დამოკიდებულება შემოდის სოციალურ ფილმებში, გავისხენოთ, რომ, მაგალითად, ქართული მულტიპლიკაციური ფილმები ბავშვთა ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა...

განა გურული უხეშია?!

ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები – ილიკო და ილარიონი ერთმანეთს წამდაუნუმ არ უბრაზდებიან, იმიტომ რომ ეს მათი თამაშის ფორმაა! როლი შენ თავზე უნდა მოიხრგო. ხშირად მოძღვრებიც ვირგებთ ასეთ როლს. როცა ვხუმრობ, გურული ან იმერელი, თუნდაც კახელი, იოლად მიგებს, მაშინვე თამაშში შემოდის, რადგან ნიჭიერი მსახიობობა მისი თვისებაა. ხოლო როცა სხვებს იგივეს ვეუბნები, თან ღიმილს ვაყოლებ, ხმას ვიცვლი, ხაზს ვუსვამ განწყობას, ვეხმარები, რომ გაიგონ ჩემი. ამიტომ ხუმრობით, სიყვარულით შეგხვდავ, თან თითქოს ვუნყრები... გურულებზე ანეკდოტებს არ ვერიდები, მესმის მათი, ვინც ანეკდოტების, საუკეთესო ნიმუშებს აგროვებს. მასში ხომ ხალხის სიბრძნეა გამოხატული. თუ თვითკრიტიკისა და თვითირონიის უნარი არ გაქვს, შენ თავს ვერ დასცინებ, რა ადამიანი ხარ მაშინ?! პირველ რიგში ეს უნდა შეძლო – საკუთარ თავს დასცინო. ძალიან მომწონს ერთი ანეკდოტი: კახელი გურიაში ჩავიდა. მიიხედ-მოიხედა და გაკვირვებული ამბობს, აქ რომ კაცი გაიგოდეს, როგორ უნდა მიხვდეთ?! ასეთია კახელის თვალთ დახასული გურია. მათ სწრაფი მეტყველება ახასიათებთ, სხაპასუხობით. თუ ნელა და ღინჯად საუბრობენ, ვამბობ – ეს „პატენტი“ გურულია.

როცა გურიაში ჩავდივარ, მსურს, სწრაფი, მოსხლეტილი წინადადებები მოვისმინო. აი, ასეთი დიალოგი:

- სა მიხვალ?
- სა მივალ?!
- სა მიხვალ?
- სა მივალ?!
- ჰო, სა მიხვალ?
- სა მივალ-და, ყანაში.
- ამ უთენია?
- რავა, დაკეტილი დამხვებუა თუ?!

საქართველოში ყველა კუთხის ხალხს ახასიათებს ენა-მოსწრებული საუბარი. განა კახური იუმორი სიხარულით სავსე არ არის, ისინი ხუმრობებს უფრო სხვაგვარი საქციელით, სიღინჯესთან შეზავებულად გამოხატავენ. ამას წინათ უცხოელი მომლოცველები ჩამოვიდნენ. ერთმა ქალბატონმა ბოდბეში წაიყვანა. გზაზე კახელი გლეხები მარწყვს ყიდდნენ. ავტომანქანა გააჩერა, გადმოვიდა, უყურებს მარწყვს, არჩევს. კახელი პაპაც აკვირდება, ეკითხება – შვილო, სადაური ხარ?

- პაპა, გურულის და იმერელის ნაზავი ვარ.
- კახელი დანაღვლიანდა, ასეთი კარგი ქალბატონი გურულის და იმერელის ნაზავიაო.
- ჰოო... აირჩიე, შვილო, აირჩიე, – ებრალება პაპას, კახელი რომ არ არის კლიენტი.
- ეგ არაფერი, პაპა, კიდევ მეგრელის ცოლი და, შესაბამისად, რძალი ვარ.
- პაპა არც კი ფიქრდება:
- ეგენი კი არიან მაგის ღირსი.

- ყველა ადამიანი თავის ჯვარს ატარებს.
- რა თქმა უნდა, ზოგის ჯვარი მძიმეა და რთული, ზოგის კი – შედარებით იოლი. ადამიანი თავის მომავალს თვითონ განსაზღვრავს. მას უნდა ჰქონდეს განსჯის უნარი, თუმცა ეს მაშინ, როცა ღმერთი იცის და იმაზე ფიქრობს, საით მიჰყავს ღვთის ხელს. თუ განსჯის უნარი გაქვს და იმავე მიმართულებით წადი, საითაც ღმერთს მიჰყავხარ, ბედნიერი ხარ. ადამიანი თავად ჭედავს თავის მომავალს, თვითონ უნდა გაიგოს, მოერგოს, შეენიანაღმდეგოს, გაიმარჯვოს, იბრძოლოს... ვის ებრძვის ადამიანი? რა თქმა უნდა, ის პირველ რიგში თავის თავს ებრძვის, შემდეგ სხვებს. მტერი ყოველთვის მნიშვნელოვან დროს გამოჩნდება.

- როდის არის ეს მნიშვნელოვანი დრო?
- მეომარი ბრძოლის ველზე იმ დროს უნდა გავიდე, როცა სათანადოდაა მომზადებული. უფალიც მტერს მაშინ გამოუჩენს, როცა ადამიანი მებრძოლად უნდა გაიზარდოს. სწორედ ბრძოლაში, განსაცდელეებში გამოიწრთოს მისი ხასიათი. ზოგჯერ ადამიანი მორწმუნეა, თუმცა არ იცის, რა არის ცოცხალი ღმერთი. ამიტომ მისი შეცნობა უნდა ისწავლოს და ყველა საქმეში ღვთის ხელი დაინახოს. სწორედ მაშინ გაიმარჯვებს და მოიპოვებს სულიერ სიმშვიდეს, რაც ასე იშვიათია ყოველდღიურ ყოფაში. ხშირად ვიმეორებ ქადაგებებში – გადაგვარჩენს მხოლოდ ცოცხალი ადამიანის ცოცხალი რწმენა ცოცხალი ღმერთის მიმართ!


- და ბოლოს?
- ისევ ლექსი, თანაც გურიის სიყვარულით დახუნძლული – „წითელი ტყემლის ხე“.

ტრიფოლიატის ღობესთან
წითელი ტყემლის ხე:
ამდენ სიმწვანეში როგორც ტროპიკული

ხესილი – უცხო რამ და ეკოტიკური.
წითელი ტყემლები,
ალუბლის და კიდევ შინდისფერ ფოთლები –
წითელა ბატონების
სიცხიან თოვლების
შეება და ნუგეში.
დინჯი და უკარება
წითელი ტყემლის ხე –
შავწითელ ფოთლები,
მარწვევით ტყემლების
დამსკდარი კანი და
იქიდან გადმოღვრილი
სისხლიან ცრემლები
სტუმარ-ბატონების
სიცხიან თოვლების,
წითელი ფოთლები,
ენდროსფერ ტოტები...

მანახეთ, მანახეთ
ბატონებიანი
რძიანი ბაღლობის
მარწვევისფერ-შინდისფერ-წითელი
ტყემლები...
გურული ეხო-კარის უცხო რამ სიხეწვე,
შენ შემოგვევლები!

ლელა სურმავა



გჯეროდეთ ჩვენი, ჩვენ მზიურის თაობა ვართ



დრო, რომელმაც 20-მდე ადამიანის სიცოცხლე შეაჩერა გოგა ჩანადირის ფოტო

ლაფში ამოსვრილი მზიურის განმენდა თუ შიშველი ხელებით მოვახერხეთ, გაუტანლობაში ამოსვრილი ქვეყნის განმენდასაც შევძლებთ. გჯეროდეთ ჩვენი, ჩვენ მზიურის თაობა ვართ.

13 ივნისს თბილისში ღამის 10 საათზე მომხდარმა ტრაგედიამ გადაფარა შეხედულებები, ახალგაზრდები ბევრად ძლიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე უფროს თაობას ეგონა. რთულ დღეებში ისინი მთავრობაზე დიდი ლიდერები იყვნენ. არის თუ არა ეს სამოქალაქო საზოგადოების შექმნის დემონსტრირება, თუმცა აქ სათუო არაფერია. ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეროვნებისა და რასის ახალგაზრდებიც გამოხატავდნენ მხარდაჭერას.



ტელეკომპანია CNN-ი მომხდარ სტიქიას ასე გამოეხმაურა – თბილისში ყოველი დღე ახალი გმირების ისტორიით იწყება.

მზიურში მისულ ახალგაზრდებს ჯერ არლეკინი, შემდეგ ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები – ზურიკელა, ოლა ბებია, ილიკო და ილარიონი შეეგებნენ. ისინი უვნებელი დარჩნენ, სტიქიამ აქამდე ვერ მოაღწია. იქვე სამხედრო პირი უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე გაესაუბრა, მოხალისეებმა პირბადე გაიკეთეს და სტიკერი 13 ივნისი ერთად თბილისისთვის მაისურებზე დააკრეს. 20-მდე ახალგაზრდა დაღმართს დაუყვა.

სულ მალე სტიქიის შედეგად დაზიანებული ტერიტორია გამოჩნდა, მაშველები, მოხალისეები და ჯარისკაცები ხის დიდ მორებს ეზიდებოდნენ. დაჭაობებულ ადგილებს მძიმე ტექნიკა ასუფთავებდა.

ერთ-ერთმა მაშველმა ასე იხუმრა – ეჰ, ახლა ნოდარ დუმბაძეს შეახედა აქ რა ხდება. მას კიდევ ბევრი იდეა ჰქონდა, მაგრამ განხორციელება ვერ მოასწრო.

ჩემი ინტერესის ობიექტი მაშველები და ჯარისკაცები არ იყვნენ. იმ ახლგაზრდებთან მივედი, რომლებიც ტერიტორიას ასუფთავებდნენ. თვითორგანიზებულები, არც უფროსების მითითებები და არც ღირეტივები. დამოუკიდებელი საქმიანობა მეტ სტიმულს აძლევდათ. ისინი ვერც შესაძლო ეპიდემიის გავრცელებამ შეაშინა, ეს ხომ მათი ქალაქია, რომლის მოვლა ელვისებური სისწრაფით ყველას გადაედოთ.

გიორგი გვენეტაძე, აბიტურიენტი: ჩვენ ქალაქზე გული შეგვტკივა, ამიტომ მოვედით აქ.

- **ხშირად დადიოდი პარკში?**
- კი, უმეტესად შატალოზე.
- **გიყვარს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები?**
- „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მაქვს ნაკითხული.
- **ალექსანდრე სულხანიშვილი, აბიტურიენტი:** უკვე მეოთხე დღეა აქ ვმუშაობ.
- **მითითებებს თუ გაძლევენ?**
- წინა დღეებში ჩვენით ვასუფთავებდით, დღეს მითითებები მოგვცეს. გსურთ, ცოტა ინტრიგა შემოვიტანო?

- მსურს.

- დღეს მაშველები საერთოდ არ მუშაობდნენ, ჩვენთან მოვიდნენ და გვითხრეს – ბიჭებო, თქვენ ნაილეთ მორებით.

- მშობლები თუ გიშლიან აქ მოსვლას?

- არა, პირიქით ჩვენი საქმიანობა ემაყუებათ.

მარიამ ხელაშვილი, სტუდენტი: აქ ისეთი დადებითი აურაა, მიხარია, ახალგაზრდები ერთად რომ ვართ. სტიქიამ გაგვავერთიანა.

ქიამ გაგვავერთიანა.

- მარიამ, დუმბაძის რომელი ნაწარმოები გაქვს ნაკითხული?

- ძალიან მომეწონა „თეთრი ბაირალები“.



რამაზ მამედოვის ფოტო



– რამდენ ხანს უნდა იმუშაოთ?

– დაახლოებით 5 დღე.

ანი ქურდაძე, სტუდენტი: ბიჭები მძიმე საქმეს ასრულებენ, მორები მიაქვთ. გოგოები ჯაჭვში ვდგებით და ხის ტოტები გამოგვაქვს.

– ანი, დუმბაძის რომელი ნაწარმოები მოგწონს?

– „ნუ გეშინია დედა“.

ნინო ბოჭორიშვილი, სტუდენტი: აქ მუშაობა რთულია, ბიჭები ჩვენზე ზრუნავენ.

– ნინო, დუმბაძის რომელი ნაწარმოები ნაიკითხვ?

– ბავშვობაში ნავიკითხე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ძალიან მომეწონა.

ახალგაზრდებთან გასაუბრების შემდეგ ქართულ-ამერიკულ კოლეჯთან ჩავედი, შენობა შლამით იყო გავსებული, ეზოს მძიმე ტექნიკა ასუფთავებდა. შემდეგ სამედიცინო პუნქტში ოჯახის ექიმს სოფო თულაშვილს გავესაუბრე.

– ჩვენ ვართ სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“, მეოთხე დღეა მოხალისეებს, ჯარისკაცებს და მაშველებს პირველად სამედიცინო დახმარებას ვუწვევთ.

– უმეტესად რა დაზიანებებით მოგმართავენ?

– ეს არის კანის ზედაპირული დაზიანებები, წნევის ცვალებადობა. ყველას ვაძლევთ რეკომენდაციას, მიწით დაზიანებული ჭრილობების შემთხვევის დროს, ანტიტეტანური შრატის ვაქცინაცია ჩაიტარონ, რომ ტეტანუსის განვითარებისგან იყვნენ დაცული. როგორც ყველა ექსტრემალურ ვითარებაში ჩვენი საუბარი შეწყდა, ძლიერი კუჭის ტკივილით ახალგაზრდა ქალბატონი შემოვიდა, მას სასწრაფო დახმარების გამოძახება დასჭირდა.

მოხალისეები სამზრეულოდან... ხალხი, რომე-

ლიც ყოველდღე ასმევდა, აჭმევდა ჯარს, მოხალისეებს, მაშველებს და ექიმებს.

სანდრო მამულაშვილი, მუსიკოსი: ერთი კვირის წინ, ქვემოთ მორებზე ვმუშაობდი, დიდი მორი დამეცა, კოჭი ჩამტვრეული მაქვს. ექიმი აქ მოსვლას მიკრძალავს, მიუხედავად ამისა დილიდან საღამომდე მზიურში ვარ. ორგანიზატორად დამნიშნეს, საკვებს ვანაწილებ, პირველად ვნახე ქართველები ასე ერთ მუშტად შეკრული. ისე ვმოდრაობ, თითქოს ფეხი არ მქონდეს მოტენილი.

– შენ ფეხს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოყვა.

– ვიცი, ჩემთვის საამაყო არ არის, უბრალოდ, მიხარია.

რამაზ მამედოვი: სულ აქ ვარ, მზიურში საკვებს ვანაწილებთ. გოგოებს ქვემოთ ჩააქვთ, დიდი მანძილია და დაღლილებს აქ ამოსვლა უჭირთ.

– რამაზ ორი ღერი სიგარეტი მომანოდე — უთხრა ერთ-ერთმა მოხალისემ.

– ხუთი იყოს, სხვებსაც ნაუღე.

მე კი გოგონამ წყალი გადმომცა, ბოთლზე უჩვეულო წარწერა შევნიშნე.

– თქვენ პოზიტივმოხალისე შეგხვდათ.

– ეს რას ნიშნავს?

– უბრალოდ, განწყობის შეცვლა მოვიფიქრეთ.

ნანუკა მირცხულავა, დიასახლისი: ხედავთ კარავს, სადაც ნაკლებად ფუჭებადი პროდუქტები, წყალი და ჭიქები ინახება. აქედან იწყება განაწილება, ჭიანჭველას ბუდესავითაა. ორი ბავშვი სახლში დავტოვე, უკვე მეხუთე დღეა აქ ვმუშაობ. თქვენ რომ ნახოთ, როგორ კეთდება ჯაჭვი, დაიძახებენ და რამდენიმე წუთში 50 კაციანი ჯაჭვი ხდება. გოგოები ბიჭებზე ნაკლებად არ შრომობენ, რომ

შეხედავ, ბარნოვის კაფიდან არ იყვნენ გამოსულები, ტალახიანი ბოტებით ნაგავს ისე იღებენ, უკან არ მოიხედავენ. 20 წლის წინ ასეთ ვითარებაში პასუხისმგე-





იველიტა ჯიბუტი

ბლობას ყველა სახელმწიფოს გადააბარებდა. როგორც ჩანს ახალ თაობას მენტალიტეტი შეეცვალა, ამიტომ სახელმწიფომ ისინი სწორად უნდა გამოიყენოს, თუნდაც მცირედი წახალისებით. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდების სახით საქართველოს დიდი მომავალი აქვს.

ნანუკასთან საუბრის შემდეგ მზიურის აღმართს ავუყევი, ახალი ჯგუფი ისევ სამხედრო პირის მითითებებს ისმენდა. ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებმა ქალაქურ-ჯიგრულ-თბილისური რიტორიკის გარეშე მოსაუბრე ბევრ ახალგაზრდას უმასპინძლა, მათი ოცნების ქალაქი ხომ უკეთესი იქნება. ამ რწმენას 20-მდე გარდაცვლილი გოგო-ბიჭის ხსოვნა გაუმყარებს. მათ შორის სტიქიამ ყველაზე ნიჭიერი და ლამაზი ჩოხატაურელი იველიტა ჯიბუტის სიცოცხლე იმსხვერპლა.

სწორედ იმ დღეს მზიურში მთავრობის წევრები მივიდნენ. მეორე დღიდან კი მოხალისეები იმ ტერიტორიაზე აღარ შეუშვეს.

- რატომ მიიღეს ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება? - ეს იყო ეპიდემიის გავრცელების საფრთხე, თუ სხვა მიზეზი. რამდენიმე დღის შემდეგ მზიურში ისევ მივედი. პარკში შესვლა გამკაცრებული იყო. ქვემოთ ჩავედი, სტიქიის შედეგად დაზიანებულ ტერიტორიას მძიმე ტექნიკა ასუფთავებდა. იქვე მყოფი ერთ-ერთ დაცვის თანამშრომლიდან ურთიერთგამომრიცხავი პასუხები მოვისმინე.

- რა გაინტერესებთ? — მკითხა მან.

- რატომ აღარ მუშაობენ მოხალისეები?

- მცირე სამუშაო დარჩა, ახლა მძიმე ტექნიკა ასუფთავებს.

- თუმცა ისინი ამბობდნენ, რომ 5 დღე კიდევ უნდა ემუშავათ.

- ტერიტორიას დეზინფექცია ჩაუტარდა, ახალგაზრდების ჯანმრთელობისთვის აქ ყოფნა საშიში იყო.

- გართულებულ შემთხვევებზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.

მზიურიდან მომზადებული რეპორტაჟი ისევ ტელეკომპანია CNN-ის გამოსხმაურებით უნდა დავასრულოთ - საქართველოში ყოველი დღე ახალი გმირების ისტორიით იწყება.

მთავრობამ ეს გმირები კი სახლებში დააბრუნა, მიუხედავად ამისა მოხალისეებმა მაინც გაიმარჯვეს, რადგან სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების დროს იყვნენ მობილიზებულები და დაზარალებულების მიმართ მაღალი სამოქალაქო სოლიდარობა გამოხატეს.

გთხოვთ, გჯეროდეთ ჩვენი, ჩვენ მზიურის თაობა ვართ.

ლელა სურმავა

პირველი ქართული ჟურნალი გურულებზე



ბურია REGION

დაინტერესებულ მკითხველს მთავრობით ჟურნალის გამოწერას
დაგვიკავშირდით რედაქციის საკონტაქტო ნომერზე
558 25 65 50

ონკანიან ნაოსნად წყალს პირობითად ჰქვია სასაქონლო წყალი

ჩოხატაურელებს სასმელად უვარგის წყალს გვანვდიან. ხარისხიან წყალს დღემდე უშედეგოდ ველოდებით, ჩვენ სახლებთან დამონტაჟებული მრიცხველები უფუნქციოდ არის დარჩენილი. 24-საათიანი გაფილტრული წყლის მოლოდინის პარალელურად უმიზნოდ დახარჯულ მილიონებზე ვსაუბრობთ.

– ჩოხატაურში წყალმომარაგება მწვავე პრობლემაა, ადგილობრივებს დაბინძურებული წყალი მიეწოდებათ.

– წყალი იქლორება, მაგრამ არ ხდება ფილტრაცია, წყალმომარაგების პროექტი არ დასრულებულა, ამიტომ ვერ დგება ფილტრი, ცალკეულ მუნიციპალიტეტში გვაქვს მსგავსი პრობლემა. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოძრავი ლაბორატორია ვიყიდეთ, წყლის ხარისხს ადგილზე ვუმოწმებთ, ვეუბნებით, როგორი წყალი მიეწოდებათ.

ჟურნალ გურია REGION-ის 2014 წლის თებერვლის ნომერში ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ასე აგვიხსნა ჩოხატაურში სასმელ წყალთან არსებული პრობლემები.

ჩვენ პირობითად ვამბობთ სასმელ წყალს, რადგან ონკანში დღემდე დაბინძურებული, შავი წყალი მოდის.

– ყოუა თუ გინდათ მეზობლებო (რაც გურული დიალექტით ნაკელისთვის გამოსადეგ წყალს ნიშნავს) ჩემს ონკანში მოდის – იხუმრა გურულმა.

ამ ხალხს უკვე სახუმაროდ აღარ აქვს საქმე, რასაც მათი ემოციური ტონით საუბარიც ადასტურებს.

– შე დალოცვილო, მილიონებს რომ ხარჯავ, 10 ათასი მანკ მოახმარე საქმის ნორმალურ დაწყებას – ბრაზით აღნიშნა სოფელ ხიდისთავის ერთ-ერთმა მკვიდრმა. მათ გაბრაზებას კონკრეტული მიზეზი აქვს, რადგან სოფლის ცენტრში, როცა მოისურვებენ, მიღს მაშინ გადაკეტავენ და ადგილობრივებს წყალი აღარ მიეწოდებათ. ხიდისთაველებმა კარგად იციან, გორთაფონის სათავე ჩოხატაურის წყალმომარაგების სათავე-ნაგებობა არ არის, მათ ეკუთვნით, თუმცა წლების მანძილზე მუნიციპალიტეტი სარგებლობს.

– ჩვენ არავინ გვეკითხება, ჩოხატაურის წყალკანალმა დარაჯი დააყენა.

– როდის დაიწყო ეს პრობლემა? – ვკითხვთ ერთ-ერთ მცხოვრებს, რომელმაც ვინაობის დასახელებისაგან თავი შეიკავა.

– ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს. სოფელში ახლა 8-10 საათიანი გრაფიკია, ღამით ხიდისთავის ბასეინი ივსება, შემდეგ წყალი ჩოხატაურში მიდის. ეს ძველი მილები უკვე გაცრეცილია, გამოცვლა ესაჭიროება. იცით, რას გვპასუხობენ? – ხიდისთავი არ გვაინტერესებს, ეს მილები თქვენი არ არის. მართალია, მათ მართვაშია, ჩვენ საკუთრებაში მართო ძველი მილებია დარჩენილი, რომლებიც მწყობრიდან გამოსულია. ეს სოფელი ჩოხატაურის გამო არის უწყლოდ დარჩენილი. 3-4 მილიონი ლარი დაიხარჯა და ერთი ჭაბურღილი ვერ გააკეთეს.

ნიუ ენერჯის შეცდომა, თუ გამიზნული ქმედება – ასეთი სათაურით დაიბეჭდა ჟურნალ გურია REGION-ის 2014 წლის სექტემბრის ნომერში ჩვენს მიერ მომზადებული რეპორტაჟი. წყლის პრობლემის უფრო დეტალურად გაცნობის მიზნით, გორთაფონში წყლის სათავე-ნაგებობასთან მისვლა გადავწყვიტეთ. მამათა მონასტრიდან ჩვენი ალპი-

ნისტური ტური დაიწყო, რელიეფურად რთულ ადგილებს მივუყვებოდით, წყალზე ხეობაშიკარგად მოჩანდა წყლის ორი მილი, ერთი ძველი, რომელიც ხიდისთავს გაუუქმეს, მეორე ახალი, რომლის მეშვეობით სოფელიც და მუნიციპალიტეტიც უწყლოდ დატოვეს.

– რა არის დებეტი? – წყლის მარაგი, ექპერტები უნდა დააკვირდნენ ერთ ნუთში რამდენი ლიტრი წყალი მოდის.

– როდის უნდა მოხდეს დაკვირვება? – მაისის თვეში და არა აგვისტოში, როცა გვალვებია. ასე დაიწყო პრობლემის სათავე და ჩოხატაურელებმა აღნიშნული დებეტი ვერ მიიღეს. ექსპერტების მიერ დაშვებულ შეცდომაში ჩვენი თვალთ დავრწმუნდით, სათავე-ნაგებობასთან პატარა ჩანჩქერი დაგვხვდა.

– თავიდან არასწორად დაპროექტდა. საქართველოს წყალმომარაგების კომპანია მუშაობს და გამოსავალს ეძებს – განაცხადა ხიდისთავში ნელ ფილტრებთან მყოფმა ჩოხატაურის წყალკანალის ტექნიკური სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც ცარიელ ავზს დაჰყურებდა.

შემდეგ წყლის რეზერვუართან მივედით, ჭიშკართან გაკრული მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, ეზოში თავისუფლად შევედით, საქლორატორო ჯისური დავათვალიერეთ და ჭაში ჩავიხედეთ, სადაც წყალი არ იყო.

გორთაფონიდან თბილისში დაბრუნებულმა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას მივმართე და ტექნიკური დეპარტემენტის უფროსს ზაზა სიხარულიძეს გავესაუბრე.

– გორთაფონის სათავე არ არის ჩოხატაურის წყალმომარაგების სათავე-ნაგებობა, სოფელ ხიდისთავს ეკუთვნის, გორთაფონიდან წყალაღებას მუნიციპალიტეტი როგორც დროებით ღონისძიებას, ისე აწარმოებს – აღნიშნა მან.

– ეს ღონისძიება არაეფექტურია, რაც მთავარია, საკმოდ გახანგრძლივდა, ხიდისთავი უწყლოდ არის დარჩენილი.

– სამწუხაროდ, ტენდერში გამარჯვებული კომპანია პრობლემური აღმოჩნდა. მისი დისკვალიფიკაცია მოხდა, შარშან ამ პროექტზე მუშაობა განახლდა, ახალი კომპანია შემოიყვანეს, რომელსაც წინა ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული ვალდებულება ჰქონდა. პროექტის დასრულების შემდეგ, გორთაფონის სათავე მის მფლობელს, ხიდისთავს დარჩება. ჩოხატაურს კი დამოუკიდებელი სათავე-ნაგებობა ექნება. ახლა მეორე პრობლემა წარმოიშვა, როცა კონტრაქტორი კომპანია სამუშაოებს ასრულებდა, მოეწყო შიდა დაქსელვა, 1100 აბონენტი დაგვემატა, რეზერვუარის რეაბილიტაცია ჩატარდა, ახალი სათავეს მოწყობა, შახტური ჭის და შესაბამისი გადამტემბი სატუმბო სადგურის გამართვა, დასასრულ ჩოხატაურისათვის საკმარისი წყლის რაოდენობა არ აღმოჩნდა. ხარვეზიან პროექტს ექსპერტიზა გავლილი ჰქონდა, დამტკიცდა. მუნიციპალური განვითარების ფონდმა, რომელიც დამკვეთი იყო, პროექტი გააგრძელა, ბოლოს აღმოჩნდა, რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა, რაც ჩოხატაურის სტაბილურ წყალმომარაგებას გულისხმობდა. კომპანიამ ღონისძიებების გატარება დაიწყო. მივიღეთ გადაწყვეტილება, მოვანყოთ დამატებითი წყალმომარაგების სისტემა, დამატებითი სათავეს მშენებლობას წყალმომარაგების კომპანია განახორციელებს, რისთვისაც 700 ათასი ლარი გამოიყო. 4-5 თვეში საბოლოო სახეს მიიღებს. გუბაზეულის ფილტრაციიდან წყალაღებაზე უარი ვთქვით, რადგან მდინარეს

არ აქვს ის ხასიათი, რომ წყლის ფილტრაცია მოახდინოს.

– სად აშენდება ახალი სათავე-ნაგებობა?

– მდინარე სუფსის ნაპირზე მოეწყობა, ჩოხატაური ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე, პროექტი სამ კილომეტრამდე ახალ მაგისტრალს ითვალისწინებს, სათავედან იმ 2000 კუბიან რეზერვუარამდე, რაც უკვე რეაბილიტირებულია და კარგ მდგომარეობაშია. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ პროექტი საბოლოო სახეს მიიღებს და ჩოხატაურს 18-24 საათიანი სტაბილური წყალმომარაგება ექნება. ამ მუნიციპალიტეტში ყველაზე რთული პრობლემა გვაქვს, მშენებლები გავიდნენ, ფინანსური პრობლემების გამო თავიანთი ვალდებულება ველარ გააგრძელეს. მიტოვებული მიწები მიწაში დარჩა.

– ადგილობრივები წყლის ხარისხზე ხშირად გამოთქვამენ საყვედურს.

– კომპანიას გურიის ცენტრი ოზურგეთში გვაქვს. ლაბორატორიაში მონდებდა, როგორც ბაქტერიოლოგიური, ასევე ქიმიური ანალიზები. სათავე, სადაც მინისქვეშა ჰორიზონტალური დრენაჟები იქნება, იქედან ქსელში მოხვდება მინისქვეშა წყლები, ხარისხი გარანტირებული უნდა იყოს. წვიმისა და ნალექის დროს ჩვენ ჩოხატაურს წყალმომარაგებას ვუწყვეტდით, უკვე ეს საფრთხეებიც გამოირიცხა.

2014 წლის ნოემბრის თვეში ყურნალში დაიბეჭდა პუბლიკაცია – **ექნებათ თუ არა ჩოხატაურელებს უწყვეტი წყალმომარაგება.** მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების პროექტის სამუშაოების შესახებ კომენტარი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პიარ-მენეჯერს ლანა ბერიძეს ვთხოვეთ.

– ჩოხატაურში წყალგაყვანილობის სამუშაოები 2013 წელს დაიწყო და 2015 წლის აპრილში დასრულდება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად დაბის მთლიანი წყალმომარაგება ვერ მოხერხდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად დამატებით 700 ათასი ლარი გამოიყო, მიმდინარეობს 2 კილომეტრნახევრიანი თხრილების გაყვანა და ტარდება შესაბამისი სამუშაოები, რომ დანარჩენი ნაწილის წყალმომარაგებაც მოხდეს. ამჟამად სამუშაოებს ჩვენი კონტრაქტორი კომპანია სააქციო საზოგადოება „თბილისი“ ახორციელებს.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ რატომ შეარჩიეს კონტრაქტორად სს „თბილისი“, რომელსაც ვალის დაფარვის მიზნით სამუშაოების დასრულება მოთხოვეს, რაც კომპანიამ ვერ შეძლო?! რატომ ვერ მოხერხდა დაბის არათუ მთლიანი წყალმომარაგება, არამედ ადგილობრივებს დაბინძურებული წყალი მიეწოდებოდა?! ხიდისთავი კი ისევ უწყლოდ არის დარჩენილი. ამ საკითხებზე სასაუბროდ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტექნიკური დეპარტამენტის უფროსს ზაზა სიხარულიძეს მივმართე, თუმცა უშედეგოდ. სამი დღის მანძილზე მან შეხვედრაზე უარი განმიცხადა, ხელმძღვანელთან თათბირი და რეგიონებში მივლინებები მოიმიზეზა. შემდეგ პრეს-სამსახურის საშუალებით დაკავშირება მირჩია. მეორე დღეს კომპანიაში მისულს დაცვამ ნინო რამიშვილის მობილურის ნომერი არ მომიცა. **ჩოხატაურელების საფუძვლიანი ეჭვი, რომ სასმელი წყლის ლაბორატორიული ანალიზის პასუხი უარყოფითი იქნება, ალბათ დასტურდება.**

აღნიშნული კომპანიები – **ნიუ ენერჯი, ემ-დე-ფი, თუ „თბილისი“** – სწორედ მათი დაუდევრობით ჩოხატაურში წლების მანძილზე წყალმომარაგების პრობლემა არ მოგვარდა. სოფელი ხიდისთავი კი უწყლოდ არის დარჩენილი. 3-4 მილიონი ლარის ღირებულების წყლის მილები, ავზები, რეზერვუარი, ნელი ფილტრები, საქლორატორო ჯიხური, თუ მრიცხველები ის ბუთაფორიული ნივთებია, რომლებსაც სანახაობრივი დანიშნულება აქვთ და წყალი არსად ჩანს.

იმედია, ჩოხატაურელები მდინარე სუფსის ფეკალური მასებით და ნაგვის ნარჩენებით დაბინძურებულ წყალს არ მივიღებთ – აცხადებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. სულ ახლახან წყალს ლაბორატორიული შემოწმება ჩაუტარდა. როგორი ხარისხის წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტს, შედეგი ჯერ უცნობია. ჯანმრთელობისთვის სახიფათო ვითარებაზე ჩოხატაურელები ღიად საუბრობენ, აღნიშნავენ, რომ თავებურსხვევის სიმპტომები აქვთ. სასმელ წყალს ყიდულობენ, რადგან მუქი ფერის წყლის დალევა შეუძლებელია.

ლელა სურმავა

დავატებითი წყალმომარაგების სისტემა

ასე გამოიყურება ჩოხატაური ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე არსებული 700 000 ლარის ღირებულების დამატებითი სათავე – ნაგებობის შიდა არტეზიული ჭა და საქლორატორო შენობა. მშენებლები ამჟამად წყალსაქარ მოწყობილობას ელოდებიან, რომლის დამონტაჟების შემდეგ წყლის მილი ჩაისუბანთან შეერთდება. ეს პროექტი 2015 წლის აპრილის თვეში უნდა დასრულებულიყო. ჩოხატაურელების სასმელ წყალში თუ საიდან მოხვდა ფეკალიები, უცნობია და ამ ფაქტის გახმაურებაც ეკრძალებათ. **იმედია, წყლის ლაბორატორიული ანალიზის შედეგს არ დაუმაღავენ, ისე როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ერთ-ერთი თანამდებობის პირი სამი დღის განმავლობაში არ გამოჩნდა.**



პანრიკ აგროს საქველმოქმედო აქცია ოზურგეთში

სააქციო საზოგადოება „ვანრიკ აგროს“ ორგანიზებით ოზურგეთში საქველმოქმედო აქცია გაიმართა. მზრუნველობა-მოკლებულ ბავშვთა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა და მოხუცთა მხარდასაჭერად სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის გურიის ადმინისტრაცია და სააქციო საზოგადოება „ვანრიკ აგროს“ გაერთიანდნენ.

გურიის გუბერნატორის მოადგილემ, ქეთევან მოისინრაფიშვილმა და სააქციო საზოგადოება „ვანრიკ აგროს“ პრეზიდენტმა, ირაკლი ფარცვანიამ „საქველმოქმედო ასოციაცია გურიას“ ბენეფიციარები, მზრუნველობა მოკლებული ბავშვები და მოხუცები ლურჯი მოცვით დაასაჩუქრეს.

„ვანრიკ აგროს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში ლურჯი მოცვის კრეფა და ევროპაში ექსპორტის მიზნით პროდუქციის შეფუთვა დაიწყო. აღნიშნულ კომპანიასთან სამხარეო ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს.



ხელი ხელს - შუშ პირთა რეაბილიტაცია ერთ მთლიან ჯაჭვს გულისხმობს

ახალგაზრდული ცენტრი პროგრესი 2006 წელს დაარსდა. ორგანიზაცია ძირითადად სამი მიმართულებით მუშაობს - ახალგაზრდების ინფორმირება, არაფორმალური განათლების მიღება და კულტურულ-შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი ფენის და შუშ პირთა მდგომარეობის შესწავლა და გაუმჯობესება. წლების განმავლობაში ორგანიზაციას მრავალი პროექტი და მინი პროექტი აქვს განხორციელებული. ყველაზე საინტერესო პროექტებზე ცენტრ „პროგრესის“ ხელი ხელს მენეჯერი მედეა შარაშიძე მოგვიყვება.

გამოვყოფდი - დემოკრატიისა და ეკონომიკის მხარდაჭერა გურიაში. პროექტი დააფინანსა ლიტვის ეთიკისა და ლიდერობის რეგიონალურმა ინსტიტუტმა. 2007 წელი.

განათლება ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს 2008-2009 წლები (კოალიციური პროექტი). დონორი - ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები.

შუშ პირთა ხელშეწყობა, საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია და საქმიანობის პოპულარიზაცია. დონორი მსოფლიო ბანკი.

წარსული ჩვენი მომავალია. 2010 წელი. ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

სამოქალაქო მონიტორინგი ცვლილებებისთვის. 2010 წელი. ევრაზიის



მედეა შარაშიძე

თანამშრომლობის ფონდი.

მინანქრის სახელოვნებო წრე. 2010 წელი. მენეჯერული ინიციატივების ფონდი. პოლონეთი.

იყავი ინფორმირებული და იქნები დაცული - დამფინანსებელი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. 2013 წელი.

ახალგაზრდების საჭიროებებისა და შესაძლებლობების კვლადაკვალ. 2014 წელი. დამფინანსებელი კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. კიდევ ბევრი მცირე პროექტი.

- ამჟამად რომელ პროექტზე მუშაობთ?

- ჩვენი ორგანიზაცია ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებითა და ხელშეწყობით ანხორციელებს პროექტს - ხელი ხელს. მადლობას ვუხედი მუნიციპალიტეტის გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარეს და საფინანსო სამსახურის უფროსს. ასევე

თითოეულ იმ ადამიანს, ვინც განიხილა პროექტი და დაგვეხმარა.

- რა მიზანი აქვს პროექტს ხელი ხელს?

- პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს 18-დან 35 წლამდე შუშ პირთა ფსიქო-მოტორული უნარების რეაბილიტაცია, განვითარება არტთერაპიის და მუს-თერაპიის დახმარებით. ისინი თავიანთ თანატოლებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში არიან ჩართული. ხატავენ, ძერწავენ, მუშაობენ თექასა და სველ თიხაზე. მუს-თერაპიის დახმარებით ხდება მათი ემოციებისა და შეგრძნებების მობილიზება. სწორი ფორმირება და გამოხატვა. კვალიფიციური პედაგოგები და ფსიქოლოგები ბენეფიციარებთან და მათ მშობლებთან მუშაობენ როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად. მათი რეაბილიტაცია ერთ მთლიან ჯაჭვს გულისხმობს - ოჯახი, ბავშვი და საზოგადოება. აუცილებელია მშობელი სწორად ინფორმირებული და ჩართული იყოს. ჩვენი პედაგოგების განწყობა და სამუშაო პრინციპები ამ მეთოდზეა აგებული.

პროექტის ფარგლებში მათი ნამუშევრების გამოფენასაც ვგეგმავთ. შუშ პირებს ყველამ დახმარების ხელი უნდა გავუწოდოთ. საზოგადოებას კი მათი სურვილები და მისწრაფებები გავაცნოთ.

ქეთევან კუკულავა

პენსიით მხოლოდ მედიკამენტებს ვყიდულობ...



თალიკო მეფარიშვილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა. კალანდაძის ქუჩის მცხოვრებია. მარტოხელა პენსიონერისთვის პენსია, როგორც თვითონ ამბობს, მიზერულია და ამ თანხით წამლების გარდა ვერაფერს ყიდულობს.

- წამლების საფასურის გაზრდის ფონზე მხოლოდ აუცილებელი პრეპარატი ვსარგებლობ, თუმცა რამდენიმე რამეა საჭირო იმისთვის, რომ ელემენტარული პირობები დავიკმაყოფილო და თავი გავიტანო. მანუხებს სახსრები, გული ფეხისგულები დაავადებული მაქვს, რის გამოც გადაადგილება მიჭირს. სახლიც საშინელ მდგომარეობაშია, დაბზარულია შიდა და გარე კედლები, თუ დროულად ვერ შევაკეთე, მალე ალბათ თავზე დამენგრევა. ამას წინათ ჩვენმა გამგებელმა ბუნებრივი აირით სავსე ბალონი მომიტანა, რისთვისაც მადლობას ვუხედი. კარგი იქნება თუ სრუებით, სილით და შეშითაც დამეხმარებინან. საყოლსაც ვერ ვიყოლიებ, რადგან თანხა სჭირდება, და შეშითაც დამეხმარებინან. საყოლსაც ვერ ვიყოლიებ, რადგან თანხა სჭირდება,

როგორც მარტოხელა პენსიონერი ვერაფერს ვახერხებ. მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების იმედი მაქვს, - ამბობს ქალბატონი თალიკო.

ირინა რამიშვილი

ჩოხატაური და სუფსის ხეობა ჩემია, თან ძალიან ჩემი...



ნათია შათირიშვილი

ადამიანის ცხოვრებაში არის პერიოდი, როცა სურს, დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება იმ მუნიციპალიტეტს მოახმაროს, რომელიც თვლის, რომ მისია, თან ძალიან მისია... ჩვენი რესპონდენი ნათია შათირიშვილი სუფსის ხეობაში სულ სხვაგვარად სუნთქავს, აზროვნებს, დღემდე ძილის წინ ხშირად ახსენდება, თუ როგორ ხმას გამოსცემს მდინარე სუფსა. ამ ხეობის ლამაზი ბუნება ყველას დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ტოვებს. ამიტომ უკან მიბრუნება გადაწყვიტა. დარწმუნებულია, თავისი მუნიციპალიტეტის და სოფლის მოუგვარებელი საკითხების ზრუნვაში არასდროს დაიღლება. ნათიას ასეთი ხმაელალი განცხადება როგორ შედეგს მოგვცემს, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა 11 წლიანი პედაგოგიური და მენეჯერული გამოცდილება ჩოხატაურში საქმიანობას გაუადვილებს – მე იმ კატეგორიის ადამიანებს მივეკუთვნები, რომლებიც ადვილად არ მოტყუვდებიან, არ გაიყიდებიან, ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი ესმით – ასე ახასიათებს თავის თავს და ჩოხატაურში ასეთივე შემდგარი საზოგადოების ხილვა სურს.

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დავიბადე და გავიზარდე. ბავშვობა სოფელ სურებში გავატარე, სადაც ჩემი ბებიები და ბაბუები ცხოვრობდნენ.

– ვინ იყვნენ ისინი?

– ზემო სურები დედის მხარეა, მისი მშობლები იყვნენ – ელეფთერ ეზიეშვილი და ნათელა ბარამიძე, მამის შუა სურები, მისი მშობლები – ბესარიონ შათირიშვილი და ლილი დოლიძე. 1981 წელს წვიმის შედეგად დიდი მთა დაიძრა და მენყერი წამოვიდა, სასწაულით გადავრჩი, მეზობლების დახმარებით ერთი წლის აკვანში მწოლიარე ბავშვი სახლიდან გარეთ გამომიყვანეს. ამ ფუძეზე ისევ მშობლები ცხოვრობენ, რაც ძალიან მახარებს. ასევე ჩემი ძმა ბესო შათირიშვილი ჩოხატაურს არ შორდება. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს და ძმის ოჯახს თბილისში კეთილმოწყობილ ბინაში მშვიდად ცხოვრება შეუძლიათ, მაინც ჩოხატაურს და სურებს ამჯობინებენ. მსურს, ჩვენ შვილებსაც ასევე უყვარდეთ სურები და იქ მისვლა შესძლონ. როცა იქ ჩავდივართ, ჩემი ქმარი

ირაკლი ყორღანაშვილი სულ ცდილობს ყველაფერთან ჰქონდეს შეხება, მეზობლებთან გადადის, თხილის ნარგავებს ათვალიერებს. სამწუხაროდ, სურებისკენ მიმავალ გზაზე საჭესთან მარტო ჩემს ძმას და მამას თუ ვენდობი, რადგან იქაურობა კარგად იციან, უცხო ავტომანქანაში ვერ ჩავუჯდები.

– **ყურნალი გურია REGION-ი გზის საკითხის მოწესრიგებაში აქტიურად ვართ ჩართული, „სურების“ საინიციატივო ჯგუფის წევრები ენერჯიას არ იშურებენ. შენ თავს თუ მოიაზრებ მათ გაერთიანებაში?**

– გეთანხმებით, ეს პრობლემა დიდი ხნის მოუგვარებელია. სირცხვილია, როცა XXI საუკუნეში გზაზე ვსაუბრობთ. შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ყაბალახი“, რომლის დამფუძნებლები ვართ გიორგი კეკელიძე, ზურაბ დარსალია, გოგი ტრაპაიძე, მაია ბარამიძე და მე. საინიციატივო ჯგუფს აუცილებლად სათავეში ჩავუდგები, შევეცდებით, ჩვენი მოთხოვნები მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული. მახსოვს, იქ კარგი გზა იყო, მაგრამ მძიმე ტონიანმა ურალებმა სულ გაანადგურა. ხე-ტყე ყოველთვის დიდი ინტენსივობით გადიოდა, ბავშვობაშიც კი ისეთი საშიში იყო, გზის პირას ვერ ვთამაშობდით. სამწუხაროდ, დღემდე ასე გრძელდება.

– **უსასრულოდ ხე-ტყის გაჩეხვა მენყერის საფრთხეს აჩენს. შესაძლოა ეკოლოგიური კატასტროფა არა მარტო სუფსის ხეობას, არამედ ჩოხატაურსაც დაემუქროს, ამ საშიშროებაზე ჩოხატაურელები უკვე საუბრობენ, ამიტომ ეს თემა აქტუალური უნდა გახდეს. შენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს?**

– ერთ-ერთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ისე დაემთხვა მე და ირაკლი სოფელში ვიმყოფებოდით. ადგილობრივებთან შეხვედრის დროს ჩვენ შორიასხლოს ვისხედით და მათ საუბარს უხმოდ ვისმენდით. საოცარი უსამართლობა დავინახეთ. თუ ერთი ნაწილი რომელიმე პარტიას მიცემდა ხმას, მათ ხიდს გააკეთებდნენ, თუ არა, ხიდის გარეშე დატოვებდნენ. ამ ხალხს ხიდებით და გზებით ევაჭრებოდნენ.

– **ეს ხომ ამომრჩევლების ირიბი მოსყიდვაა?**

– რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს გარკვეული



ირაკლი ყორღანაშვილი



მარია ყორღანაშვილი

ჯგუფი, რომელიც მათ მართავს. ეს არ არის საკითხის მიმართ ჯანსაღი მიდგომა, ამას ისიც ემატება, ყველა სხვადასხვა აზრზეა, არ არის ერთობა. ამიტომ ეს მანკიერი მხარე უნდა დავძლიოთ.

– ნათია, პროფესიით იურისტი ხარ.

– მე და ირაკლი ერთ კურსზე ვსწავლობდით. ჩემი მეგობრები და კოლეგები სწორად აღნიშნავენ, ძალიან კანონმორჩილი ხარო. ხმამაღლა ვაცხადებ, ჩემზე მოწესრიგებული მძღოლი ქალაქში არ დადის. ასევე სათქმელს ყოველთვის ხმამაღლა ვამობობ, ვთვლი, რომ ეს ადამიანის კარგი თვისებაა.

– შენი ხასიათი ყველა ნიუანსში გამოიხატება?

– არ მიყვარს უწესრიგობა, უკანონობა, სხვებისგანაც კანონის და წესის დაცვას ვითხოვ, თუმცა მათი მხრიდან ხშირ შემთხვევაში ვერ ვიღებ, რაზეც ძალიან ვბრაზდები.

– მუშაობდი თუ არა იურისტის სპეციალობით?

– ჩემი პროფილით საქმიანობა მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რამდენიმე წელი საკუთარი ადვოკატურა მქონდა. გარდა ამისა 2002 წლიდან თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი. რექტორმა ავთანდილ ნილოსანმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მოგესხენებათ ის გურულია. დღემდე ვუკითხავ მსმენელებს ლექციებს.

– 2002 წლიდან დამოუკიდებელი საქმიანობა დაიწყო.

– სწორედ ამ წელს დავაარეს BDC აკადემია. ეს არის ტრენინგ კურსები, რომელიც ორიენტირებულია მოკლევადიან, სწრაფშემსწავლელ და პრაქტიკაში გამოყენებად პროფესიებზე. რაც მთავარია, შემდეგ დასაქმებაზე. შეიძლება კადრს უკვე ჰქონდეს სამუშაო, თუმცა დამატებით პრაქტიკული კურსის გავლა დასჭირდეს, ან სტუდენტი 5 წელი სწავლობდეს, მაგრამ პრაქტიკული უნარები და ჩვევები ვერ გამოიმუშავოს. მსმენელებს

ტრენინგების შემდეგ სტაჟირებაზე ვაგზავნით, სადაც პრაქტიკულ გამოცდილებას იღებენ, რაც შემდგომ მათ დასაქმებას უწყობს ხელს.

– რამდენი ხანი გრძელდება სტაჟირების პროცესი?

– ეს არის ერთი თვიდან 9 თვემდე, მათი სურვილის მიხედვით. თუ მომზადებული კადრი იმ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, რომელსაც გამოცხადებული ვაკანსია ითხოვს, ჩვენ მას სამუშაო ადგილზე ვიტოვებთ.

– კარგი სტრატეგია გაქვთ შერჩეული.

– სამივე ორგანიზაციაში BDC და კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემიები, ასევე საბუღალტრო კომპანიაში შპს „ანაგელი“ ჩემი მსმენელები მყავს დასაქმებული. როცა ვიცი, კადრი ჭკვიანი და საქმიანია, ჩემგან არ ვუშვებ.

– ყველაზე მეტად რომელ პროფესიებზეა მსმენელების მოთხოვნა?

– ფარმაცია, პირველად გადაუდებელი დახმარება, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ტურიზმი, ტელეჟურნალისტიკა, ფსიქოლოგია, ბუღალტერია, იურიდიული. მათ სწავლის დასრულების შემდეგ გადაეცემათ სერტიფიკატი და სარეკომენდაციო წერილი. გვაქვს საექველმოქმედო აქციები, ვცდილობთ, სოციალურად დაუცველებს, დევნილებს, ვისაც არა აქვს საშუალება, უფასო მსმენელებად მივიღოთ.

– როგორი ფსიქოლოგიის ადამიანი ხარ, – ლიდერი, თუ პედაგოგი?

– ვერ მოგატყუებთ, რომ ლექციების წაკითხვა ძალიან მსიბლავს, ამ დროს შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი საქმე მიფუჭდებოდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ ჩემი პრაქტიკული გამოცდილება მსმენელებს ძალიან სჭირდება. იურიდიული სფეროს გარდა,

მენეჯერებს ლექციებს ვუკითხავ. დაგროვილი მასალები ახლა წიგნად უნდა გამოვცე, შემდეგ ჩემს მსმენე-



ნიკა ყორღანაშვილი



ვაკო ყორღანაშვილი

ლებს როგორც სამაგიდო წიგნი, ისე ექნებათ.

– სექტემბრის თვეში ჩოხატაურში BDC აკადემიის ფილიალი გაიხსნება. ამ ინფორმაციას მკითხველები პირველად ჩვენ ჟურნალში წაიკითხავენ.

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მალე გაიხსნება BDC აკადემიის ფილიალი, სადაც ჩემი ფინანსური დაინტერესება ნაკლები იქნება, მოტივირებული ვარ, იქ თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ტრენინგ კურსები დაინერგოს, რაც დღესდღეობით აუცილებელია, რადგან ადგილზე კვალიფიციური კადრების დეფიციტია. ასე რომ ყოველგვარი მოგებისა და ფინანსური დაინტერესების გარეშე დავეხმარები ჩოხატაურს. ეს ფაკულტეტები იქნება ბულდოგთერია, ფარმაცია, იურიდიული, ჟურნალისტიკა, ტურიზმის სფეროში მენეჯერების და გიდების მომზადება. ასეთი მდიდარი რესურსებისა მქონე მუნიციპალიტეტში, სამწუხაროდ ამ მიმართულებით არაფერი ხდება.

– რა ეტაპზე ხართ ახლა?

– კადრების მიღების პროცესში ვართ, იქ მცხოვრებ მასწავლებლებს ტრენინგებს თბილისში ჩავუტარებთ. პედაგოგები კონკურსის წესით აგვყავს, ძალიან მკაცრი ვიქნები, რადგან ისინი განათლების, დამსახურების და გამოცდილების მიხედვით უნდა შევარჩიოთ.

– სად განთავსდება აკადემიის ფილიალი?

– უკვე ვიცით, მაგრამ ამის გაცხადება სიახლე იქნება. ჩოხატაურს ჩემგან კიდევ ბევრი სიურპრიზი ელოდება, ეს ძალიან მხიბლავს. ხშირად მომიწევს იქ ყოფნა, რაც სასიხარულოა ჩემთვის.

– ახალი ორგანიზაციის „ძლიერი ქალი, ძლიერი სახელმწიფოსთვის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ხარ.

– მართლაც, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, რომლის თავმჯდომარეც ლალი მოროშკინა გახლავთ. ორგანიზაცია რამდენიმე თვის წინ, მარტში გაიხსნა, უკვე 5000 ქალბატონია განვერიანებული. ჩვენ ვიცავთ ქალბატონების უფლებებს, ვეხმარებით იურიდიული საკითხების მოგვარებაში, ასევე კულტურისა და ბიზნესის სფეროებში განათლების მიღება. აქ საკმაოდ ძლიერი ქალბატონები მოდიან, ფერმერები, ბიზნესმენები, კულტურის სფეროში მომუშავეები. ისინი გვერდით დგომას გვთავაზობენ. ასე რომ, 5000 ქალბატონთან დაპირისპირებას არავის ვურჩევ.

– რა არის ამ ორგანიზაციის მთავარი დანიშნულება და გაიხსნება თუ არა მისი ფილიალი ჩოხატაურში?

– ჩვენი მიზანია ქალბატონების უფლებების დაცვა, განსაკუთრებით ეს რეგიონებს ეხება. რა თქმა უნდა, ფილიალი ჩოხატაურშიც გაიხსნება. ვიცი, იქ მცხოვრებლები როგორი აქტიურები, მიზანდასახულები და ძლიერები არიან, როგორ ზრუნავენ განათლებული შვილები ჰყავდეთ. შეიძლება გურული ქალბატონი ძლიერი არ იყოს?! კარგად მოგეხსენებათ, ისინი ქმრებს თავს არ დააჩაგვრინებენ.

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ იქ სულ სხვა პრობლემაა. ძალიან რთული სოციალური ფონია, ამ ადამიანებთან მარტო საუბრები უშედეგო იქნება, მათ დროული დახმა-

რება ესაჭიროებათ.

– ამიტომ სხვადასხვა პროექტი უნდა მოვამზადოთ, მოვიპოვოთ დაფინანსება, დავეხმაროთ სოციალურად შეჭირვებულებს, შშმ პირებს, ბავშვებს და მარტოხელა დედებს. დავაზუსტოთ სტატისტიკურად რამდენი შშმ პირი და ბავშვია.

– ეს მხოლოდ ერთჯერადი დამხარება იქნება?

– ჩემი სურვილია, არ იყოს ერთჯერადი დახმარება, მხოლოდ აქციის სახით, არავის ფიარი არ იქნება. ჩვენი მიზანია, ეს ორგანიზაცია ეიმედებოდეთ და მათ გვერდში დავუდგეთ.

– ნათია, სამი შვილის დედა ხარ, ასეთი დატვირთული გრაფიკი გაქვს, როგორ ართმევ თავს?

– ვაკო 13 წლის არის, ნიკა 6, ხოლო მარიამი წლის და 6 თვის. მყავს ერთი ქმარი, მხოლოდ ერთი და განუყოფელი. ხშირად მეუბნება – როგორც საქმეს სჭირდება, შენც ისე უნდა მოიქცეო. ჩემი წარმატებები მეტწილად მისი დამსახურებაა, ირაკლი ჩემთვის ძლიერი კედელია. საუკეთესო მრჩეველი და კარგი მეგობარი. საკმაოდ ჭკვიანია, ჩემსავით კანონმორჩილი (წესრიგის სიყვარული ალბათ აკვანში გაზრდილებს გვახასიათებს). ორივეს მსგავსი თვისებები გვაქვს, ამიტომ ერთმანეთის კარგად გვესმის. დარწმუნებული ვარ, ყოველთვის ასე გაგრძელდება.

– წარმატებებს გისურვებ.

– მადლობა.

ლელა სურმავა



ნათია შათირიშვილი, მაცა ჩიჩუა და ლალი მოროშკინა

ოტია იოსელიანის დაბადების 85 წლისთავისათვის



შთამომავლობისათვის ბაღარჩიელი უნიკალური ეპიზოდები

ახლახან მკითხველმა მიიღო სასიკადალო მამულიშვილის, მრავალი მეცნიერული და პუბლიცისტური წერილის ავტორის, საქართველოში არაერთი კარსტული მღვიმის, მათ შორის, „პრომეთეს“ აღმოჩენის, სპელეოლოგ ჯუმბერ ჯიშკარიანის საყურადღებო წიგნი „ჩვენი ოტია“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „აზრმა“. რედაქტორია ცნობილი ჟურნალისტი და მწერალი მურთაზ კანკაძე.

ბატონ ჯუმბერს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ქართული მწერლობის კლასიკოსთან ოტია იოსელიანთან და სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნებული აქვს ბევრი წერილი და ნარკვევი მწერლის შესახებ.

– „გვიშტიბელი ბრძენკაცი ბატონი ოტია იოსელიანი, – წერს წიგნის ავტორი, სრულიად გამორჩეული ხელწერის ოსტატი იყო. მის სიახლოვეს გატარებული ყოველი წამი ძვირფასი მოსაგონარია“.

...ჩემი მეგობრების ივანე ჯაფარიძისა და დიმიტრი მუხაშვილის დაჟინებული რჩევით, გადავწყვიტე თავი მომეყარა ბატონი ოტიასადმი მიძღვნილი წერილებისათვის.

თუ ამ მცირე წიგნის კითხვისას წამით მაინც დაგიდგებათ თვალწინ ერისათვის დამამწერალი მამულიშვილის, გვიშტიბელი მინდიას ქეშმარიტი სახე, თავს ბედნიერად ჩავთვლი...

ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანის ამ თავმდაბალი განაცხადის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ წიგნი ფრიად მნიშვნელოვანია, რამდენადაც დარჩება ბევრი უნიკალური ეპიზოდი, რომელიც მწერლის მოღვაწეობის და განსაკუთრებულობის მრავალ ნიუანსს შემოუნახავს ისტორიას.

საზოგადოების მეხსიერება საოცრად უცნაური და მკაცრია. თუ ერისკაცებმა პერიოდულად სათანადო საზრდო არ მიაწოდეს, შეიძლება დავინწყების ბინდი გადაეფაროს ბევრი ჩვენი მამულიშვილის ღვაწლსა და ამაგს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო პერიოდი, როცა „გვიშტიბელი მინდიასათვის“ არავის ეცალა, ახალგაზრდების ის თაობა თითქმის არ იცნობდა მწერალს.

... და აი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა შეხვედრა მოუწყო მწერალს. კარგად მახსოვს, ახალგაზრდების გაოცებას და აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ბატონი ოტია არც საუბრით, არც ადამიანებთან ურთიერთობით, არც პირდაპირობით და გულწრფელობით, იუმორით თუ მოსაუ-

ბრისადმი მიმართული საოცრად კეთილი თვალეზით არც ერთ მწერალს არ ჰგავდა!... ეს რაღაც სხვა იყო, ზღაპრული, მომხიბვლელი, უფრო მშობლიური!...

ამის შემდეგ გახშირდა მინვევები, შეხვედრები. შექმნილი ვითარებით თავად ბატონი ოტია იყო გაოცებული.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ბატონ ოტიასთან მეც ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა და ცნობილ მხატვართან ბატონ ზაურ მჭავანაძესთან ერთად არაერთხელ ვყოფილვარ მისი სტუმარი.


ერთხელ, როცა მწერალი თბილისური შეხვედრების თაობაზე საკმაოდ დიდხანს და ემოციურად გვესაუბრა, ვუთხარი:

– ბატონო ოტია, არ გაგიკვირდეთ, რასაც გეტყვით, მაგრამ ასე მგონია, თქვენ ახალგაზრდებმა ხელახლა აღმოაჩინეს!...

ვერ წარმოიდგენთ, რა მადლიერი დარჩა ჩემი აღმოჩენის „აღმოჩენით“.

აღნიშნული თვალსაზრისით ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანის წიგნის მნიშვნელობის სრულად გააზრება დღეს, იქნებ, შეუძლებელიც კი იყოს.

ეცნობი წიგნს და კიდევ ერთხელ თვალწინ დაგიდგებათ ამ ბუმბერაზი ადამიანის მრავალმხრივობა, რასაც ღე-



თის მადლის გარეშე ერთი ადამიანი ვერასდროს ზიდავდა: ბატონი ოტია იყო ქართული სიტყვის დიდოსტატი, კლასიკოსი მწერალი, არაჩვეულებრივი პოეტი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ერთგული მეგობარი, ჭირსა და ლხინში იმედის კაცი, ზღაპრული მასპინძელი, მოჭირნახულე მეურნე, ღურგალი, მებუხრე, მხატვარი, მძლოლი, მეფუტკრე, მესაქონლე და ასე შემდეგ.

აკი, ხშირად უყვარდა თქმა: – სულ რამდენიმე კაცი დავრჩით საქართველოში ნამდვილი მებუხრეებიო...

საგაზეთო სტატიის მოცულობა სამუალებას არ იძლევა, განსახილველ წიგნში წარმოდგენილი ყველა წერილის შესახებ ყოველი თქვა, რაც აუცილებელია, მაგრამ ერთი მაინც უნდა აღვნიშნოთ, რითაც ბატონი ჯუმბერი ხელშესახებად გამოკვეთს მწერლის მისწრაფებას, თავგანწირვამდე პატივი მიაგოს მამულიშვილთა ღვანლს და ხსოვნას.

ერთი „ნაკლი“ აქვს ბატონ ოტიას, – წერს ჯუმბერ ჯიშკარიანი, – თუ რაიმე ჩაიფიქრა, მორჩა, – მანამდე არ მოეშვება, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს დაწყებულ საქმეს.

პეტრე ჭაბუკიანი რომ გარდაიცვალა, – უთქვამს ბატონ ოტიას, – მისი დაკრძალვა საპატიო ადგილზე მწვანეყვავილას პანთეონში უნდოდათ, მაგრამ პეტრეს ადგილი სათაფლიაზეა!.. სათაფლიაზეა იმიტომ, რომ პეტრე სხვაა, პეტრე ერთადერთია, გამორჩეული, განუმეორებელი, ამიტომ პეტრე სწორედ აქ უნდა ყოფილიყო, სათაფლიაზე, მარტოდმარტო, თავის აღმოჩენილ, თავის შექმნილ, თავის ნალოლიავე სამყაროში“.

პეტრეს საფლავისათვის ბატონი ოტია „ობოლ ქვას“, დიას, „ობოლ ქვას“ სად არ დაეძებდა! – „სამი დღის წინ წყალტუბოდან დაჩიმ დამირეკა, – წერს წიგნის ავტორი, – ბატონ ოტიას უკვე მოუვლია ჯიშკარიანს, კურხების, ოხომერას, ოფურჩხეთის კარიერები. მჯერა, ბატონი ოტია „ობოლ ქვას“ იპოვის, აუცილებლად იპოვის“!

აკი, იპოვა კიდეც!

ბატონმა ოტიამ „ობოლი ქვა“ ტერენტი გრანელის სა-



ჯუმბერ ჯიშკარიანი

ფლავისთვისაც იპოვა.

„ბატონი ოტია რომ არა, დღეს წალენჯიხაში ტერენტი გრანელის ძეგლი არ გვექნებოდა“, – წერს ბატონი ჯუმბერი და ეს, მართლაც, ასეა!

მამულიშვილობაც სწორედ ესაა!

ბატონ ოტიას სადა საფლავზე ამოკვეთილია: „ადამიანებისაგან რაც რჩება, მისი სიცოცხლედ ესაა“. გრანეტის სვეტზე კი მწერლის ბარელიეფის ავტორი ბატონ ოტიას მეგობარი გურამ კვიციანი.

„საფლავი თვეების მანძილზე მარტოდმარტომ, საკუთარი ხელით აქანდაკა მწერლის ვაჟიშვილმა დაჩიმ“, – წერს ბატონი ჯუმბერი.

ესეც სიმბოლურია!

დასასრულ, მკითხველთა სახელით მინდა მადლობა ვუძღვნა ბატონებს მურთაზ კანკაძეს, ვანო ჯაფარიძეს და სხვებს, რომელთა ძალისხმევით სინათლე იხილა ჯუმბერ ჯიშკარიანის წიგნმა „ჩვენი ოტია“.

ბენია თხილავა

*საქართველოს ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის წევრი,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე.*

**დაუფიქრარი საღაერო
მწეკალთა სახლში**

2014 წლის 3 ნოემბერს უამრავი ხალხი შეიკრიბა თბილისში, მაჩაბლის ქუჩის 13 ნომერში, მწერალთა ისტორიულ სასახლეში.

მწერალთა სახლს სტუმართა მრავალრიცხოვნობა არ უკვირს, მაგრამ იმდღევანდელი განწყობილება თავიდანვე ამაღლებული გახლდათ. მიზეზი მეტად ბანალური და ჩვეულებრივი იყო – ახალი წიგნის წარდგენა საზოგადოების წინაშე. ამაღლებულ განწყობილებას კი ის ქმნიდა, რომ წიგნი ვის შესახებაც ის დაიწერა და თავად ავტორიც საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი პიროვნებები ბრძანდებიან. „ჩვენი ოტია“ – ასეთია წიგნის სათაური, რომელიც შესანიშნავ მწერალს ოტია იოსელიანს ეძღვნება და რომლის ავტორი საქვეყნოდ ცნობილი სპელეოლოგი და ჟურნალისტი, ახალი ათონისა და „პრომეთეს“ მღვიმეების აღმოჩენი ჯუმბერ ჯიშკარიანი გახლავთ.

ჯუმბერ ჯიშკარიანს ათწლეულების განმავლობაში ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ოტიასთან, ხოლო „პრომეთეს“ მღვიმის აღმოჩენის შემდეგ მათი

ურთიერთობა უფრო საქმიანი და მნიშვნელოვანი გახდა. თუკი „პრომეთეს“ მღვიმის სანახავად საპატიო სტუმარი ჩამოდიოდა წყალტუბოში, იგი უთუოდ ბატონ ოტიასაც ეწვეოდა ხელოვნების ქუჩის პირველ ნომერში, ხოლო ბატონი ოტიას სტუმარს ჯუმბერ ჯიშკარიანი მეგზურობდა თავის აღმოჩენილ უნიკალურ მღვიმეში.

წლების მანძილზე ჯუმბერ ჯიშკარიანს არაერთი წერილი, სტატია და ჩანახატი გამოუქვეყნებია ბატონ ოტიაზე საქართველოსა თუ უცხოეთში გამოშავალ ჟურნალ-გაზეთებში. ოტია იოსელიანის ცხოვრების წესი კი მუდამ სამაგალითო იყო ყველასათვის – მთელი ცხოვრების მანძილზე მას ბარი და თოხი არ გაუგდია ხელიდან, რიჟრაჟიდან დაღამებამდე მინა-მარჩენალს ეფერებოდა, საკუთარი ხელით მოსავალს იწვედა, ვაზსა და ხეხილს ელოლიავებოდა, ფუტკარს ამრავლებდა და თავადაც ფუტკარივით შრომობდა.

ხშირად გამიგონია ბატონი ოტიას მიმართ გაკვირვებით ნათქვამი – წერას როდისღა ასწრებსო, მაგრამ ოტია იოსელიანი ყველაფერს ასწრებდა და ქვეყნის სასიკეთო-

დაც უშურველად ირჯებოდა.

ჯუმბერ ჯიშკარიანის ხასიათიდან გამომდინარე, ამ სურათების შემყურეს, როგორ შეიძლებოდა ბატონი ოტიას შესახებ არაფერი დაენერა...

ერთი წლის წინათ ჯუმბერ ჯიშკარიანს მხედველობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, მაგრამ მაინც არ ასვენებდა უკვე ცად ამალღებულ ბატონ ოტიაზე ფიქრი. თავისი სურვილი ჯუმბერმა უახლოეს მეგობარს, ქვეყანასა და წყალტუბოზე უსაზღვროდ შეყვარებულ უწესიერეს კაცს, გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორსა და გამომცემელს, ბატონ მურთაზ კანკაძეს გაანდო, რომელმაც დაუყოვნებლივ იტვირთა რედაქტორის მძიმე საქმე და რამდენიმე თვეში წიგნმა „ჩვენი ოტია“, რომლის გარეკანს ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, შესანიშნავი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის მიერ შექმნილი ბატონი ოტიას შთამბეჭდავი პორტრეტი ამშვენებს, დღის სინათლე იხილა.

3 ნოემბერს სწორედ ამ წიგნის წარდგენა გაიმართა მწერლის სახლში, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი უძღვევოდა. წიგნის ავტორის, ბატონი ჯუმბერ ჯიშკარიანის მიმართ სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს დამსწრე საზოგადოების შესანიშნავმა წარმომადგენლებმა, ქალბატონებმა სოფიკო ჯერვალიძემ, მაია გოთუამ, თინათინ მღვდლიაშვილმა, იზა ვეფხვაძემ, ია ბაგრატიონ-მუხრანელმა, თამარ შაიშველაშვილმა, მიმოზა ცანავამ. ბატონებმა ჰამლეტ გეგამი, პაატა ნაცვლიშვილმა, თეიმურაზ ლლონტმა, ოთარ სოხაძემ, სევარიონ ნადირაძემ, ზურაბ გაგაშელმა, მურთაზ კანკაძემ, დაჩი იოსელიანმა.

შეკრებას ლაზათი და ეშხი შესძინა ექვსი ვაჟკაცის დედის, ქალბატონ მარინე კოლხიდაშვილისა და ლევან ნიქარიშვილის მგალობელთა კვარტეტის მიერ შესრულებულმა ქართულმა სიმღერებმა.

შთამბეჭდავი იყო ფრანგული ენის სპეციალისტის, უხუცესი ქართველი ემიგრანტის პეტრე ხვედელიძის წერილების მიხედვით შექმნილი წიგნების „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ რედაქტორის სოფიკო ჯერვალიძის გამოსვლა, რომელმაც თავისი დის, აღნიშნული წიგნების ავტორის ციციკო ჯერვალიძის ნიუ-იორკიდან გამოგზავნილი მოლოცვის წერილი წაიკითხა, რომელიც ჯუმბერ ჯიშკარიანის 75 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი: „ძმაო ჯუმბერ! რამდენი ხანია შენთვის ასე აღარ მომიმართავს და მიხარია, რომ ამის საშუალებას მაძლევს შენი საიუბილეო თარიღი. გავიგე, რომ შენს სამეგობროს ამ თარიღის აღნიშვნა გადაუწყვეტია. გავიხარე ფრიად, რადგან ეს დიდი სიყვარულის, პატივისცემისა და იმ დამსახურების აღიარებაა, რაც შენ ქართული სპელეოლოგიისა და ფურნალისტიკის წინაშე მიგიძღვის. გილოცავ და მიგულე შენს ერთგულ მეგობართა შორის. 75 რა სათქმელია ისეთი შემართული ადამიანისათვის, როგორიც შენ ხარ. 75 რა სათქმელია, როცა წინ უამრავი კარგი საქმეა საკეთებელი... გახსოვს? – ერთხელ რომ გითხარი – კუსავით დავხოხავ და არა ვჩერდები-მეთქი. როცა ასაკში შედიხარ სისწრაფეს მნიშვნელობა აღარა აქვს, მთავარია იარო, მთავარია არ გაჩერდე. ჰოდა, იარე, ჰოდა, ნუ გაჩერდები...“

გილოცავ! გილოცავ! გილოცავ! მრავალჟამიერ ჩემო ჯუმბერ!

მონივნებითა და პატივისცემით მარად შენი მეგობარი ციციკო ჯერვალიძე“. სოფიკო ჯერვალიძემ კიდევ ერთი

მისია შეასრულა და წიგნის ავტორთან ერთად საზოგადოებას გააცნო ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, შესანიშნავი მხატვრისა და პიროვნების, წიგნის გარეკანზე მოთავსებული ოტია იოსელიანის პორტრეტის ავტორის, ქალბატონ ცისანა ჯანაშვილის წერილი: „მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო! როგორ ჩავტოო ამ მოსალოც სიტყვაში ის განუზომელი ღვაწლი, რაც ბატონმა ჯუმბერმა გასწია ჩემი შემოქმედების მიმართ. ბატონი ჯუმბერი 2000 წელს გავიცანი, როდესაც იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებით იმყოფებოდა. ჩემი შემოქმედების მიმართ მისმა ყურადღებამ მრავალი სიხარული მომიტანა. მან მაზიარა გენიალური ადამიანის ოტია იოსელიანის შემოქმედებას. ბატონი ჯუმბერის წერილი მასზე – „უჩვეულო დღე“ – გახდა შთამაგონებელი პორტრეტის შექმნისა, ლევან გოთუასადმი მიძღვნილმა საიუბილეო გაზეთმა, რომლის რედაქტორი თავად ბატონი ჯუმბერი იყო, შემაქმნევინა რეპრესირებული მწერლის პორტრეტი. მანვე დამაკავშირა დიდებულ პოეტ თინათინ მღვდლიაშვილთან, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ აკაკი ხიდაშელთან (მათი პორტრეტებიც შევექმენი), ჩემს საუკეთესო მეგობარ ციციკო ჯერვალიძესთან, რომელმაც დიდი ამაგი დასდო უხუცეს ქართველ ემიგრანტ პეტრე ხვედელიძესა და მის უაღრესად საინტერესო არქივს, რომლის გაცნობის შემდეგაც შეიქმნა პეტრე ხვედელიძის პორტრეტი.

რომელი ერთი ჩამოვთვალო, აქ ხომ ჩემს შემოქმედებაზე არ არის საუბარი, მაგრამ როგორ არ აღვნიშნო გრიგოლ რობაქიძის პორტრეტის შექმნის იმპულსი, რომელიც ბატონი ჯუმბერის გამოქვეყნებულმა წერილმა – „უკანასკნელი სიყვარულის ისტორია“ – შთამაგონა, ბატონ ჯუმბერთან ურთიერთობაში დაიხატა ან განსვენებული ლეგენდარული ველოჯადოქარი ჯუმბერ ლეჟავა. მან უამრავი წერილი გამოაქვეყნა ნიუ-იორკში გამომავალ გაზეთში „დავითის ფარი“, ჟურნალში „თანამემამულე“ და თბილისში გამომავალ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. ბატონმა ჯუმბერმა განიზრახა წიგნის „იმედის პალიტრა“ დაწერა, რომლის ირგვლივ დღესაც ფიქრობს.

შვიდი წელი ვითანამშრომლეთ. 2009 წელს იგი საქართველოში დაბრუნდა და ჩემი თხოვნით დააბინავა: ტერენტი გრანელის პორტრეტი წაღწევისას, რვა ნამუშევარი დავით ბააზოვის სახელობის ებრაელთა მუზეუმში, ვლადიმერ მაიაკოვსკის პორტრეტი ბაღდათში, ოტია იოსელიანის პორტრეტი კი სიცოცხლეშივე გადასცა ბატონ ოტიას და მან თავად მიუჩინა ადგილი კედელზე საკუთარ სახლის, დღეს უკვე სახლ-მუზეუმში.

გმადლობთ ბატონო ჯუმბერ! გილოცავთ წიგნის „ჩვენი



ოტია“ გამოქვეყნებას, შიგ ხომ თქვენი სული და გულია ჩადებული! წინ ბე-
ვრი ჩანაფიქრი გაქვთ განსახორციელებელი. გისურვებთ ჯანმრთელობას და
არ დაივიწყოთ პირობა, რომ ფეხით შემომატარებთ თქვენს მიერ აღმოჩენილ
„პრომეთეს“ მღვიმეს. იყავით იმედიტა და მომავლის რწმენით. თქვენი ერთგუ-
ლი მეგობარი ცისანა ჯანაშვილი. ნიუ-იორკი, 3.11.2014 წ.“

შთამბეჭდავი იყო საქართველოს ჟურნალისტიკა შემოქმედებითი კავშირის
თავმჯდომარის, ბატონ ჰამლეტ გეგიას გამოსვლა, რომელმაც საზოგადოებას
აუწყა, რომ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და წარმატებული მოღვაწეობისათ-
ვის ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურ-
ნალისტის საპატიო წოდება. ამ სასიამოვნო ცნობას დამსწრე საზოგადოება
მქუხარე ოვაციით შეხვდა. როგორც ყოველთვის მგზნებარე და ომახიანი იყო
პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის გამოსვლა, რომელმაც გაიხსენა თუ როგორ
ჩამოუტანა ამერიკიდან ჯუმბერ ჯიშკარიანმა ცისანა ჯანაშვილის მიერ შექმ-
ნილი თინათინის ფერწერული ტილო და როგორ დაამეგობრა ეს ორი დიდებული შემოქმედი ქალბატონი. თავისი გა-
მოსვლა პოეტმა დაასრულა ლექსით „მინისქვეშეთის დიდი თეატრი“, რომელიც „პრომეთეს“ მღვიმის აღმომჩენს ბატონ
ჯუმბერ ჯიშკარიანს მიუძღვნა:



*თქვენ გიყვართ მზერა ანაფერადი, ასე სრულქმნილი, ასე ულვეი...
სტალაგმიტები – მინის თეატრის ფანტასტიკური სამკაულები.
თქვენ ფეხქვეშ, ალბათ, ქვები იძროდნენ ახალ ათონში, ანდა რინაში...
და, თუმც სამშუო გზიბლავთ ესოდენ, მშვენიერებას ეძებთ მინაში.
იქ სტალაგმიტებს ყელზე აწყდებათ თვალისმომჭრელი ალმასები და,
ვინ იცის, იქნებ, ახლაც ხმა გნვდებათ გაქვევებული დარბაზებიდან...
ოდეს მრისხანე ქვათაცვენაში ებრძოდით წვიმას, შავბნელ მენყერებს...
წუთისოფელში, როგორც მღვიმეში, სიკვილი-სიცოცხლის ძმა მენყვილე.
თუმც წუხართ, მაგრამ, თქვენ ვერ ახსენით, ტობას ჩანჩქერი რატომ გაფითრდა?!
შეშურდებოდა არწივს არსენის, როს ფრთებგაშლილი კლდიდან გაფრინდა.
წუხართ, რომ უამი დაუდგა მძიმე გუმისთისა და ნებელდის მასივს,
რომ კელასურის ხუთივე მღვიმე დაპყრობილი აქვს ავსულს და ასპიტს.
რომ ვილაც შლეგი, ვილაც აშარი, ცხუმ-აფხაზეთის საჭურჭლეს ძარცვავს
რომ ურჯულთა უცხო ლაშქარი შემოსევია ილორის ტაძარს.
რომ ლიხნის ზვავი, როგორც შემლილი ქართლის გულისკენ ისე დაიძრა...
რომ უცნობია ბედი ეშერის და რომ ეგრისწყალს შქვია ღალიძგა.
რომ დაკარგვია სურნელი ბესლეთს ველური ვარდის – თეთრი ასკილის,
რომ აულია შემზარავ ბნელეთს თავბრუდამხვევი მღვიმე აბრსკილის.
რომ დაშრეტია გონების თვალი კაცობრიობას – ანჩხლსა და სნეულს,
რომ ივერიას კორტნიან სვავნი, დედაღვთისმშობლის ცრემლიან სხეულს.
რომ ამღვრეული მოქვის სავანე, ნასისხლარი და ნაკალმახარი...
რომ ფსოუსა და ბზიფის სანახებს ვილაც მტარვალმა ჩასცა ლახვარი!
და ამ ნაოხარ-ნაგრიგალეში, რომ დაულიათ პირი ნაპრალებს,
რომ ჩასდგომიათ მწუხრი თვალეებში მინისქვეშეთის მზეთუნახავებს.
რომ აღარც ძალა, აღარც მხნეობა, აღარ ამშვენებთ ქრისტეს რაინდებს...
რომ დაუგდათ გაგრის ხეობა, რომ განდგომიან არსთა გამრიგეს!..
და, რომ არასდროს, არვინ და არსად, ასე უღმერთოდ არა გვეშულა,
და, რომ შავ ზღვაში, ანაკლიასთან, თავი დაიხრჩო წუხელ ენგურმა!..
მაგრამ, სულ მაღლა, იქ, ხვამლის მთაზე, ჯერ კიდევ ყრია უფლის საუნჯე...
და არაბიკის უფსკრულის თავზე ჩამორღვევია ღრუბელს საკინძე.
იქ სიმშვიდეა... და საქართველო მზისგულზე ბრწყინავს, როგორც ქალწული
და წყაროსთავის მთავარანგელოზს მხარზე ჯვარი აქვს ამოკანრული.
მაღლა ზეცა ანაფერადი და ვარსკვლავეთის ლურჯი გრაცია...
თქვენ გიყვართ მინის დიდი თეატრის ეგ ზოტიკური დეკორაცია!..*

შესანიშნავი სიტყვით მიმართა ჯუმბერ ჯიშკარიანს ჩვენი დიდებული მწერლის ლევან გოთუას ძმისშვილმა, ექიმმა,
ალერგოლოგიის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა მაია გოთუამ, რომელმაც კიდევ ერთხელ აღნიშნა იმ სიახლოვისა
და მეგობრული ურთიერთობის შესახებ, რაც ჯუმბერს ბატონ ლევანთან და მის ოჯახთან აკავშირებდა.

მეტად მგრძობიარე იყო ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ მთავარი რედაქტორის, პოეტ თამარ შაიშველაშვილის
გამოსვლა, რომელმაც საკუთარი ლექსი მიუძღვნა ლევან გოთუას მეგობარს, ძვირფას ადამიანს და მამულიშვილს –
ჯუმბერ ჯიშკარიანს:

*„მოვწყვიტე ცისკრის ლილილო, სერზე ნისლები ვლიანო...
შენთვის კვლავ ვლილინ-ვლიმილობ სამშობლო, გულნაღვლიანო...*



სულს ნოემბერის ღრუბლებად მინდვრის ნიაჲი მიარხევს ტკივილი გამიბრუვდება – ვით თოვლში სისხლისფერ ძახველს. სცივა და მაინც სიცოცხლეს ლამაზად უთენ-ულამებს... გულო, დღეიდან იცოდუ შენ ისევ დაიმქუხარებ... ამ ცოდვა-მადლის უღელში მზეც მიუსაფრად ანათებს, მე სიძულვილითან დუელში სიყვარულს გავიათასებ! სიავემ ბედთან ამ ღამეს აღმართა თეთრი ალამი, სხვა სავედრალით ღალადებს ახალი გმირთა ვარამი... მე ამ ვარამზეც მეტი ვარ, სილაღე შემხვდა ხარ-ირმის, სად მინდორ-ველად მეტირა... სვეჩატეხილი ხმალივით სიმწრით დავეძებ სამშობლოს, მოვწყვიტე ბინდის ღილილო... რომ მწუხარება ვაშორო, და ცრემლი ავაღიმილო!“

საკმაოდ ექსპრესიული იყო ბატონ ოთარ სოხაძის გამოსვლა, რომელმაც დიდი შეფასება მისცა ოტია იოსელიანზე ასეთი წიგნის გამოცემას და ჯუმბერ ჯიშკარიანს პატივისცემის ნიშნად მიუძღვნა ლექსი „მოუშუშებელ, ღრმა ჭრილობებს რითი ვუშველო“...

რა უნდა იყოს მძაფრი განცდა იმაზე მეტი,
არ ნელდებოდეს მონატრების სულისკვეთება,
თავს გახსენებდეს სათაყვანო სამშობლოს ბედი,
და იღვრებოდეს შენს დიდ გულში სისხლის წვეთებად...
და ლოცვანივით ვიმეორებ ჩვეული ნიშნით,
მამულო ჩემო, როგორ უნდა გავძლო უშენოდ,
ვერ დავიმარხო იმ მიწაში, რომელშიც ვიშვი,
მოუშუშებელ ღრმა ჭრილობებს რითი ვუშველო...
თურმე სიკვდილი არ ყოფილა საშიში სულაც,
თუ თავს გახსენებს უპირობოდ იმის შეგნება,
თუკი სამშობლო არ აღვიქვით სისხლსავსედ, სრულად,
დარჩენილ დღეებს, აბა, რალა ფასი ექნებათ.
სიცოცხლე ჩვენი, წუთისოფლად რომელსაც ვუხმობთ,
მაცხოვრის ხატთან აღვავლინოთ ლოცვა-ვედრება,
რომ საქართველოს გადარჩენა ვინატროთ უხმოდ,
რასაც, არც ერთი დასანატრი არ შეედრება.
ავგაროზივით გულით დამაქვს მამულის მრწამსი,
საქართველოა მარად ჩვენი რწმენა, ჯვარ-ხატი,
არსად არ არის! არსად! ჩვენი სამშობლოს მსგავსი,
ცა – ფიროსმანის კურთხეული ფუნჯით ნახატი.
დავანთებთ სანთლებს, წინაპართა სულებს ცცემთ თავყანს,
მათ გარჯა-ბრძოლას სიამაყით ვუნოდებთ ძელქვას,
თუ რამ სიკეთე ჩვენში სახლობს, იმათგან დავგყვა,
რომ ყველგან, ყოვლით ღირსეული ქართველი გვერქვას...

ჯუმბერ ჯიშკარიანისადმი უსაზღვრო მადლიერება გამოხატა პოეტმა სეგარიონ ნადირაძემ და აღნიშნა, თუ როგორ დაეხმარა ჯუმბერი, ამერიკაში რომ მისი ლექსები გამოქვეყნებულიყო. აქვე ნაიკითხა ჯუმბერ ჯიშკარიანისადმი მიძღვნილი ეს ლექსი:

სანუთრო პურის თავთავის ძნაა,
მწყერის ქვითკირი არის ნიშანი,
წინ დამიჯექი უფროსო ძმაო,
გული წიგნივით გადამიშალე...
უკვე მამალი – პეტრეე – იძახის,
ჯვარზე გააკრეს უკვე მესამე,
უფროსო ძმაო, წინ გამიძეხი,
სიტყვა ამინთე გზაზე მზესავით...

დიდი სიტბო გამოხატა და დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და მარადიული ერთგულებით ექსპრომტი უძღვნა ჯუმბერ ჯიშკარიანს პოეტმა მიმოზა ცანავამ:

წარსულის ხსოვნის მატარებელი
მიჰქრის, მახსენებს იმ წრფელ დროს, წუთებს,
ნაოცნებარი წლები მანვალებს,
ძველი ჭრილობა მეწვის, მანუხებს.
გიგონებ, როგორც ბავშვობას წმინდას,
ვით ნათელ მთვარეს გეთაყვანები,
ტკივილის ტვირთი აგკიდა ბედმა,

ნუ დანებდები, მე არ დანებდი.
 პოეტისაგან ნასროლი ტყვია
 გულისგულამდე ატანს და მტკიცია,
 დღეს ასახსნელი ალბა თარ არის,
 ერთმანეთისთვის რა ვართ და ვინ ვართ.
 ეჰ... ამ ცხოვრების ქარტახილები
 განა დაგვტოვებს ნატორალს, ურბევს,
 ნუ გეშინია, გულის შუქი არ ჩაგქრობია,
 ზღვა სიყვარული შეგაგება მოყვასმა ჯუმბერ!
 სულში წარსულის გიტარა კვენისის,
 იმ ნეტარ დღეთა დაბრუნება წამით ვინატრე,
 შენ ჩემს სამყაროს შემორჩები როგორც ლეგენდა,
 კაცი – სიკეთე, კაცი – სინათლე

დარბაზის დიდი გამოცოცხლება მოჰყვა მე-8 კლასელი ზურაბ გავაშელის მისალმებას, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაათვალიერა „პრომეთეს“ მღვიმე, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმი, ყვავილებით შეამკო ბატონი ოტიას საფლავი და გადაწყვიტა, როგორც ძია ჯუმბერი, ისიც სპელეოლოგი გახდეს.

მოკლედ და სხარტად ისაუბრა წიგნზე მუშაობის პერიპეტეებზე წიგნის რედაქტორმა და სულისჩამდგმელმა ბატონმა მურთაზ კანკაძემ და გაიხსენა ბატონი ოტიასა და ჯუმბერის მეგობრობის ზოგიერთი მომენტი.

ოტია იოსელიანის ვაჟმა დაჩიმ, ოჯახის სახელით დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ჯუმბერ ჯიმკარიანის მიმართ, გაიხსენა ჯუმბერის გულითადი მეგობრობა ბატონ ოტიასთან და დასძინა, რომ მიუხედავად იმისა, ოტია იოსელიანი ზეციური საქართველოს მკვიდრი გახდა, ჯუმბერ ჯიმკარიანისათვის მათი სახლის კარი ძველებურად მუდამ ღია იქნება. დასასრულ, წიგნის „ჩვენი ოტია“ ავტორმა ჯუმბერ ჯიმკარიანმა დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ასეთმა გულწრფელმა და თბილმა შეხვედრამ ახალი სტიმული მისცა მას და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად აუცილებლად შექმნის რამდენიმე წიგნს და წარუდგენს საზოგადოებას. – ეს საღამო დაუვინყარი იქნება ჩემთვის, – დასძინა ბოლოს ბატონმა ჯუმბერმა.

ივანე ჯავახიძე

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, ქ. ქიათურის საპატიო მოქალაქე, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მინვეული ლექტორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი



**როსაბაუკის
 პენიტიანალიზაში
 ოლიაიური ჩიკაღანი
 გუჩიის ლელოს
 ფელეკსიის
 ვიხე-პაჟიღეზა,
 ლელო-რაგვის
 ალოკინების კაჟიკის
 ნეჟ-ლაჟუჟეჟეჟა
 ღიჟა ხინსაჟეჟ აანთო**



საქართველო ჩვეთვის როგორც ჩვენი იმედი



ნინო ჯიბუტი

ნინო ჯიბუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კურსის წარჩინებული სტუდენტია, (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი). იგი ერთი წელი ბილატერალური გაცვლითი პროგრამით პრალაში, ჩარლზის უნივერსიტეტში სწავლობდა.

– ნინო, რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდი პრალიდან და რით იყო საინტერესო იქ გატარებული ერთი წელი?

– ჩარლზის უნივერსიტეტს აქვს ურთიერთობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ყოველწლიურად ტარდება კონკურსი, რის შედეგადაც აგზავნიან რამდენიმე სტუდენტს სხვადასხვა ფაკულტეტზე, ერთი სემესტრის განმავლობაში. მეც მივიღე კონკურსში მონაწილეობა, გავიმარჯვე და გავემგზავრე ჩარლზის უნივერსიტეტში. ვსწავლობდი სოციალური მუშაობის მიმართულებით. საქართველოდან ვიყავი ერთადერთი ვინც ამ პროფილით სწავლობდა. საერთოდ უნივერსიტეტში სხვა ფაკულტეტებზე კიდევ ორი ქართველი სწავლობდა.

ჩარლზის უნივერსიტეტი ყველაზე ძველი და პრესტიჟულია ევროპაში. აქ ძირითადად სწავლობდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები. ჩემთვის საინტერესო იყო უნივერსიტეტში სწავლა, იმ თვალსაზრისით, რომ სოციალურ მუშაობას ვეუფლებოდი სხვა კუთხით – სპირიტუალური კუთხით. ესაა განსხვავებული პრაქტიკა, რასაც ევროპა ატარებს და საქართველოში ძალიან იშვიათად, რომ ამ მიმართულებით განათლება მიიღო. მასწავლებლებს არაჩვეულებრივი ლექტორები, რომლებიც თავიანთი საქმის პროფესიონალები იყვნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ თავიანთი ცოდნა გადაეცათ

სტუდენტებისთვის.

– როგორც ვიცი, შენ თებერვალში ბრუნდებოდი საქართველოში, მაგრამ შემდეგ უნივერსიტეტმა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მოგცა.

– დიახ, ჩარლზის უნივერსიტეტმა გამიგრძელა სტიპენდია და მეც ერთი წლით დავრჩი და სწავლა გავაგრძელე. ძალიან ბევრი რამით იყო ეს ერთი წელი ჩემთვის საინტერესო. ვცხოვრობდი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, სადაც გაცივანი ბევრი ახალგაზრდა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან იყვნენ ჩამოსული, დავემგობრდით და მათთან ერთად ვიმოგზავრე: ავსტრიაში, უნგრეთში, საფრანგეთში, ბრიუსელში, პოლონეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, გერმანიაში.

– პრალაში რა კუთხით იცნობენ საქართველოს?

– საქართველოს ძირითადად უმეტესი ნაწილი იცნობს ჩვენი ხელოვნებით, განსაკუთრებით მოსწონთ ქართული ცეკვები, ღვინო, ბორჯომი, ქართული სამზარეულო, ჩვენი ბუნება. ხშირად ტარდებოდა სტუდენტური კავშირის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო საღამოები, სადაც ყველას შეგვეძლო წარმოგვეჩინა საკუთარი ქვეყანა. ქართველმა სტუდენტებმა ქართულ დიასპორასთან ერთად მივიღეთ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. წარმოვადგინეთ ქართული ცეკვები და კულინარია, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. საქართველოს შემოიღია ვთქვა, კარგი სახელი აქვს პრალაში. ჩემს მეგობრებს დიდი სურვილი აქვთ ჩამოვიდნენ საქართველოში და ახლოს გაეცნონ ჩვენს ქვეყანას.

– ნინო შენ დასთან, თამუნასთან ერთად სკოლაში სწავლის დროს ერთი წლით იყავით ამერიკაში. მოდიტ ეს პერიოდიც გავიხსენოთ.

– მე და ჩემი და „მომავალ ლიდერთა“ გაცვლითი პროგრამით, რომელიც სკოლის მოსწავლეებისათვის ყოველწლიურად ტარდება, ვიმყოფებოდით ამერიკაში. ჩვენ სხვადასხვა შტატში ვსწავლობდით. ვცხოვრობდით მასპინძელ ოჯახებში. ძალიან გამომართლა. არაჩვეულებრივი ამერიკელი „მშობლები“ მყავდნენ. ეს ის ადამიანებია, რომლებმაც ჩემი ამერიკაში ყოფნის ერთი წელი დაუფინანსარი გახადეს. მთელი წლის განრიგი განერილი ჰქონდათ. მათ ორი შვილი ჰყავთ, რომლებიც თავიანთ ოჯახთან ერთად ცალკე ცხოვრობდნენ, მაგრამ თუ რაიმე აქტივობები იყო, მაშინ გვიერთდებოდნენ და ერთად დავდიოდით მაგალითად კონცერტებზე, ცირკში, ქალაქგარეთ... მაქსიმალურად ცდილობდნენ, რაც შეიძლება ბევრი რამ მენახა და გამეგო ამერიკის ისტორიისა და კულტურის შესახებ.

ჩარლზის უნივერსიტეტში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ქართველი სტუდენტები თავიანთი ცოდნით, გამოცდილებით, ენთუზიაზმით, მიზანმიმართულობით გაცილებით მაღლა იდგნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებზე. ამაყი ვიყავი, როცა ასეთ შეფასებებს ვისმენდი.

– ნინო, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებ სწავლას, რომელსაც მომავალ წელს დაასრულებ, როგორია შენი შემდგომი გეგმები?

– თუ საქართველოში სტაჟირების საშუალება მომეცა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში, ბუნებრივია

ზრუნვას დავიწყებ. ერთი წლის შემდეგ ბაკალავრს დავამთავრებ და მივიღებ ხარისხს. რაც შეეხება მაგისტრატურას, სად გავაგრძელებ, ეს ჯერ უცნობია. თუმცა ძალიან მინდა ეს ქვეყანა იყოს ინგლისი. თუ მუშაობის საშუალება მექნება, ერთი წელი პრაქტიკის მიზნით ვიმუშავებ.

– რას ნიშნავს შენთვის ჩოხატაური?

– ჩოხატაური ჩემში ასოცირდება სასიამოვნო მოგონებებთან. ეს გახლავთ ჩემი ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა, მეგობრები, მეზობლები, ხშირად მახსენდება და მენატრება ჩემი ბავშვობა. სკოლის პერიოდი საინტერესო იყო იმიტომ, რაც კი ცოდნა და გამოცდილება მივიღე ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლაში, სამომავლოდ ძალიან გამომადაგა. უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო თითოეულ პედაგოგს, მათი თავდადება ღვაწლისთვის. ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, შეიძლება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სკოლებშიც არ ჰყავდეთ ასეთი მაღალი დონის პროფესიონალი პედაგოგები.

ასევე კარგად მახსენდება ახალგაზრდული ორგანიზაცია „პროგრესი,“ რომლის ხელმძღვანელი შესანიშნავი პიროვნება ზაზა ცინცაძე გახლდათ, სწორედ მისი აქტიურობითა და ძალისხმევით ჩვენ ბევრი სასარგებლო პროექტები განვახორციელეთ. მე ეკო-კლუბის წევრი ვიყავი და სწორედ აქ ვისწავლე არსებული პრობლემების დაძლევის გზები, პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, რაც შემდგომ გამომადაგა. სამჯერ ვიყავით ეკო-ბანაკში, სადაც ბევრი მეგობარი შევიძინე. მათთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. ასე რომ ჩემი აქტიური საქმიანობა პრინციპში დაიწყო სწორედ „პროგრეს“-ში, 2006 წლიდან.

– ახალგაზრდებს რას ეტყვი?

– ახალგაზრდებმა კარგად იციან, რომ განათლებას



დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს ბევრი გაცვლითი პროგრამები არსებობს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია უცხოეთში რამდენიმე წელი ისწავლონ და ეს განსხვავებული ქვეყნები ნახონ. შემდეგ კი ცოდნით აღჭურვილნი დაბრუნდნენ საქართველოში და იქ მიღებული ცოდნა მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი ქვეყნის განვითარებისათვის. განათლება არის ის, რითაც ცვლილებების მოხდენა შესაძლებელია. უცხოური გამოცდილებები მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, შემდეგ კი იქედან ზომიერად უნდა მივიღოთ და მოვარგოთ ჩვენს ქვეყანას, ის რაც ჩვენს ქვეყანას, ქართულ რეალობას, ჩვენს კულტურას და ტრადიციებს შეესაბამება. ვფიქრობ, ყველაფერი ევროპული მისაღები არ არის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა დოზით უნდა მივიღოთ ის, რაც ჩვენთვის სასარგებლო და კარგია, იქნება ეს სწავლის მეთოდები, დამოკიდებულებები, ურთიერთობები, თუ ბევრი სხვა რამ, რაც იქ საკმაოდ მაღალ დონეზეა.

საქართველო ჩემთვის ჩოხატაურით იწყება. ვისურვებდი, ჩემს მშობლიურ კუთხეში დაბრუნდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც საბედნიეროდ აქვთ სრულყოფილი განათლება და ბევრი სასიკეთო საქმეების კეთება შეუძლიათ. ახალგაზრდებს სურთ აქ დაბრუნება, მაგრამ ამისათვის უნდა იყო მოტივაცია. თუ მათ ექნებათ მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, რა თქმა უნდა, ისინი დაუბრუნდებიან მშობლიურ კუთხეს და მათი აქტივობებით ცხოვრებაც უფრო ლაღი და ხალისიანი იქნება.

ქეთევან კუკულავა

ჩოხატაურის სამუსიკო სკოლას 55 წელი შეუსრულდა

2015 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლამ კინოთეატრ „გურიაში“ საანგარიშო კონცერტი ჩაატარა. ღონისძიება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. სტუმრად ჩამოვიდნენ ქალაქ ქუთაისის თ. კობახიძის სახელობის ჯამერული ორკესტრი, ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთად შეასრულეს.

წელს სამუსიკო სკოლას დაარსებიდან 55 წელი შეუსრულდა. აქ ბევრი ნიჭიერი თაობა აღიზარდა. სკოლა მოსწავლეებს დაწყებით სამუსიკო განათლებას აძლევს, სწავლება 6 წლიანია. მოსწავლეები მუსიკალურ სმენას განავითარებენ სხვადასხვა ჟანრებში და ჯგუფებში, რომლებიც სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს: კლასიკურ, ფოლკლორულ, საესტრადო ჯგუფებში. ისწავლონ ფორტეპიანოზე, ფლეიტაზე და ხალხურ საკრავებზე დაკვრა. სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს საანგარიშო კონცერტი ტრადიციულად კინოთეატრ „გურიაში“ იმართება. ამჟამად სამუსიკო სკოლაში 150-მდე მოსწავლეა.

ქ. ქუთაისის თ. კობახიძის სახელობის ჯამერული ორკესტრი მეორე წელია ჩოხატაურის სამუსიკო სკოლასთან მეგობრობს. სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს თავიანთი მიზნების განხორციელებაში მხარდაჭერას და ფინანსურ თანადგომას უცხადებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საყრდენი.



მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა

ჩოხატაურში სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის (**Dvv international**) მიერ გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრთან პარტნიორობით დაარსდა ზრდასრულთა განათლების ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს ინგლისური ენის, კომპიუტერის, ბუღალტრული აღრიცხვის, ავტომობილის მართვის, ხელსაქმისა და სუვენირების დამზადების შემსწავლელი კურსები.

ამჟამად ზრდასრულთა განათლების ცენტრში მოეწყო ხელსაქმისა და სუვენირების დამზადების სასწავლო პროგრამის პირველი ჯგუფის კუსდამთავრებულთა მიერ შექმნილი თექის ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქრისტინე სიხარულიძის, ნათია თავბერიძის, კესო კუტუბიძის, ნათია ბოლქვაძის, ზურა, ციური, თამარ კალანდაძეების, გვანცა გოცაძის, მარი ტიშჩენკოს, იანა კორიფაძის, მარი ჩხიკვაძის, მარიამ ორაგველიძის, ნინო ყაჭეიშვილის, ნინო გიორგაძის, ნია ბერძენიშვილის, ანა დოლიძის, ლიზი ელიეშვილის, სოსო სიხარულიძის, თეონა ცხვარაძის, ცირა გიორგაძისა და სხვათა ნამუშევრები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს.

გამოფენა გახსნა ზრდასრულთა ცენტრის მენეჯერმა თეა სიხარულიძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ გააცნო ამ ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები. მან მადლობა გადაუხადა კურსის პედაგოგს ქეთევან მურმანიძეს, რომელმაც არ დაიშურა თავისი შემოქმედებითი და პედაგოგიური შესაძლებლობები, სხვადასხვა ასაკის ადამიანებს საკმაოდ მაღალ დონეზე შეესწავლათ ეს საქმიანობა და თავიანთი ნამუშევრები ფართო საზოგადოების ეჩვენებინათ.

გამოფენას ესწრებოდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა, საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე, პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქეთევან სიხარულიძე, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ვიცეპრეზიდენტი და დამფუძნებელი თამარ ლლონტი და სხვები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ იგი ახლახან იმყოფებოდა გერმანიაში და მოინახულა მსგავსი ტიპის ორგანიზაცია, სადაც გადამზადების ცენტრს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ. გამოთქვა მზაობა იმისა, რომ ზრდასრულთა ცენტრში დამზადებულ ნამუშევრებს ბაზარში გამოფენა-გაყიდვაზე დაეთმობა ერთი კუთხე, სადაც შესაძლებელი იქნება ავტორებმა მოახდინონ თავიანთი ნამუშევრების რეალიზაცია. მან ასევე მადლობა გადაუხადა ზრდასრულთა ცენტრის ხელმძღვანელობას, ცენტრის დამფუძნებლებს, მათ ვისი ინიციატივითაც ეს საჭირო და აუცილებელი ორგანიზაცია გაიხსნა, რომელიც რამდენიმე თვეა წარმატებულად ფუნქციონირებს და შემდგომი წარმატებები უსურვა.

თამარ ლლონტი – გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის დამფუძნებელი: ძალიან მიხარია, რომ ზრდასრულთა ცენტრში არსებული სხვადასხვა დარგის ჯგუფები წარმატებით ფუნქციონირებს. დღეს ჩვენ საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულებული თექის ნამუშევრების გამოფენა ვნახეთ. შეიძლება ითქვას, რომ აქ წარმოდგენილი თითოეული ნამუშევარი ნებისმიერ გამოფენას დაამშვენებდა. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით ხელი შევუწყოთ ამ დარგის პოპულარიზაციას, რაც შესაბამისად გაზრდის ამ მიმართულების მდგრადობას და ამ საქმიანობას უფრო წარმა-



ტებულს გახდის.

ნათია თავბერიძე, ხალხური რენვის კურსდამთავრებული: მიხარია, მომეცა შესაძლებლობა ამ არაჩვეულებრივ განათლების ცენტრში დავუფლებოდი ქარგვასა და თექის ოსტატობას. იმედი მაქვს, სისტემატური მუშაობით უფრო სრულყოფილი და სერიოზული ნამუშევრებით წარვდგები ფართო საზოგადოების წინაშე.

გამოფენის დასასრულ ზრდასრულთა ცენტრის დირექტორმა ალექსანდრე ჩიჩუამ მადლობა გადაუხადა ჩოხატაურის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ჩოხატაურში დიდი დაინტერესებაა სხვადასხვა ასაკის ადამიანებისა, რომლებსაც სურთ მათთვის სასურველ სპეციალობაში გადამზდებულ და მაღლიერები არიან, ცენტრში ამის საშუალება რომ მიეცათ.

ჩვენთან ასევე შეიქმნა ახალგაზრდული კლუბი, სადაც ახალგაზრდების იდეების რეალიზება ხდება. სასიხარულოა, რომ ჩვენს ცენტრში რამდენიმე წელი იმუშავებენ ამერიკიდან ჩამოსული მოხალისეები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებებს გაუზიარებენ ჩოხატაურელ ახალგაზრდებს და ერთობლივად მოხდება საინტერესო და სასარგებლო პროექტების განხორციელება.

მოგესხენებათ, ზრდასრულთა განათლება ევროპის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, გაზიარებულ იქნა ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ მემორანდუმში **„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა.“** ამ მემორანდუმში კონცეფციის რეალიზებისათვის ექვსი მთავარი პრინციპი დასახელდა: ახალი საბაზო განათლებისა და უნარ-ჩვევების ყველასათვის გაცნობა, ადამიანურ რესურსებში ინვესტიციების გაზრდა, სწავლების ინოვაციური მეთოდების დამკვიდრება, ცოდნისა და უნარების ახლებური შეფასების სისტემის დანერგვა, სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ საკონსულტაციო სისტემის გაფართოება და განათლების მიღების საშუალების დაახლოება თითოეულის საცხოვრებელ ადგილთან.

ცოდნის ეკონომიკის რეალობად ქცევისათვის სწორედ ამ პრინციპების რეალიზება მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული. იმედს ვიტოვებთ, ჩოხატაურის ზრდასრულთა ცენტრი ერთ-ერთი წამატებელი და ძლიერი ორგანიზაცია იქნება გურიის რეგიონში.

ქეთევან კუკულავა

ღებინდა ნატონი

– უბედურება დიდო ბატონო! საშინელი ყვირილით სუფრასთან მოვარდა გურიელის ერთგული მსახური მალაქია და ბატონს ფეხებში ჩაუვარდა.

– რაო, რა მოხდა, მტერი დაგვესხა?

– თავად არ ვიცი, დიდო ბატონო, ალბათ მტერია ურჯულო, მტერი.

– შეწყდეს ნადიმი, ხმალი ვიშიშვლოთ, მუხდალი მტერი უნდა შევმუსროთ.

– დიდო ბატონო, გთხოვთ, მომისმინოთ, შევალადა მუხლებში ჩავარდნილმა მსახურმა ბატონს – რაც მოხდა, ყველაფერი ჩემი ბრალია, ნატა ასულმა საბრალო ნუკრი მე ჩამაბარა მოსავლელად. გალიაში მყავდა შემწყვედი, ხობებთან ერთად უსაქმურად, რა გამაჩერებდა, მზარეულებს ვშველოდი, თვალი კი გალიისკენ მეჭირა. უეცრად, რაღაც აჩრდილს მოვკარი თვალი, აჩრდილი თქვენი სუფრიდან გამოვიდა, მე უმალ გალიას მივაშურე, ხმაური შემომესმა, ვილაც იძახდა, ნუკრი გაიქცაო. მგონი ის აჩრდილი ყვიროდა, გალიასთან რომ მივვარდი, კარები ღია იყო. გალიაში ნუკრი აღარ დახვდა. შემინებული ხობები ერთმანეთში ირეოდნენ, ფრთხილებდნენ. მიშველეთ, ნუკრი მომტაცეს მეთქი, ვიყვირე მე ბედშავმა. ჩემს ყვირილზე უმალ ნატა ასული მომეშველა, ვინ მოგტაცა ჩემი საბრალო ნუკრი? – შემომძახა. ნატას ხმაზე ნუკრი ჩვენს წინ გაჩნდა ანაზდად.



მერე თითქოს ვილაცამ დააფრთხო, კამარა შეკრა და გაიქცა. ნატა ნუკრს გამოუდგა, ტყის პირას ისევ აჩრდილი შემოგვხვდა სულ ახლოს, ჩვენებურს არ ჰგავდა, მგონი თათარი იყო, რაღაც საშინლად დაიღრიალა, ზურგზე მათრახი გადამიჭირა და ცხენი ტყეში შეაგდო.

– ნატა, ნატა, რა იქნა ბებერო ქოფაკო, დაიღრიალა გურიელმა.

მსახური მთლად მოიკუნტა, ბატონის ფეხებთან დაეცა და რაღაცას ბურტყუნებდა გაურკვეველად.

– ნატა, რა იქნა მეთქი, ისევ დაიქუხა ბატონმა და ფხის ქნევით მოხუცი მოიშორა.

– ნატა მოგტაცეს, იმ შავცხენიანმა აჩრდილმა მოგტაცა ნატა. რაღაც არაადამიანური კვნესითა და ქალური კვილით ამოიკვნესა მოხუცმა და მიწას დაემხო ქვითინით.

– ვაი სირცხვილო! ვინ გამიბედა თავს ლაფის დასხმა, ჩქარა მდევრები, სწრაფი მდევრები, რომ არ მოგვასწრონ ამ ტყიდან გასვლა – ბრძანა ბატონმა და მოსუფრენიც უმალ წამოიშალნენ.

გურიელმა სწრაფად აფრინა მდევრები, ოდიშის გზას თავად ნაკაშიძე გაუყენა, მთისკენ ჭაბუა თაყაიშვილი აფრინა თავისი მფრინავი ამალით. ყველაზე უმთავრესი დავალება კი თავად ბაგრატს მისცა.

– შენ, ბაგრატ ჩემო, შენი მდევრებით, გასწი შეკვეთილს შეჰკარ ბოლაზი, რომ მტერმა ზღვით არსად გაგვასწროს. ეგ თავდგირიძის ხრიკები არის, იგი შვილისთვის ნატას ხელს მთხოვდა და რომ არ მივეცი ნებით, თანხმობით, ძალით, ქურდულად მომტაცა იგი. ჩემს შერცხვენას არ ვაპა-

ტიებ, მწარედ ვანანებ. ქადილით დამთავრა სიტყვა მთავარმა და ფრთხილად მოახტა ბედაურს, სადავეები მთელი ძალით მოქაჩა, ცხენი ჭიხინით ყალყზე გაუვალ ჭაობიან ტყისაკენ. თავადის კვალში ჩადგნენ ყველაზე გამოცდილი მხედრები. მხედრები იმედიანი შეძახილებით ამხნევებდნენ ბატონს და მტერთან შესაბამელად ილტვოდნენ.

– ქალებისა და ლაქია მზარეულების გარდა ყველანი მდევრებად გამოუდგნენ ნატას. სტუმარი აფხაზი და თავადი ლევან გუგუნავა არსად ჩანდნენ. სადღაც გაუჩინარებულიყვნენ იდუმალ.

მეორე დღეს საღამო მწუხრისას განბილებული დაბრუნდა ქანცგანყვეტილი გურიელი თავის სასახლეში. ნატას მოტაცების ამბავი ელვისსისწრაფით მოედო მთელ გურიას. ყველანი ნუხდა და ნანობდა მშვენიერი ნატას მოტაცებას: ახლობლები სასახლისკენ მიიჩქაროდნენ მთავართან საახლებლად, მდაბიო გლეხები სასახლის ირგვლივ იკრიფებოდნენ გულმოკლული ოხვრითა და ქადილით.

ნატა, ხომ მდაბიოთა მფარველი ანგელოზი იყო, ხალხს მისი იმედი ჰქონდა, სულკურთხეულ დედას ჰგავსო, იტყოდნენ: დედამისივით კეთილი და მონყალე იყო, ჭკუა-გონებით კი მამას ჯობდა. ნეტავი მაგის დედოფლობას მოვსწებოდით, ოხრავდნენ სასახლის ეკლესიასთან თავმოყრილი ქვრივ-ოძლები.

მაგი ასე არ ჩაივლის ხალხო, ომიანობა იქნება, ჩხუბი ატყდება ჩახლეჩილი ხმით ჩიფჩიფებდა ასწელს გადაცილებული ბრმა მოხუცი და ჯონის ბაკუნით წინ მოუძლოდა სასახლისაკენ მიმავალ ხალხს.

ოსმალოს ბატონს მოუტაცია თურმე ჩვენი ნატა, თავისი მახინჯი შვილისთვის ნდომებია ცოლად, ქოთქოთებდა მოხუცი დედაბერი – ახლა ჯარით მოდის თურმე საომრად, ქალი მოგტაცეს და კიდევ ომს რას გვემუქრება ეს ოხერი. მოყვრობა თუ უნდა, მოყვრად მოვიდეს. შემრიგებლური კილოთი ჩაერია დედაბერს მეორე შაოსანი ქალი.

– ვის უნდა მათი მოყვრობა, ჩვენი ბატონი თათარს არ მიათხოვს ქალს – რიხით წარმოთქვა ისევ იმ ბრმა მოხუცმა.

– ჩვენი გათათრება ნდომია თურმე და იმიტომ მოდის ჯარით ეგ ურჯულო.

– მოვა და მოვიდეს, ჩვენ თათარი ვერას დაგვაკლებს.

– შენ რა გენაღვლება ბერიკაცო, სიტყვა განწყვეტინა ისევ იმ შაოსანმა ქალმა – ახალგაზრდებმა იკითხონ თორემ.

– თათარი თუ მოვიდა, გურიელი ებრძოლოს, ჩვენთან რა უნდა, რას გვემართლება უხინკო გლეხებს.

– თათრის ბატონობას ისევ გურიელის ბატონობა გერჩიოს, შე აბდალა.

– ხალხო, მოდით პირობა შევკრათ, თოფ-იარაღი ავილოთ. ვეახლოთ ბატონს, ვეცეთ ურჯულო თავდგირიძეს და დავიხსნათ ჩვენი ნატას ასული – ომანინად შესძახა ხალხს თეთრ ცხენზე ამხედრებულმა პირტიტველა ჭაბუკმა და ხალხს სასახლისაკენ გაუყვა.

სასახლეში გულის შემზარავი მდგომარეობა იყო. ყველანი მწუხარებას მოეცვა, აქა იქ ქალების თავშეკავებული ქვითინი ისმოდა. მამაკაცებს თავი მხნედ ეჭირათ, მაგრამ რალაც საშინელ სინდისის ქენჯნას განიცდიდნენ. გურიელი დაჭრილი ვეფხვივით სასახლის დიდ დარბაზში დაბორიანლვდა. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ნიადაგ სასახლის ფართე ფანჯარას გასცქეროდა, იქნებ ვინმე იმედიანი მდევრები დაბრუნდნენო.

უეცრად, სასახლის სადარბაზოს კარები გაიღო, დარბაზში მოურავი შემოვიდა აქოშინებული.

– მალემსრბოლი მოვიდაო, დიდო ბატონო, თავად ბაგრატიც გამოგზავნილი.

– რასა უწყისო, ნეტა, ბაგრატი?

– თავად ბაგრატი ჯარს ითხოვს ბატონო, ჩოლოქს გაღმა გასული.

– ურჯულოებთან ომი სწადია? რიხით წარმოსთქვა თავადმა, ძარღვებში ახალგაზრდული მხნეობა და ძალა იგრძნო. ომის ჟინი აღეძრა. თვალეზში იმედის და შურისძიების ნაპერწკალი აუკიაფდა.

– დიდო ბატონო, აბა რას ბრძანებ. ამაზე ფიქრი შიშის ზარსა მცემს. მგონი თათარი აქ მართალია, სჯობს, ჩვენს მხარეში მოვნახოთ მტერი. შიშნარევი ხმით შეაპარა სახლთუხუცესმა გურიელს.

– ეგ მართალია, თათრებთან ჩხუბის ძალა და ღონე ჩვენ არ შეგვწევს.

– სიბრძნეს ღალადებთ დიდო ბატონო, გვიბრძანე თათარს რა შევუთვალო – შვებით ამოისუნთქა მოურავმა.

– უკუიქეც თქო, აუწყეთ ბაგრატიც – მცირე პაუზის შემდეგ წარმოთქვა გურიელმა და ფართე სავარძელში ჩაეშვა თავჩახრილმა.

მოურავს სახეზე დაძაბულობა მოეხსნა, წელში გასწორდა, მუხლებში კანკალი შეუჩერდა, გული დაუნწყნარდა, არ ეგონა, თუ ბატონი ასე ადვილად გაიმეტებდა ბაგრატიც, მაშველს არ გაუგზავნიდა. ასე სამარცხვინოდ უკუქცევას უბრძანებდა. სიხარულისგან ენაც დაება, ბატონს მორჩილად თავყვანი სცა და დარბაზიდან გავიდა.

დამწუხრებული თავადი დიდხანს ოხრავდა და ბორგავდა სავარძელში თავჩახრილი. გულში ათასი ეჭვი და ფიქრი უტრიალებდა. ნატა ასულის გატაცება ისე არ ადარდებდა, როგორც სირცხვილის ჭამა და თავლაფის დასხმა. საქვეყნოდ სახელოვან მთავარს მთელი ამალით გარემოცულს თვალდახელშეუა ქალი მოსტაცეს. „კაცის ხელი ამას ვერ იქმნიდა“ – დროდადრო წამოიძახებდა თავადი, – „აღბათ ეშმაკმა, ან ჭინკამ მომტაცა ასული ჩემი“ – წამოიძახებდა და თვალეზში უმალ ცრემლების ტბა აკიაფდებოდა, აბრწყინდებოდა, ადიდდებოდა, მაგრამ კი არ გადმოიღვრებოდა, უმალ ჩაშრებოდა, ჩაიკარგებოდა.

ეს შვილის დაკარგვის სინანულის და სიბრალულის ცრემლები იყო. ასე ტბასავით რომ ჩაუდგებოდა თავადს ბებერ თვალეზში. ამ ცრემლებს გადმოღვრა და ბოღმის ჩამორეცხვა, წაღება არ შეეძლო. ბატონის სიბრაზისა და რისხვის ძალა მას უმაღლე აქრობდა, აშრობდა და თვალეზში ისევ საშინელი კაეშანი და სევდა ისადგურებდა.

– აბა, რას მეტყვი ჩემო ჭაბუა. შენ მუდამ იყავ ჩემი ბრძენი მრჩეველი, თითქოს ვედრებით მიმართა ბოლოს გურიელმა მის გვერდში მჯდომ სახლთუხუცესს.

– დიდო ბატონო, ვით გაგიბედო, რომ ეჭვი სულსა და გულს მიღრღნის.

– სთქვი, რასაც ფიქრობ, რაც გულში გიდევეს, მორჩილად დაუყვავა მთავარმა ერთგულ მსახურს.

– სტუმარზე ცუდის თქმა და ჩივილი ჩვენი ზნე-წყისი არ

არის, ვიცი, მაგრამ გული, კი, რალაცას მითქვამს და ვერ დავმაღავ მას თქვენს წინაშე.

– სახლთუხუცესო! გული მერევა, ქარაგმების დრო არის განა? – თქვი, ვისზეც ეჭვობ, ვინ არის მტერი, რომ ავადინო მის სახლ-კარს მტვერი.

– შერვაშიძეზე ვეჭვობ, ბატონო – შიშნარევი ხმით გამოცრა სახლთუხუცესმა. შერვაშიძის ხსენებაზე ბატონო ფეხზე წამოდგა, თვალეზში რისხვა აენთო.

– ამას რას ვყურობ სახლთუხუცესო. საშინელი მუქართით წარმოსთქვა თავადმა.

– ის კადნიერად მაშინ მოიქცა, როს ნადიმიდან სადღაც გაიქცა. რატომ არ გთხოვთ თქვენ ნება ამის, თუ ის არ იყო ქურდი იმ ღამის?

– სახლთუხუცესო, – ისევ მუქარის კილოთი დაინყო ბატონმა – სწანს, რომ სიბერე მოგჭარბებია და ძველებურად ვეღარ ბრძენკაცობ, მოყვარეს მტრად თვლი, მტერს კი მოყვარედ.

– მაშ სადღა არის თქვენი სტუმარი, რად არ გეახლა თქვენს ამაღაში, რომ მდევრობაში ეცადა ღონე, ვით შვლის ნუკრებთან გამოიჩინა.

სახლთუხუცესის სიტყვებმა ბატონი შეაფიქრინა, მოუსვენრობა დაეტყო, ბოლოს მძიმედ წამოდგა სავარძლიდან, ღია ფანჯარას მიაკყო მზერა და მისგან გაიქნია, კედელზე ირიბად დაკიდებულ ხანჯალს შეხედა, მიწვდა, ჩამოილო, ფიცხლად მოზიდა, ხანჯალი ხელიდან გაუვარდა, ფოლადი ჟრიალით დაეცა ფიქლის იატაკზე.

ბატონი საშინლად შეერთა, თითქოს ხანჯალი იატაკს კი არა, გულის ფიცარზე დასცემოდა. ხანჯლის ხელიდან გავარდნა ცუდად ჰქონდა დაცდილი. ჩოლოქთან ომში ხელიდან ხანჯალი რომ გაუვარდა, მეორე დღეს ვაჟი მოუკლეს თათრებმა. ნათლად მოაგონდა ყოველივე ეს და სევდიანად ამოიოხრა. მაშინ, ძე მომიკლეს ურჯულოებმა, ახლა კი ასული წამართვეს, მტერმა დამჯაბნა და მოყვარემ იჭვებით გული დამიღრნა – ბორგავდა ბატონი.

– წინწამხდალი სახლთუხუცესი ბატონის დამშვიდობებას ღამობდა, მაგრამ სიტყვის ამოღებას ვერ ბედავდა, მოურავი კი გაკერპებული იდგა დარბაზის კუთხეში, თვალეზში სისხლი ჩასდგომოდა, ხელები დოინჯზე შემოედგა, თითქოს საჭიდაოდ ემზადებო.

– სახლთუხუცესო! – მჭვუნვარე ბატონს ცეცხლზე ნავთს უმატებ, არა – ქორივით დააცხრა მოურავი სახლთუხუცესს – მე თავად ვნახე, რომ შერვაშიძე პირველ მდევრად მისდევდა ნატას, მაგრამ სადღაა შენი ლევანი, ტახის მოკვლისთვის ჯილდო რომ ერგო. ბატონმა ხმალი მისთვის უბოძა, რომ შინისაკენ გაქცეულიყო და არ ხლებოდა ბატონს მდევრებში, ვით კეთილშობილ თავადს შეშვენის?

– ჰო, გუგუნავა სადღაა ნეტავ, – იკითხა მოურავის სიტყვაზე ბატონმა – განა ლევანმაც მიმუხთლა ვითომ?

– მეც ეს მაფიქრებს, დიდო ბატონო – კვერი დაუკრა ისევ მოურავმა.

– ღმერთს ნუ სცოდავ, შენ მოურავო, დიდო ბატონო, არ დაიჯერო, ჩემი გაზრდილი თავადი ლევანი საძრახის სამე არ ჩაიდენდა. ღმერთისა და კაცის სიყვარულს შთაგონებული, წვრთნაც არ სჭიროდა, თქვენს სამსახურში სანთლად იწვოდა, თავს გასწირავდა. გულმხურვალედ ღალადებდა სახლთუხუცესი და სევდიან გულს მალამოდ ეცხებოდა, სულს უმშვიდებდა.

(გაგრძელება ჟურნალის №5-ში)

აურზაური არაფრის გამო



ლევან სვინიძე

ოზურგეთის ალექსანდრე წუნუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში ახალგაზრდა რეჟისორმა ლევან სვინიძემ განახორციელა უილიამ შექსპირის ერთმოქმედებიანი კომედია „აურზაური არაფრის გამო.“

– ლევან, რეჟისორობა თქვენი ბავშვობის ოცნება იყო?

– არა, საბანკო-საქმეთა ფინანსებზე მსურდა ჩაბარება, მაგრამ გიმნაზიის დამთავრებამდე ნახევარი წლით ადრე, ჩემში მოხდა რადიკალური ცვლილება და საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ უნივერსიტეტში სამსახიობო ფაკულტეტზე მოვხვდი (ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე). კარგი პედაგოგი გახლდათ ბატონი გოჩა, მან ბევრი რამ მასწავლა. შემდეგ კი სწავლა გავაგრძელე მაგისტრატურაში, სადაც ჩემი ხელმძღვანელი იყო რობერტ სტურუა. მასთან მუშაობა საინტერესო გახლდათ. საოცარი ფანტაზიის მქონე რეჟისორმა არაჩვეულებრივ და საინტერესო სამყაროს მაზიარა. მაშინ მივხვდი, რომ უფრო მეტად რეჟისორობა მაინტერესებდა და არა მსახიობობა. სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით რამდენიმე სპექტაკლი განვახორციელეთ, სადაც შექსპირის „ჰამლეტი“ მიხედვით დავდგით „ჰამლეტი კომიქსი“. ეს სპექტაკლი შემდეგ წარვადგინეთ ერევანში, სადაც ყოველწელს ტარდება შექსპირის სახელობის ფესტივალი.

ინსტიტუტის დამთავრებს შემდეგ მიმინვიეს თელავის თეატრში, სადაც სამი სპექტაკლი დავდგი.

– რას იტყვით ოზურგეთის თეატრზე?

– ოზურგეთის თეატრს არ ვიცნობდი და მოხარული ვარ, რომ ასეთ ნიჭიერ შემოქმედებით ჯგუფთან მიწვეს მუშაობა. არჩევანი გავაკეთე შექსპირის პიესაზე „აურზაური არაფრის გამო“ ეს არის კომედია, რომელშიც შეყვარებულების ამბავია მოთხრობილი, სადაც ბოროტ ადამიანებს სურთ მათი დაშორება, მაგრამ როგორც შექსპირის ძირითად პიესებში ხდება, ბოლოს, რა თქმა უნდა, ყველაფერი ირკვევა და შეყვარებული ახალგაზრდები ერთად რჩებიან.

– რატომ აირჩიეთ ეს პიესა?

– შეგნებულად ავირჩიე ეს პიესა. იმიტომ, რომ მინდოდა პიესა მომერგო თეატრის დასისთვის და საერთოდ

გურულებისთვის. პიესაში მოქმედება იტალიაში ხდება. მოგესხენებათ იტალიელები ცხოვრების წესით და დამოკიდებულებით ზოგადად ძალიან ჰგვანან ქართველებს. გადავწყვიტე ეს პიესა გურიაში დამედგა, ჩემი აზრით მათი ტემპო-რიტმიდან გამომდინარე, უფრო ახლობელი გახდებოდა. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე.

სპექტაკლში მონაწილეობენ: ირაკლი ვადაჭკორია, ლევან სალინაძე, გიორგი დოლიძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, შორენა გვეტაძე, თემურ კვიციანი, ანი გოდერძიშვილი, თეა კეჭაყმაძე, ზვიად ჯორბენაძე, გენადი ნიკოლაიშვილი, ნუგზარ ბარამიძე, ომარ ურუშაძე, ივანე ჩხაიძე, მარი ხანთაძე. სპექტაკლის სცენოგრაფი ლომგულ მურუსიძე გახლავთ, კოსტიუმების მხატვარი ქეთი ციციშვილი, ქორეოგრაფი მარიკა ქვეითაია, რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაშვილი, ეს ადამიანები დღეს ჩემი მეგობრები არიან. მათთან ერთად დიდი დატვირთვით ვიმუშავე და მინდა თითოეულ მათგანს უღრმესი მადლობა ვუთხრა განუვლი მუშაობისთვის.

დიდი მადლობა მინდა მოვასხენო ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ ვასო ჩიგოგიძეს და თეატრის დირექტორს ბატონ ზაზა ჯინჭარაძეს, მათი თანადგომით ჩვენი მუშაობა ჯანსაღ შემოქმედებით ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

სპექტაკლის შემდეგ ჩვენი ყურნალი გაესაუბრა თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილს: საერთოდ კარგია, როცა თანამედროვე თეატრალური ტენდენციების მქონე პროექტების განხორციელება ხდება რეგიონებში. მითუმეტეს, ოზურგეთის ტრადიციულ ესთეტიკაზე დამყარებული თეატრი, სადაც, როგორც ვხედავთ ამ სივრცის ერთგვარი გარღვევა ხდება. მისასალმებელია, რომ ოზურგეთის თეატრიც ცდილობს თანამედროვე თეატრალურ სივრცეში თავისი ადგილის დამკვიდრებას. ამ სპექტაკლს სწორედ ამ პროცესის დასაწყისად ვთვლი. თეატრი მზად არის სიახლეებისათვის და ეს ნინ გადადგმული ნაბიჯია. იმედია, სპექტაკლი კიდევ უფრო დაიხვეწება და შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“ მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს ოზურგეთის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში.

ქეთევან კუკულავა



ბიჭიკო ასკურავა ჟურნალ ბუნიღ REGION -ის საქველმოქმედო აქციას გაეოხეაურა

სახალხო მკურნალ ბიჭიკო ასკურავაზე უკვე ლეგენდებს ჰყვებიან. საოჯახო მალამოთი გატეხილი ძვლების შეხორცება ისე მიმდინარეობს, რომ შედეგებული ლითონი გეგონებათ. მკურნალობის ტრადიციული მეთოდი 300 წელს ითვლის, ეს საქმიანობა მამამ შესწავლა. მოგვიანებით ისრაელში კლასიკური სამედიცინო განათლებაც მიიღო, მისი პაციენტები ერთხმად აღიარებენ მოტეხილობების მკურნალობის ასკურავასეული მეთოდის უპირატესობას.


საოჯახო ფირმა „ასკურავა“ განსაკუთრებული მეთოდით, ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ კურნავს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პერტესს, პოდაგრას და ძვლების სხვა დაავადებებს. ასკურავას გვარი მკურნალობის ძველთაძველი მეთოდის მფლობელია და მას დიდი ხანია იყენებს. საგვარეულო საიდუმლო დღემდე საიდუმლოდ რჩება და მისი ანალოგი მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება. ფირმის ხელმძღვანელი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, ხალხური მედიცინის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის საგამოფენო ცენტრის ლაურეატი, დიდი ბრიტანეთის ჰუმანიტარული სამედიცინო ორდენის კომანდირი, ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი – პროფესორი ბიჭიკო ასკურავა თვლის, რომ ყველაზე დიდი ჯილდო მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა იყო. ბაბუამ თავის სიცოცხლეში შეიღიშვილებს – დათოს და ლადოს საგვარეულო ტრადიცია გადაულოცა, თვითონ კონსულტანტად რჩება და მათ მუშაობას დააკვირდება.

– მკურნალობის მეთოდი გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა. ბევრჯერ შემომთავაზეს უცხო ქვეყანაში წასვლა, კლინიკებსაც მპირდებოდნენ, თუმცა ცნობილი გამონათქვამის არ იყოს – სჯობს შენს სოფელში პირველი იყო, ვიდრე სხვის ქალაქში ბოლო. სხვაგან ყოფნას, შენს ქალაქში ცხოვრება არ სჯობია?! თუ ვინმეს დახმარება სურს, მეძახიან, ან გამზადებულ საფენს ვუგზავნი. მისი ტრანსპორტირება სულაც არ არის რთული. საფენს გაყინულ მდგომარეობაში სადაც გსურს, იქ გააგზავნი. ინსტრუქციასაც თან ვატან. ასაკოვანებს ხშირად ძვალ-სახსრები უცვთებთ, ეს არის ოსტეოქონდროზი და ოსტეოპოროზი. ბიჭიკო ასკურავა თავისი მალამოთი მკურნალობის დროს ძვლების აღდგენის საუკეთესო შედეგს აღწევს.

ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატებით დამზადებული ნარევის შემადგენლობა და თვისებები, ასევე წამლის სტრუქტურა და დამზადების ტექნიკა არ შეცვლილა. დაიხვეწა გადახვევის პროცედურა: ადრე ხის ფირფიტებს – ყავარს იყენებდნენ, ჩვენსავე დაპატენტებულ ალუმინის მსუბუქ ფირფიტაზე გადავედით.

ეს მალამო მხოლოდ მოტეხილობების, ამოვარდნილობების, ტრავმებისა და ძვლის სხვა პრობლემების სამკურნალოდ გამოიყენება. ძვლის დაავადება ანთებითი პროცესიდან, ან სისხლიდან შეჭრილი რაიმე სახის ინფექციიდან იწყება. ადამიანი ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს, რომ მსგავსი პროცესები არ განვითარდეს.

რედაქციისგან: ჟურნალ გურია REGION-მა თებერვლის თვეში საქველმოქმედო ღონისძიება ჩაატარა. გურული ბიზნესმენების შემოწირულობით სოფელ სურებში მცხოვრებ 74 წლის ბადრი შათირიშვილს ფულადი დახმარება 1000 ლარი გადაეცა. მან ფეხის ძლიერი ტრავმა, ბარძაყის ყელის



ბიჭიკო ასკურავა

მოტეხილობა, ხიდან ჩამოვარდნის შემდეგ მიიღო. ლუღუშაურის სახელობის კლინიკაში ოპერაცია ჩაუტარდა, შემდეგ ხელმეორედ სხვამ გაუკეთა. მიუხედავად ამისა პრობლემა მეორე ფეხზეც შეექმნა. მკურნალი ბიჭიკო ასკურავა რედაქციის საქველმოქმედო აქციას გამოეხმაურა და ბადრი შათირიშვილის თავისი მალამოთი მკურნალობა გადაწყვიტა.

– რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ტრავმების გამო მკურნალობენ?

– საუკეთესო წამალია ნორმალური კვება, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი. მოტეხილობების, ამოვარდნილობების და სხვა ტრავმების მკურნალობის დროს დაუშვებელია სქესობრივი კავშირი (შესაძლოა ძვლების აცილება მოხდეს), ალკოჰოლური სასმელების, თევზეულისა და ხიზილალას მიღება (ფოსფორის შემცველობის გამო, შეხორცებას აფერხებს), ჩაის სმა. მიზანშეწონილია ხაში, ბულიონის, ხილის, ასევე კალციუმ ქლორიდის მიღება.

– ბატონო ბიჭიკო, თქვენს მიერ განკურნებული პაციენტების ნუსხას ადგენთ?


– თავიდან ვითვლიდი, მერე სათვალავი ამერია. როგორც ამბობენ, 150 ათასზე მეტი პაციენტი მყავს მორჩენილი.

მკურნალობის ასკურავასეული მეთოდი შედეგების მიხედვით სასწაულად აღიქმება. მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ვინც ასკურავებს მიმართავს, ამ სასწაულის ძალას საკუთარ თავზე გამოცდის.

ბიჭიკო ასკურავას უამრავი ცნობილი ადამიანი განუკურნავს. როგორ ახერხებდნენ ისინი მკურნალობის კომპენსირებას? გურული კაცი ყოველთვის უჩვეულობებით გამოირჩევა, ამ მხრივ არც ბატონი ბიჭიკო არის გამონაკლისი.

რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ და სცენარისტმა რეზო გაბრიაძემ გადაიღეს ფილმი „შერეკილები“, სადაც მთავარ გმირს მამის სამი სიმღერის ვალიდან, მევაღემ ერთი-ორი აპატია, მარტო „ჩიტო-გვრიტოს“ შესრულება მოთხოვა.

ბიჭიკო ასკურავა მომღერლებს, რომლებსაც მკურნა-



ბადრი შათირიშვილი

ლობდა, საფასურად ზოგს სამუშაო კაბინეტში, ზოგს კი ღვინის მარანში ამღერებდა. ასე მოიქცნენ მამუკა ონაშვილი, თემურ ნიკალური, ლოტბარმა რამინ მიქაბერიძემ მადლობა შვილებთან ერთად შესრულებული სიმღერით გადაუხადა. ნოდარ ანდლულაძემ მსოფლიოში აღიარებული მომღერალი ლადო ათანელი ბიჭიკო ასკურავას საღამოზე ამღერა. ელენე ობრაზცოვამ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში შესრულებული სიმღერით გადაუხადა საფასური, კონცერტს მკურნალი არ ესწრებოდა, თუმცა მსმენელებმა შეიტყვეს, რომ ეს სიმღერა ბიჭიკო ასკურავას მიეძღვნა. სულიკო კოროშინაძემ ჯერ სახლში უმღერა, შემდეგ „პესკზე“ ერთ-ერთ რესტორანში, სადაც ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე იყო, ერთი განყოფილება შეასრულა. ეთერ ქელიძემ თავისი ფირფიტა აჩუქა, სადაც ვკითხულობთ – „ღრმა პატივისცემით ჩვენი ერის მოამბგეს და მკურნალს ბიჭიკო ასკურავას“. მომღერლების გარდა, მას მოცეკვავეებიც ჰყავს მორჩენილი – ფრიდონ სულაბერიძემ ასე დალოცა – „ჩემო ბიჭიკო, რამდენჯერაც ცეკვა

„ქართულში“ ფეხი მაქვს გასმული, იმდენჯერ იცოცხლეო“. ასევე მორჩენილი ჰყავს პრიმა ბალერინები ირმა ნიორაძე და ბაუერი. იამზე დოლაბერიძე, ლატავრა ფორიანი და დინარა ჟორჯოლიანი. რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის მეუღლე, წერეთლის ქალი. მსახიობი დოდო ჭიჭინაძე სამჯერ განკურნა, ორჯერ ბარძაყის ყელი ჰქონდა მოტყეხილი და მასთან სახლში დადიოდა, მესამედ ხელი მოიტყეხა, მსახიობი ბატონ ბიჭიკოს კაბინეტში სტუმრობდა. მსახიობმა მას საინტერესო ისტორია უამბო. როცა ფილმი „ბაში-აჩუკი“ გამოვიდა, დოდო ჭიჭინაძე წარმატების ზენიტში იყო. რუსთავის კოლონიიდან ახალგაზრდა გურული ბიჭის წერილი მიიღო, პატიმარმა თავისი თავგადასავალი მოუყვა. უმამოდ იზრდებოდა, ერთ დღეს მეზობელმა მისი დედა გააუპატიურა. მეათე კლასის მოსწავლემ მეზობლიდან სანადირო თოფი ითხოვა და მოკლა, ის დაიჭირეს. ეღუარდ შევარდნაძე იმ დროს შსს-ს მინისტრი იყო, ამ ამბის მოყოლა ვერავინ გაუბედა, დოდო გაკადნიერდა და მას წერილი მიუტანა. ეღუარდმა წერილი წაიკითხა, ქალბატონმა დოდომ ჰკითხა – ასეთ დროს თქვენ რას მოიმოქმედებდითო? ეღუარდმა უპასუხა – მეც ასე მოვიქცეოდიო. სულ მალე მან პატიმარი შეინყაალა და ციხე დატოვა, შემდეგ ის საკმაოდ წარმატებული პიროვნება გახდა, ჩვენ შეგნებულად მის სახელსა და გვარს არ გავახმოვანებთ.

სამი საუკუნე სრულდება, რაც ასკურავების გვარი ამ საიდუმლოს ინახავს, თავად პრეპარატი, უფრო სწორად. მკურნალობის მეთოდი მეოთხე საუკუნიდან არის ცნობილი. საგვარეულო ტრადიციას შვილთაშვილი 4 წლის ირაკლი ასკურავა გააგრძელებს. იმედია, გვარის შთამომავლობას კიდევ არაერთი მკურნალი შეემატება.

ლელა სურმავა

მისამართი: ქალაქი თბილისი ივერიის ქ. 5
ტელ: 298 86 84; 99 96 94; 577 41 19 11
ელ.ფოსტა: Daskurava@hotmail.com; Maskurava@yahoo.com

აღიღვინე მხედველობა ალოეს დახმარებით ხალხური საშუალება ცნობილი ოფთალმოლოგისგან



ექიმების თქმით, მხედველობის გაუარესების მიზეზი არა მხოლოდ ასაკი შეიძლება გახდეს, არამედ სიგარეტის მოწევა, არასწორი კვება და ცუდი ეკოლოგიური პირობები. ზოგიერთ შემთხვევაში მხედველობის აღდგენა შეიძლება ქირურგიული ჩარევის გარეშე. აკადემიკოსი ფილატოვი თავის პაციენტებს ურჩევდა სპეციალური ნაყენის მიღებას, რომელიც ორგანიზმს მხედველობის აღდგენაში ეხმარება.

რეცეპტი:

კარგად აურიეთ 100 მლ ალოეს წვენი, 500 გრ გახეხილი ნიგოზი, 300 გრ თაფლი და 3 ლიმონის წვენი. მიიღეთ 1 დესერტის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე

და 30 წუთით ადრე.

როგორ მოვაგზავლოთ ალოე რეცეპტისთვის:

მკურნალობისთვის უკეთ გამოდგება იმ ალოეს ფოთლები, რომელსაც 3 წელი შეუსულდა. მოჭერი მსხვილი ფოთლები, გარეცხე თბილ გადადუღებულ წყალში, მოაცილე კბილანები. შეინახე ფოთლები მაცივარში 8-1 დღით. ამის შემდეგ გამოწურე წვენი წვენსაწურის დახმარებით; შეგიძლია დახეხო სახეხზე და შემდეგ განურო.

ნაყენის მიღება 1 კვირაზე მეტ ხანს არ შეიძლება.

უპრევენციუზი ალოეს წვენი მიღებისას: არ შეიძლება მიღება თირკმლებისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს, ორსულობის დროს, გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების დროს, ჰემოროის დროს. თუ უკუჩვენებები არ გაქვთ და არც ალერგია, შეგიძიათ თამამად დაიწყო მკურნალობა.

ბუნების ოთხ ძირითად ელემენტში ადამიანის მოიაზრება

ჟურნალ გურია REGION წინა ნომერებში თორნიკე ალაშვილთან ჩვენ ვისაუბრეთ ძველ ქართულ სამკურნალო სისტემებზე, ოთხი ადამიანის ტიპზე, მათ დამახასიათებელ თვისებებზე. ხალხურ მედიცინაში მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრების წესი, როგორ და როდის იკვებება ის, რამდენ წყალს ღებულობს. ძველქართული მედიცინა დიდ როლს ანიჭებს სწორ კვებასა და სამკურნალო დიეტას, კლინიკა „ოჯახის მკურნალი“-ს ექიმი თამთა ქანტურია უფრო დეტალურად მოგვითხრობს. როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, ძველი ქართული მედიცინის მიხედვით გამოყოფილია ოთხი ძირითადი ელემენტი ბუნებისა, რომელშიც ადამიანიც მოიაზრება:

„შექმნა ღმერთმა მოწყალემან კაცი ოთხთა ბუნებათაგან: ქარისაგან, ცეცხლისაგან, მიწისაგან და წყლისაგან. ესე ერთმანერთსა არ გარივნა, ცალკე-ცალკე არიან სიმზურვალთა, სიხმელითა, სიგრილითა და სინოტიითა.“

როგორც ქართული კარაბადინი გვაუწყებს, ოთხი ელემენტის სისტემა უნივერსალური ცნებაა და ესეა არა მარტო ადამიანის აღნაგობას, არამედ ყველაფერს, რაც ბუნებაში გვაქვს – სტიქიას, ფერებს, გემოს, წელიწადის დროს და მათ შორის საკვებ პროდუქტებსაც. ანუ დიეტაც შეიძლება იყოს „მზურვალე“, „ნოტიო“, „ხმელი“ და „გრილი“. ამავე დროს შესაძლებელია, რომ საკვები პროდუქტები ატარებდნენ ერთდროულად ნოტიო და მზურვალე, ან ნოტიო და გრილ თვისებებს, ან პირიქით – იყოს ხმელი და მზურვალე, ან ხმელი და გრილი. შევეცადოთ განვსაზღვროთ თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით, თუ რას ნიშნავს ეს ცნებები. ნოტიო საკვები იქნება ისეთი პროდუქტი, რომელშიც არის დიდი რაოდენობით წვენი, სითხე – ეს შეიძლება იყოს რძე ან წვნიანი ხილი, ბოსტნეული. მაგალითად – საზამთრო, ატამი, ნესვი, კიტრი, პომიდორი.

ხმელი საკვები იქნება ისეთი საკვები, რომელიც გამომშრალია და სადაც „წვენი“ (შემადგენელი სითხე) მინიმალურია – მაგალითად ბურღულეული, ჩირი, მარილი ანუ ეს ისეთი საკვებია, რომელიც ზრდის სიხმელეს ორგანიზმში და იწვევს მის კიდევ უფრო გამოშრობას. ყველაზე თვალსაჩინო ხმელი პროდუქტია მარილი, რომელიც გამოიტანს ხოლმე სითხეს ყველაფრისგან, რასაც ის ეხება. მის ამ თვისებაზეა დაფუძნებული მაგალითად ხორცის მარილით დამუშავება, ანუ დამაშხვა.

შემდეგი ცნებაა – „მზურვალე“. ანუ მზურვალე იქნება ის საკვები პროდუქტი, რომელიც იწვევს ორგანიზმში „შეხურებას“ და გამოირჩევა მაღალი კალორიულობით – მისი კლასიკური მაგალითია ღვინო, არაყი ან წინაკა. მათი მიღების შემდეგ ადამიანი ორგანიზმში შეიგრძნობს სიმზურვალეს.



თამთა ქანტურია

და ბოლოს გრილი პროდუქტი იწვევს ორგანიზმის გაგრილებას – მაგალითად ნაყინი ან თავად წყალი, რომლის მიღების შემდეგ სიცხეში მცირდება ორგანიზმის გადახურება.

ამავე დროს, შესაბამისად ერთდროულად მზურვალე და ნოტიო იქნება ის საკვები პროდუქტები, რომლებიც ერთდროულად მატებს სინოტივეს ორგანიზმში და ამავე დროს ახურებს კიდევ სხეულს,

მზურვალე და ხმელი იქნება ის საკვები პროდუქტი, რომელიც მატებს სიმზურვალეს და ამავე დროს აშრობს სხეულს და ასე შემდეგ.

– როგორ ხდება ამ საკვები პროდუქტების გამოყენება სამკურნალო საქმეში ადამიანის კონსტიტუციის გათვალისწინებით?

წინა ნომერში ჩვენ ვისაუბრეთ ოთხ ძირითად კონსტიტუციურ ტიპზე.



ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი

პირველი ტიპს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნი – კარაბადინის მიხედვით ეწოდება თელგმა:

„და შექმნა ღმერთმან მოწყალემან წყლისაგან თელგმა, რომელ არს ბალღამი, და არს გრილი და ნოტიო; და არს გემო მისი მლაშე და ფერი მისი თეთრი.“ როგორც უკვე განვიხილეთ, „თელგმის ტიპი“ ლიმფის და წყლის სიჭარბით გამოწვეული სიმპტომოკომპლექსია: მისი თვისებებია სინოტივე და სიგრილე. ანუ თანამედროვე მედიცინის ენაზე ეს ადამიანი არის ჰიპერსტენიული აღნაგობის (ჭარბი წონით) და ამავე დროს მცივანა ბუნების. მისთვის დამახასიათებელია პასიურობა, უმოძრაობა. მისი დარღვევები

გამონვეულია მიკროელემენტების (კალციუმის, სილიციუმის და სხვა.) ნაკლებობით და ფიზიოლოგიურად ეს არის ორგანიზმის ჰიპორეაქცია, ანუ შენელებული სასიცოცხლო პროცესები, დაბალი ტონუსისკენ მიდრეკილება, ხოლო ბუნებით ესაა ფლევმატიკი, პასიური ემოციური რეაქციებით და შინაგანი შებოჭილობით, შიშებით. მათ ხშირად აქვთ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობა, შეკრულობა, კანის სიმშრალე, ნახეთქები და სხვა.

რაც შეეხება ამ ტიპის ადამიანის დიეტას, ის უნდა მოერიდოს იმ საკვებ პროდუქტებს, რომლებიც არის ბუნებით ნოტიო და გრილი, ვინაიდან ასეთი პროდუქტები სწორედაც რომ ზრდიან ორგანიზმში თელგმას – ანუ სინოტივს და კიდევ უფრო აგრილებენ მას. ანუ თელგმის ტიპის ადამიანი ნაკლებად უნდა ღებულობდეს რძეს, მანონს, კიტრს, კომბოსტოს, მჟავებს ან მჟავე ხილს, ტყემალს...

მეორე ტიპს ძველქართული სამკურნალო წიგნების მიხედვით ეწოდება „სისხლი“: „შექმნა მონყალემან ღმერთმან ქარისაგან სისხლი, და არს იგი მხურვალე და ნოტიო; გემო მისი – ტკბილი, და ფერი – წითელი“.

ეს არის „სისხლის სიჭარბით“ გამონვეული ტიპი იგივე სანგვინიკი. მათ ახასიათებთ მაღალი წნევა, სახის სინითლე, აქტიურობა, ბუნებით მხიარულნი არიან, მაგრამ იციან უცებ გაღიზიანებაც და გაბრაზებაც. მათ ორგანიზმში ჭარბობს „ჰიპერრეაქცია“, ჰიპერტროფია.

მათი ორგანიზმის თვისებებია „სინოტივე და სიმხურვალე“. აღნაგობით ის არ არის ჰიპერსტენიული, მაგრამ ავადმყოფობის დროს იმატებს წონაში. განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ნესტის ანუ „სინოტივის“ მიმართ – მაგალითად ცუდად გრძნობენ თავს წვიმიან ამინდში. მათ მიდრეკილება აქვთ ჰიპერტონიული დაავადებისკენ, ორგანიზმში სიჭარბისკენ – მაგალითად შაქრის დონის ანევა (შაქრიანი დიაბეტი), კლიმაქტერული მოვლენები და სიმხურვალის შეგრძნება, ალერგია და ასე შემდეგ.

– როგორი იქნება ასეთი ადამიანების დიეტა?

– რა თქმა უნდა, ისინი უნდა მოერიდონ სწორედ ისეთ პროდუქტებს, რომელიც ზრდის სიმხურვალეს და სინოტივეს ორგანიზმში. მხურვალე და ნოტიო საკვები პროდუქტები კი არის ცხოველური ცხიმები, შაქარი, ტკბილი ხილი და ზოგადად ტკბილეულობა. ანუ ეს ისეთი პროდუქტებია, რომლებიც გამოირჩევიან გლუკოზის მაღალი შემცველობით და მაღალი კალორიულობით, საუბარია ნახშირწყლებით მდიდარ საკვებ პროდუქტებზე.

მესამე ტიპი – ეს არის „ზაფრა“ იგივე ქოლერიკი, ყვითელი ნალველის ტიპი: „დაჰბადა ღმერთმან მონყალემან ცეცხლისაგან კუერცხის გული, ნალველი, რომელ არს ზაფრა, და არს იგი მხურვალე და ხმელი; და არს გემო მისი მწარე და ფერი მისი კუერცხის გულივითა ყვითელი“.

„ზაფრას ტიპის“ თვისებებია სიმხურვალე და სიმშრალე. ბუნებით ეს ადამიანი ყველაზე აგრესიული და დეპრესიულია, ფიზიოლოგიის დონეზე დამახასიათებელია დისტროფიული ცვლილებები, ხოლო ორგანულ დონეზე ზაფრას დროს ვხვდებით ფარისებური ჯირკვლის ზედმეტ აქტიურობას (თირეოტოქსიკოზი), ხშირად აქვთ ნეულულოვანი დაავადებები, დისტროფიული ცვლილებები სხვადასხვა ორგანოებში. აღნაგობით არ არიან გამხდარნი, თუმცა თავიანთი დაავადებების გამო წონას კარ-

გავენ. უყვართ ლიდერობა, აქტიური საქმიანობა. თუ შეხვდით წინააღმდეგობა, რომელსაც ვერ უტოლდებიან, ავლენენ საშინელ აგრესიას, ან ვარდებიან დეპრესიაში.


რაც შეეხება მათ დიეტას, ისინი უნდა მოერიდონ საკვებს, რომელიც ზრდის ზაფრას ორგანიზმში ესე იგი ახურებს და აშრობს სხეულს. ასეთი შეიძლება იყოს ცხარე საკვები, ნიორი, ალკოჰოლი, ცხოველური ცხიმი.

და ბოლოს რაც შეეხება მეოთხე ელემენტს – „შავ ნალველს“, „სევდას“: „რომელ არს სევდა, და არს იგი ხმელი და გრილი; და არს გემო მისი მჟავე და ფერი მისი მწუანე.“ ანუ მეოთხე ტიპის თვისებებია სიმშრალე და სიგრილე. აღნაგობით ასტენიურნი, გამხდარნი არიან. შავი ნალველის ქვეშ სხვადასხვა ავტორები გულისხმობენ ვენოზურ სისხლს, ჩამუქებულ, ანუ შავ ლიმფას, გამწვანებულ ნალველს. ამ ტიპს მრავალი დაავადების მიმართ აქვს მიდრეკილება. მაგალითად ტუბერკულოზი, ქრონიკული რინიტი და ბრონქიტები, ბუნებით ახასიათებთ მეღანქოლია და აპათია. მათ სამკურნალოდ, ხშირად, ისეთი დიეტა სჭირდებათ, როგორც სხვა ტიპებისთვის არ არის რეკომენდირებული – ცხელი ცხიმიანი ბულიონები, ცხოველური ცხიმები. არ უხდებათ ჩირი, ლობიო, კომბოსტო, რომელიც აგრილებს, ან აშრობს ორგანიზმს.

ორიოდე სიტყვით შიმშილით მკურნალობაზე: შიმშილი ყველა ტიპისთვის არ შეიძლება. მესამე ტიპისთვის, სადაც ცეცხლის ელემენტი ჭარბობს, ფაქტობრივად, დამანგრეველია. მეორესთვის მხოლოდ სამი დღით შიმშილია რეკომენდირებული. ერთი თვე შიმშილობა პირველი ტიპისთვის არის სასარგებლო. მეოთხემ ცხელი, კალორიული საკვები უნდა მიიღოს და საერთოდ არ უნდა იშიმშილოს, ცხელი კალორიული საკვები უნდა მიიღოს თავისი წონასწორობის დარღვევის გასასწორებლად.

როგორც ვხედავთ, ძველი სამკურნალო სისტემები ითვალისწინებდნენ სხეულის თავისებურებას და ინდივიდუალურად უნიშნავდნენ ავადმყოფს შესაბამის სამკურნალო დიეტას. ასეთი ინდივიდუალური მიდგომა დღესაც საინტერესო უნდა იყოს, ვინაიდან დაფუძნებულია საკვები პროდუქტის ამა თუ იმ სამკურნალო თვისებაზე. ეს საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს. ვფიქრობთ, პერსპექტიული იქნება თანამედროვე სამკურნალო საქმიანობის დროს.

ⓓ ნატალია შარაშიძე



პარანაზალური პრეპარატებით მიღებული დაავადებით უმჯობესი

ფილოსოფოსები ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი პირობითია, პირობითია ჩვენი ყოფნა-არყოფნა, პირობითია ისეთი დაუჯერებელი ნაგებობების არსებობაც, როგორც არის ეგვიპტური პირამიდები, ჩინეთის დიდი კედელი და სხვა საოცრებები, ასევე პირობითია ადამიანის შესაძლებლობები, თუნდაც ღვთის კარნახითა და დიდოსტატების ხელით შექმნილი უკვდავი ქმნილებებიც კი, რაც მთავარია, პირობითია ღვთის წყალობის მოლოდინიც. გენიალური ფრანგი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ბლუზ პასკალიც ამტკიცებს, რომ სამყარო მონესრიგებულად არ არსებობს.

მისწრებულად ამბობენ – ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც შენ უნდა ჩამოუშვა ხელები და დღემუდამ ციური მანანას მოლოდინში არ უნდა იდგე ზეცისაკენ სახეაპყრობილიო.

ძალზე რთული, თითქოს ლაბირინთითაა ღმერთთან მისასვლელი გზა, როგორც გეოგრაფიულად, ასევე სულიერად, ღმერთს არ უნდა შესცოდო, მაგრამ თუ ღმერთი შემოგნყრა და ცოდვის ჩადენა მაინც ვერ აირიდე თავიდან, მაშინ ლოცვით, აღსარებითა და ღვთისადმი მორჩილების შთაგონებით უნდა მოინანიო იგი.

განა არსებობს ღმერთზე დიდი ჭეშმარიტება?

ბიჭიკო გაგნიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი თვალთ დასახული საქართველო პატარა ნავია, რომელიც კეთილმა ადამიანებმა ბობოქარი ზღვიდან უვნებლად გამოიყვანეს და მდინარე ალაზანზე გადაკიდებულ ქენწაზე მიაბეს, ახლა კი, ვილაც ბოროტი ადამიანები ამ ტოტს ჭრიან, მას ისევ აბობოქრებულ ზღვაში შესაგდებად განიარავენ.

მე სოფელში დაბადებული კაცი ვარ, და კარგად ვიცი მეზობლის ფასი – ამბობს ბიჭიკო, – ნუ მინყენენ ქალაქელები, თუ ვიტყვი, რომ ისინი ხშირად არ იცნობენ თავიანთ მეზობლებს. და თუ იცნობენ, მთელი ეს ნაცნობობა, უსაქმობის გასაქარვებლად, ნარდის, დომინოს, ან ბანქოს თამაშით, უკეთეს შემთხვევაში კი საერთო პურ-მარილით შემოიფარგლება. საქართველოს სოფლისათვის კი მეზობლობა ნიშნავდა შრომასა და ბრძოლაში თანადგომას, მეზობლისათვის ხშირად თავის განირვასაც კი...

საზოგადოების პროგრესული ნაწილი ყოველთვის მიიჩნევდა და დღესაც მიიჩნევს, რომ ქართველმა კაცმა ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ისწავლოს საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარული და თავისი გრძნობების რეალიზაცია უნდა მოახდინოს სიტყვითა და საქმით, ან თუნდაც ყველაზე ლამაზი სადღეგრძელოთი – არ გაანადგუროს ეროვნული სიმდიდრე, დაიცვას კანონი არა შიშის გამო, არამედ შინაგან კულტურაზე დაფუძნებით, არ დაანაგვიანოს მშობლიური გარემო და სხვა. ქვეყნის სიყვარულის დეფიციტი ისეთი მძიმე დაავადებაა, რომელსაც ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატიც კი ვერ მოარჩენს. ეს დაავადება ყოველმა ქართველმა თავად უნდა დაამარცხოს საკუთარ თავში. ჩვენ კი გვგონია, რომ მსოფლიოში ყველაზე კარგები ვართ, მაგრამ როგორც ჩანს, არც მთლად ასეა საქმე.

ამ კონცეფციის გასამყარებლად ბიჭიკოს ერთი მაგალითი მოჰყავს: ძველ დროში თავადს ორი შვილი ჰყოლია. ორივე კარგად სწავლობდა, მაგრამ ერთ მათგანს თავადი ჯიუტად უმეორებდა, რომ შენგან კაცი არ დადგებაო. ეს დაუნებელი შვილი მეტად მონდომებული იყო და მო-



ბლის დავალებებს უსიტყვოდ ასრულებდა, მაგრამ მამის კრიტიკისაგან თავს მაინც ვერ იხსნიდა.

გავიდა დრო. ეს შვილი ცხოვრებაში ძლიერ დანინაურდა. დიდი ვეზირი გახდა, მეფის მარჯვენა ხელი და ყველა სახელმწიფო საკითხის გადაწყვეტა მის ხელში იყო. ერთ მშვენიერ დღეს მამა გაახსენდა და მხლებლებს უბრძანა, – აქ მომგვარეთო. დაუძახეს მამამისს და მიჰგვარეს რეზიდენციაში.

– გამარჯობა მამა, როგორ ხარ? – უთხრა მან.

– როგორ ვიქნები შვილო, დავაბუნდი, თვალში სინათლე დამაკლდა, მუხლებში – ძალაო.

– გახსოვს, ყოველთვის მეუბნებოდი, შენგან კაცი არ დადგებაო?

– მე შენთვის როდი მითქვამს, ვეზირი ვერ გახდები-თქო, შენ ყოველთვის გეუბნებოდი, შენგან კაცი არ დადგება-მეთქი, ახლა თავად განსაჯე, შენმა ხელქვეითებმა 50 ვერსიდან ეტლით მომაქროლეს შენთან, და შენ, ღვიძლ შვილს, აქამდე ჩემთვის სავარძელი არ შემოგიტავაზებია.

ქართველი კაციც ასეა – შეიძლება სახელად დაირქვა „ევროპელი“, მაგრამ ჯერ ნამდვილი ქართველი უნდა იყო, შენი წინაპრების, შთამომავლობის ღირსი უნდა გახდე, შენი მინაწყლის პატრონად უნდა იქცე, თორემ ერთეულების მარტო ვეზირობა და უზრუნველი ცხოვრება ერს დიდად არ ნაადგება. მერე გინდა „ევროპელი“, გინდა „ამერიკელი“ იყავი, მაინც ერთი ღარიბი და უმინაწყო კაცი გახდები, შენს მინაწყალს კი სხვები დაეპატრონებიან.

გამარჯვება საკუთარ თავში უნდა ირწმუნო...

საქართველოს მინაზე უსსოვარი დროიდან გადიოდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ერთმანეთთან დამაკავშირებე-

სახალხო მკურნალ

დომენტი გაგნიძის

აფთიაქი

ტელ: 227 35 50
227 35 61

აფთიაქი მუშაობს ყოველდღე – 10 სთ-დან 18-დღე.
(შესაძლებელია წინასწარ ჩაწერა)

თბილისი, ანუკრის ქ. №70 (იხნის მებრუნ უკან)

ლი ცნობილი „აბრეშუმის გზა“. ცხადია, რომ ოდითგანვე საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ინდოეთთან, ტიბეტთან, ჩინეთთან, შუამდინარეთთან, ეგვიპტესთან, ევროპისა და აღმსავლეთის იმ ქვეყნებთან, სადაც უხსოვარი დროიდან იყო განვითარებული ტრადიციული მედიცინა. ქართველ სახალხო მკურნალებს საშუალება ჰქონდათ დაწვრილებით გაცნობოდნენ მრავალი ქვეყნისა და მიმდინარეობის პროგრესულ მიღწევებს სახალხო მედიცინაში, შეედარებინათ ისინი ერთმანეთისათვის, მრავალგზის შეეჯერებინათ ადგილობრივ საბაზისო (ძველ კოლხურ-იბერიულ) მედიცინასთან. ასე იქმნებოდა საქართველოში ფუნდამენტური სამედიცინო ტრაქტატები: „უსწორო კარაბადინი“, „იადიგარდაუდი“, „ნიგინი სააქიმო“, კარაბადინის აჭარული ვერსია და სხვა.

საქართველოში ხალხური მედიცინის ფესვები ჯერ კიდევ გამყინვარების შორეულ ეპოქაში იბადება, რომლის შემდეგ, გამყინვარებას გადარჩენილ ადგილებში შეიქმნა ეგრეთ წოდებული „ტორსიული ველები“, სადაც იზრდებოდა განსაკუთრებული სამკურნალო თვისებების მქონე ბალახეული. სწორედ ამ მცენარეულობებს იცნობდნენ ჩვენი ძველი წინაპრები – კოლხები და წარმატებით იყენებდნენ მათ სამკურნალოდ. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ სამკურნალო ხელოვნება მუდმივად ვითარდებოდა. შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში მკურნალები უამრავ დაავადებებს არჩენდნენ.

დომენტი გაგნიძე წლების მანძილზე იმედგადაწურულ დასწრეულ პაციენტებს შვებას გვრის. „დომენტოლი“ და „გაგენოლი“ არის პარასამკურნალო პრეპარატები, არ აქვს გვერდითი მოვლენები, უსაფრთხოა და მისი გამოყენება სასარგებლოა სამედიცინო პრაქტიკაში. პრეპარატები არჩენს მკერდის, ფილტვის, კუჭ-ნაწლავის და საერთოდ სიმსივნურ დაავადებებს, ნაწლავების გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, ბუასილს, პროსტატას, წელის ტკივილს, ნერვის ანთებას, რადიკულიტს, ნევროზს. ძალიან კარგ შედეგს იძლევა ფსიქიურად დაავადებულთათვის, პარკინსონის დაავადებებზე, შველის გულს, ნეფრიტს – სპობს აზოტს, წითელ ქარს, ჭინჭრის ციებ-ცხელებას, გაფანტულ სკლეროზს, ცერებრალურ დამბლას, ოსტეოქონდროზს, თავის ტკივილს, ყურებიდან ჩირქდენას, სისხლის გათეთრებას, სისხლის მონამვლას, ტუპერკულოზს, ბოტულიზმს, ღვიძლის ცეროზს I-II სტადიაში, C ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის, კანის ფსორიაზს, ქლამიდიას, ნეულლოვან დაავადებებს. აძლიერებს იმუნიტეტს, კარგი შედეგი აქვს შიდსზე და ეპილეფსიაზე მკურნალობის დროს, დიდი ალბათობა არის განგრენაზე. მკურნალობა ოჯახის პირობებში მიმდინარეობს და პაციენტს საშუალებას აძლევს აირიდოს საავადმყოფოს ხარჯები.

დაავადებული ვიყავი ჰიპერტონიით, მივიღე თქვენი წამლები (დომენტოლი და გაგენოლი), რის შემდეგ წნევა მომიწესრიგდა, თავს კარგად ვგრძნობ.

გიორგი გოგებაშვილი

მქონდა გაფანტული სკლეროზი, მიჭირდა მეტყველება, თავბრუსხვევა, ამ პრეპარატებმა სრულად განმკურნა, კარგად ვმეტყველებ, ყველგან დამოუკიდებლად დავდივარ, აღარ მაქვს შიშები.

შორენა გოგოლი

სარძევე ჯირკვლის ოპერაცია გავიკეთე, მესამე სტადია

დამიდგინეს. ქიმიო-თერაპიის შემდეგ დამენყო უძილობა, ნერვული სტრესი, წნევები დამენია, სახსრების ტკივილი, ამ პრეპარატებით მკურნალობის შემდეგ ყველა ტკივილი გაქრა. გამოკვლევებით დადგინდა, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ.

ნანი ჯაფარიძე

სიმსივნის და დიაბეტის დიაგნოზით მოვედი, ორივე დაავადებით განვიკურნე. დიდი იმედი მომეცა.

ნუგზარ ხუტუნაშვილი

გერმანელმა ექიმმა პროსტატის ოპერაცია გამიკეთა, უკეთესობა ვიგრძენი, მიუხედავად ამისა ამ პრეპარატებით დავინყე მკურნალობა. ახლა სრულიად განკურნებულად ვგრძნობ თავს.

იგორ ჩიხლაძე

დიაბეტით დაავადებული ვიყავი, კვირაში სამჯერ მიტარებდნენ გადასხმას, ახლა მხოლოდ ერთხელ მჭირდება. მკურნალმა მითხრა, მალე ის ერთი გადასხმაც არ იქნება საჭიროო...

ვლადიმერ მანშიაშვილი

ნევროზისგან განიკურნენ ეთერ ნარმანიძე, გივი კარიაული, აბესალომ ჩაჩუა, ლამარა გველუკაშვილი, დავით რუხაძე.

კოლიტისგან განიკურნენ თევდორე ხინთიბიძე, რუსუდან ბაჩაშვილი, ლია ლაგაზიძე,

მკურნალთან ქალბატონი მივიდა, რომელიც წელში ვერ იხრებოდა, მოძრაობა უჭირდა, კანი ქვასავით ჰქონდა. ექიმები ვერ მიხვდნენ, თუ რა დაავადებასთან ჰქონდათ საქმე. მეორედ რომ მივიდა, დემონსტრაციულად დაიხარა, თქვა, – ყველაფერი წესრიგში მაქვსო.

დღეში სამჯერ მემართებოდა ეპილეფსიური შეტევა. ორი კურსის მკურნალობის შემდეგ შეტევა შემიწყდა.

არსენ ხუბუნია

ასევე განიკურნენ ნატა მაგულაშვილი, გრიგოლ ტოგოვევი, ლამარა ჭილაძე.

ბევრი გულისტკივილი მივიღე, მე ადამიანების ჯანმრთელობაზე ვფიქრობ, მაგრამ დაუდევრად მექცევიან, ძალიან განვიცდი, როცა მატერიალურად შეჭირვებულ ხალხს მკურნალობის საშუალება არ აქვს. პარასამკურნალო პრეპარატები „დომენტოლი“ და „გაგენოლი“ ისევ რთულ გზას გადიან.

– რა რჩევა აქვს ასაკოვან მკურნალს?

– ენერგიულად, თავაულებლად უნდა ვიღვანოთ, ყველა ქვეყნის სამსახურში უნდა ჩავდგეთ, დავეხმაროთ გაჭირვებულ ადამიანებს, ჩვენი შრომით, გონებით, ინტელექტით, სულიერებით, კაცობით, გვარიშვილობით...

ექიმი, ანი „ჰაქიმი“ არაბული სიტყვაა, რომელიც სრულად ვერ ასახავს მედიცინასთან ნაზიარები ადამიანის დანიშნულებას. ქართველებს კი გვაქვს სიტყვა „მკურნალი“. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ხალხური მედიცინა უტყუარი იყო და იგი უიმედო სწეულებსაც კურნავდა. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. დომენტი გაგნიძე პარასამკურნალო პრეპარატებით განკურნებულ კიდევ ბევრ პაციენტს გაგვაცნობს.

© როლანდ ჯალალანია

ტყის მიწოდრსასაჲი ზოლებისა და აარკების თაფლოჲანი მსენარეჲი

საკვები ბაზის თვალსაზრისით ტყე შეიძლება იყოს: წინვოვანი, ფოთლოვანი და შერეული.

ფუტკრისათვის თითქმის გამოუყენებელია წინვოვანი ტყე, ვინაიდან მისგან, ისიც იშვიათად, მხოლოდ მანანა-თაფლსა და უვარგის ყვავილის მტვერს თუ იღებენ ფუტკრები. წინვოვანი მცენარეების ყვავილის მტვერი 16% ცილასა და ფუტკრისათვის მოუხელბელ 20% ნივთიერებას შეიცავს. ამიტომ წინვოვან მცენარეებს ფუტკრები გაჭირვების დროს თუ მიმართავენ. საკვები ბაზის თვალსაზრისით კარგია შერეული, ხოლო საუკეთესოა ფოთლოვანი ტყე.

ლეგა აკაცია-მიმოზა – დეკორატიული მცენარეა. მას შეცდომით მიმოსას უწოდებენ. იზრდება საშუალო სიმაღლის ხედ. საქართველოში გავრცელებულია სოჭიდან ბათუმამდე. მრავლდება თესლისა და ამონაყარით. სწრაფად მოზარდი სახეობაა. სამი წლის მცენარეს უკვე 5 მეტრამდე სიმაღლე აქვს. კარგი თაფლოვანი მცენარეა. იძლევა ნექტარსა და მცირე რაოდენობით ყვავილის მტვერს.

ტირიფები – ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში, იგი ჩვენში გვხვდება როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთ საქართველოში. ცნობილია მისი მრავალი სახეობა, რომელთაგან ზოგიერთი ყვავის ადრე გაზაფხულზე. კარგი თაფლოვანია, ხელს უწყობს ფუტკრის ოჯახის გაძლიერებას ადრე გაზაფხულზე. იძლევა საკმაო რაოდენობით ნექტარსა და ყვავილის მტვერს. ზოგჯერ მანანა-თაფლსაც. ერთი ჰექტარი ტირიფის კორომი იძლევა 150 კგ-მდე თაფლს.

ნეკერჩხალები – გვხვდებიან როგორც ხეების, ასევე დაბალტანოვანი ბუჩქების სახით. ცნობილია ნეკერჩხალის 150 სახეობა. ნეკერჩხალი კარგი თაფლოვანი მცენარეცაა და ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაშიც. ნეკერჩხლის ერთ-ერთი სახეობა – ქორაფი გავრცელებულია ამიერკავკასიაშიც. ქორაფი უხვი ნექტრის მომცემი მცენარეა, მაგრამ ვინაიდან ადრე ყვავილობს, ფუტკრის ოჯახების სუსტად განვითარების პერიოდში ფუტკრები მისგან მიღებულ ღალას მხოლოდ ბარტყებისა და თავის გამოსაკვებად იყენებენ. თუ მის ყვავილობას ძლიერ ოჯახებს შევახვედრებთ, მაშინ ერთი ჰა-დან შეიძლება საკმაო რაოდენობის თაფლის მიღება. ჩვენში გავრცელებულია ნეკერჩხლის სახეობა – მთის ბოყვი. იზრდება პირველი სიმაღლის ხედ. ძირითადად გვხვდება სვანეთში, რაჭასა და ალგეთის მიდამოებში. იძლევა დიდი რაოდენობით ნექტარსა და ყვავილის მტვერს.

თელა – ორი სახეობისაა: ჩვეულებრივი (ფოლიაციე) და თელადუმა, უყვარს ნოტიო და ღრმა ნიადაგები, მაგრამ გვხვდება მწირ ნიადაგზეც და მშრალ (გვალივან) ადგილებშიც. თელა ადრეული თაფლოვანი მცენარეა, ყვავილობს ადრე გაზაფხულზე – ფოთლის გაშლამდე. იძლევა ნექტარს, ყვავილის მტვერსა და ნებოვან ნივთიერებას, ზოგჯერ მანანა-თაფლსაც. იყენებენ ქარსაფარი ზოლებისა და ცოცხალი ღობეების შესაქმნელადაც.

ცრუ აკაცია – ეკლის ხე. ფართოდაა გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ეგუება ყოველგვარ ნიადაგს, ხასიათდება სწრაფი ზრდით. მისი ყვავილები მდიდარია მაღალხარისხოვანი ნექტარით. ფოთლების შემადგენლობაში დიდ რაოდენობით არის აგრეთვე ვიტამინები. აკაცია ყვავილობს აპრილის ბოლოს და მაისის პირველ რიცხვებში. მისი ყვავილობის ხანგრძლივობა უდრის 10-15 დღეს. აკაციის ყვავილის ნექტარი უმაღლესი ხარისხის თაფლს იძლევა, რომელიც 50-60% ფრუქტოზას და 30-35% გლუკოზას შეიცავს. ამიტომ აკაციის თაფლს მედიცინაში იყენებენ კუჭის წყლულის, შაქრიანი დიაბეტისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. აკაციის თაფლი წყლის ფერია – გამჭვირვალე, არ კრისტალდება (არ შაქრდება), ძლიერ ოჯახს თითოეული



საშუალო სიდიდის ხიდან შეუძლია 8 კგ. თაფლი დაამზადოს. 1 ჰა აკაციის ნარგაობა საშუალოდ 1000 კგ. მაღალხარისხოვან თაფლს იძლევა. გარდა ცრუ აკაციისა, გავრცელებულია ყვითელი აკაცია, რომელიც იზრდება ნახევრად ბუჩქის ან ხშირად ბუჩქის სახით და 1 ჰა-ზე იძლევა 350 კგ. თაფლს.

აკაციის ყვავილების უარყოფითი მხარე ის არის, რომ აკაცია აყვავილდება ჰაერის გადაადგილების პერიოდში, ხშირი ნვიმებისას და ქარში, მიუხედავად ამ უარყოფითი მხარეებისა, რამდენიმე დღეა საჭირო, რომ ძლიერმა ოჯახმა აკაციის ყვავილების ნექტრით გაავსონ ბუდე და საკუჭნაო.

ნაბლი – გავრცელებულია ევროპის სამხრეთ ნაწილში, მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის კავკასიაში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. იზრდება პირველ სიმაღლის ხედ. ყვავილობს ივნისში, ცაცხვზე ცოტათი ადრე. ძალზე კარგი თაფლოვანი მცენარეა, იძლევა კარგი ხარისხის თაფლს, რომელიც ფერად მონითალოა. ნაბლის თაფლი უნდა გამოვწეროთ ცალკე. მისი თაფლი სხვა თაფლს სიმწარეს აძლევს.

ნაბლის თაფლი მუქი ფერისაა, სუსტი არომატით კრისტალდება ნელა, ჯერ ქონისებური, ხოლო შემდეგ წვრილმარცვლოვან კრისტალებად.

ნაბლის თაფლი გამოირჩევა მაღალი სამკურნალო თვისებებით. 1961 წელს გერმანიაში გაგზავნილმა ნაბლის თაფლის ნიმუშებმა ოქროს მედალი მოიპოვა.

ცაცხვის – მრავალი სახეობაა. იგი გვხვდება პარკებში, დასახლებულ ადგილებში და შერეულ კორომებში. ყვავილობს ივნისში, ნაბლის შემდეგ. ცაცხვის თაფლი მოყვითალო ფერისაა. იძლევა უმაღლესი ხარისხის თაფლს 1 ჰა-ზე 1000 კგ-მდე.

მაყვალი – კენკროვან-ბუჩქოვანი მცენარეა, ყვავილობს ივნისიდან-აგვისტოს ბოლომდე. კარგი თაფლოვანი მცენარეა. უხვად გამოყოფს ნექტარს და ყვავილის მტვერს. მისი თაფლი გამჭვირვალეა, თეთრი, ზოგჯერ მოყვითალო. ხასიათდება სასიამოვნო არომატით. იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში.

ჯონჯოლი – იზრდება საშუალო სიმაღლის ხედ ან ბუჩქად. გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში. მისი ყვავილებისგან მზადდება საუკეთესო მწნილი. ყვავილობს აპრილის შუა რიცხვებიდან მაისის პირველ რიცხვებამდე. საკმაო რაოდენობით იძლევა ნექტარს.

ძიძვი – ეკლიანი ბუჩქია, სიმაღლით 28-მდე აღწევს. აქვს პატარა ყვავილები, იძლევა ნექტარს, რომელსაც აქვს დამახასიათებელი გემო და არომატიც. გამოიყენება ცოცხალი ღობის გასაშენებლად. ეგუება ყოველგვარ ნიადაგს. უფრო მეტად ეტანება ხრიოკ ადგილებს, ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში.

კუნელი – გავრცელებულია ორი სახეობის – ნითელი და შავი. ნითელი კუნელი დასავლეთ საქართველოში ყვავილობს მარტში, ხოლო შავი აკაციის ყვავილობის დამთავრების შემდეგ იძლევა ნექტარსა და ყვავილის მტვერს. თაფლი სქელი და ნაბლისფერია. მალე კრისტალდება, ფიჭაში დაკრისტალებული ძნელი გამოსაწურია.

გურული ხუმრობები

90-იან წლებში ქალაქ ბათუმისკენ ედუარდ შევარდნაძის მომხრეები შეიარაღებული მიდიოდნენ. ლანჩხუთის რაიონში ავტომანქანაში მძინარე გურულს წააწყდნენ, იარაღით თავზე დაადგნენ და ბრძანების ტონით ჰკითხეს – შენ ზვიადისტი ხარ, თუ შევარდნაძისტი? გურულმა გაკვირვებული ამოხედა და უთხრა – თავი დამანებეთ ძამა, მე გურული ვარო!

ბიჭიკო ასკურავა საკმაოდ ხანში შესულ ქალბატონს მკურნალობდა, პაციენტს ფეხი ჰქონდა მოტეხილი, საფეხებით შეხვევის დროს საბნიდან მარტო მოტეხილ ფეხს გამოყოფდა ხოლმე. ქალბატონმა მკურნალს რამდენჯერმე ჰკითხა – ეს ფეხი მოლუნული დამრჩება? ბატონ ბიჭიკოს მეორე ფეხი არ ჰქონდა ნანახი, რადგან საბანი ფარავდა, ამიტომ თხოვა – მეორე ფეხიც მაჩვენეო. პაციენტმა მეორე

ფეხიც გამოყო, რომელიც უფრო მოლუნული იყო. ქალბატონს დაავიწყდა ფეხები დაბადებიდან ასეთ მდგომარეობაში რომ ჰქონდა.

ბიჭიკო ასკურავამ როცა აქტიურ სპორტს დაანება თავი, ველოსპორტის მწვრთნელი გახდა. საკმაოდ ენერგიული ველოსიპედისტი თამაზ ს. ჰყავდა. დიდად თავს არ ინუხებდა, ამიტომ ყოველთვის ყველაზე უკან რჩებოდა. ერთხელ თბილისიდან გავიდნენ და გლდანს გასცდნენ, მათ რამდენიმე ნაგაზი გამოეკიდა. თამაზი, როგორც ყოველთვის უკან იყო, რა დაკბენის საშიშროება იგრძნო, უცებ სიჩქარე ჩართო და მთელ ჯგუფს რამდენიმე მეტრით გაასწრო. ბიჭიკო ასკურავამ მოსწრებული ენით ჰკითხა – სად გიშოვო ყოველთვის ძალღები, შენ ყველაზე წინ რომ იყო?

რადიკულიზის წამალი

დაბლაციხეში ორი დეიდა მყავდა, ტატიანა და ქეთო, რომლებიც კვირას არ გააცდენდნენ, ჩოხატაურის ბაზარში რომ არ წასულიყვნენ და რამე არ გაეყიდათ. ორივე დიდი იუმორის გრძნობით იყვნენ დაჯილდოებულნი. ერთხელაც დახლზე ადგილები გამოიხატეს და ვაჭრობას შეუდგნენ. იქვე მეზობლად ქუთაისელი ქალი დაფქულ სუნელებს ყიდდა. კაი ხანს ჯდომის შემდეგ ტატიანა ძლივს წამოდგა სკამიდან.

– არ მომკლა ამ რადიკულიტმა, – დაიღრინა და წელში ძლივს გასწორდა.

– მერე მაგას აკვლევინებ თავს? ისეთი წამალი ვიცი, 2-3 მიღების შემდეგ მოგარჩენს, დაამშვიდა სუნელების გამყიდველმა.

– ე, გოგო მასწავლე და თუ მომიხდა, პატივისცემა ჩემზე იყოს.

– კი, ჩაინერე რეცეპტი.

ქეთომ ქალაღი და ფანქარი მოძებნა და ჩასანერად გაემზადა.

„შოკოლადი, მარმალადი“, – დაიწყო ქუთაისელმა, – „აკვირინეს ფაღარათი აურიე რძეში, მიირთვი სამჯერ დღეში“ – დაამთავრა რეცეპტი და სიცილმა იფეთქა.

ტატიანა წამში იმ ქალთან გაჩნდა, მკერდზე ორივე ხელი ჰკრა და იქვე მდგარ ფართო სანაგვე ვედროში ისე ჩატენა, რომ ძლივს ამოიყვანეს იქიდან ნირნამხდარი ექიმბაში.

ხილის აღღვენა

ადიდებულმა სუფსამ სურების ერთ-ერთ უბანში „ასი-ეშვილებში“ ხიდი წაიღო. კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე დადგა ხიდის აღდგენის საკითხი. ყველაფერი გადაწყვიტეს, გარდა ერთისა, ვერ შეარჩიეს ხიდის გასაკეთებელი ადგილი. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ სიტყვა გამგეობის წევრმა შალიკო ბედინეიშვილმა აიღო.

– კარგი იქნება თუ ხიდს „გურის ტბაზე“ გადებთ, გაღმა-გამოღმა კლდეებია და საძირკველიც არ დასჭირდება.

დასახელებული ადგილი მართლაც კარგი იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა. ამ უბნიდან თითქმის 20 კმ-ით იყო დაშორებული.

აქა აგზავნი ღლონტისა

ქობულეთში სალობიო ქონდათ გახსნილი. საკოლმეურნეო ბაზრის გვერდით, მზარეულად ღლონტი მუშაობდა. ენა ჰქონდა ისეთი, ჩიტს გადმოაგებდა ხიდან. დილის 8 საათია და კარებს სამი კლიენტი მოადგა. თურმე სამივე კანონიერი ქურდია. ძმაკაცი დაუხსნიათ ბათუმის ციხიდან და ქუთაისში მიჰყავდათ.

– ბიძაჩემო რა გაქვს ცხელი კერძი ამ დილით? – ჰკითხა ერთმა.

– ლობიო მაქვს, მოვისაქმე შიგ, თუ გინდათ ჭამეთ, – ისე მყრალად უპასუხა, მათთვის არც შეუხედა.

– სამი ორმაგი ულუფა დაგვისხი და რაც შეიძლება ბლომად წინაკა მოაყარე, – დაუკვეთეს ბიჭებმა.

5 წუთში სამ ღრმა თეფშზე ბლომად წინაკანაყარი ლობიო ჩამოდგეს სუფრაზე. ერთი ადგა, გარეთ გაიხედა და კარებში გაჩერდა. მეორემ რევოლვერი ამოიღო, ღლონტს შუბლზე მიაღო და შეუძახა. გადმოდი და შენი ჩასვრილი ლობიო შეჭამე. თუ არა შუბლს გაგიხვრეტო.

რა ექნა, მისი ენის შემხედვარეს. კინაღამ მოკლა ენამყრალი მზარეული იმ ექვსმა ულუფა ლობიომ.

შერჩენა

ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის მკვიდრმა გურამ ჯოგლიძემ მოტაცების იმიტაციით ჩოხატაურელი ქალი მოიყვანა ცოლად. ცოლის მხარემ პროტესტი გამოთქვა, განსაკუთრებით სასიდედრო აქტიურობდა.

– ნადი, კაცო და როგორც გინდა ის გოგო დააბრუნე! – არ ეშვებოდა ქმარს.

– გააგჟდი ქალო? ვანელს გოდორს რომ ათხოვებ, იმას არ გიბრუნებენ უკან და სამი დღის წაყვანილი გოგო დაეიბრუნო?

ასე შერჩა ვანელ ჯოგლიძეს გურული ქალი.

დაკარგული ქუდი

სულიკო რამიშვილი თმას ყოველთვის უნივერსალის შენობაში განთავსებულ საპარიკმახეროში იკრეჭდა. ერთხელაც სადღაც ქუდი დაკარგა, სად არ ეძება, მაგრამ ვერსად მიაგნო.

კარგა ხნის შემდეგ, როცა თმას ხელმეორედ იკრეჭდა, ზურგს უკან სარკეში კედელზე დაკიდებული ქუდი შეამჩნია.

– ვისია ეს ქუდი? – იკითხა სულიკომ.

– რა ვიცი, ვილაც სულელს დარჩა ერთი თვის უკან და არ მოუკითხავს, – მიუგო დალაქმა.

სულიკომ ქუდი ჩამოხსნა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და მისი ქუდი ამოიცნო.

– სულელიც ხარ და დურაკიც, – ჩაილაპარაკა თავისთვის, ქუდი დაიხურა და დალაქი პირდაღებული დატოვა.

ჯონი ბარამიძე



BDC Academy

ჩვენ ვამოქმედებთ დროს!

მის.: რუსთაველის 36
 ტელ.: 0322 92 03 30 ; 0322 51 47 30
 მის.: 593 25 25 08
 academy@bdc-center.ge
 www.bdc-center.ge
 11 80 00 00 00000000

„BDC“-Academy 2006 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს, პროგრესირებს და მიჰყვება საზოგადოებისა და სასწავლო ბაზრის მოთხოვნებს. ატარებს მოკლევადიან ტრენინგებს კომპიუტერის, კომპიუტერული ინჟინერიის, უცხო ენების, ბულალტერიის სრული კურსი (თეორია, კომპიუტერული საბულალტრო პროგრამები, სტაჟირება საბულალტრო ორგანიზაცია „ანაგელში“) საბანკო საქმე, საფინანსო, საგადახადო საქმის, ჟურნალისტიკის, ოფის მენეჯერის, მენეჯმენტის,

მარკეტინგისა და PR-საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების. ასევე აქტიურად შეასწავლის ფარმაციას, პირველად სამედიცინო მომსახურებას და სხვა. როგორც ფასიანი ასევე უფასო სტაჟირებებით.

„BDC“-Academy ამომწურავ ცოდნას აძლევს დაინტერესებულ პირებს, რაშიც ხელს უწყობს პრაქტიკოსი პედაგოგების მუშაობა. მოკლევადიანი ტრენინგის პრიორიტეტია – მინიმალურ დროში მაქსიმალურად საჭირო და გამოყენებადი განათლება მიიღოს მსმენელმა, მოამზადოს კადრები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან თანამედროვე დამსაქმებლების გაზრდილი მოთხოვნების პირობებში. „BDC“-Academy-ის მსმენელები სტაჟირებას გადიან ბანკებში, აფთიაქებში, სამაუნყე-ბლო და ბეჭდვით მედიაში, სხვადასხვა სპეციფიკურ ორგანიზაციაში და იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას.



საბულალტრო კომპანია
ანაგელი

მრავალენოვანი ცენტრი

ირაკლი ყორღანაშვილი
 შპს. ბულალტრონიკა
 მ. კოსტავას N 21
 +995 322 921 204
 +995 555 427 427
 anageli@mail.ru www.ANAGELI.GE



კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია
Computer Technologies Academy



რუსთაველის ბაზ. 36
 ტელ.: 555 879 880 593 555 029

skype: cta888
 E-mail: ctaedu.ge@gmail.com

ლაგვიგმე მომავალი...

Homeopathic and Georgian Traditional Medicine Clinic

“FAMILY DOCTOR”

ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა
„**ოჯახის მკურნალი**“



კლინიკის დირექტორი: ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი თორნიკე ალაშვილი. კომპლექსური მკურნალობა ხერხემლის პრობლემების, ღვიძლის, ბრ. ასთმის, ფსორიაზის, აუტიზმის.

ISSN 2346-7606



9 772346 760009

კლინიკა ოჯახის მკურნალის მისამართი:
ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი №28 ალექსანდრე ჯავახიშვილის №2ა
ტელ: (+995) 2 98 64 86; 5 99 55 99 61
www. Curamediana.Ge